თუ მეგობრის
გინდა,
ალალთვალა
ქალი!
ნაცვალ

ნინო როსტიაშვილი

თუ მეფობა გინდა, ადექიფლე ქალი!

თბილისი
2023

რედაქტორი	მანანა გორგიშვილი
ტექნიკური რედაქტორი	რუსუდან მიქენაია
ყდის დიზაინი	თემურ არდაზიშვილი
დამკაბადონებელი	თამარ ტყაბლაძე

გამომცემლობა „პარნასი“

ISBN 978-9941-8-5728-7

წინასიტყვაობა

დედა-სოფიო ცინდელიანი, მამა-დურმიშხან როსტიაშვილი.

20 კვადრატულ ოთახში ორი ძმის ოჯახი ცხოვრობდა, მაგრამ მამას ორი ბიჭის მერე გოგო ძალიან სდომებია და, რომ იტყვიან, „გარისკეს“ მესამე შვილი და დავიბადე მე.

ნინო როსტიაშვილი. 1971 წლის ბარბარობა დღეს.

იმ დღისით დიდი თოვლი მოსულა თბილისში და პლეხანოვიდან ვერამდე ძლივს მიუღწევიათ. მამის ნაამბობი კი შევალამაზე და ლექსად გადმოვეცი.

-ტირე-

-მე რომ მოვედი
იყო თოვა,
იყო თოვლჭყაპი,
იყო ქარბუქი,
როგორც სჩვევიათ
თბილისის ზამთრებს.
შუა ღამე,
ბარბარეს ღამე.
იყო ცრემლი,
ბევრი ცრემლი,
სასიხარულო.
სტკიოდა როგორ,
ვინ იცის როგორ?!
მაგრამ ცრემლები
არა ტკივილის...
არა, უფალო,
სასიხარულო,
სასურველი,
დედის ცრემლები
და მოგორავდნენ

მიხუტებულ
ჩვილის ბაგეზე,
რძეს ერეოდნენ
მირონივით,
დალოცვილები.
- და როცა წავალ
იქნება დილა,
იქნება მზე და
იქნება ლაღი
სულის აფრენა.
არა ცრემლები,
არა თალხები,
მხოლოდ ღიმილი,
მოგონებები.
თან ჩამაყოლეთ
ჩემი კალმები,
ფსალმუნები და
სულის ლოცვები.
- გიტოვებთ ლექსებს,
ლექსებს ურითმოს
ღამენათევს
და
შვილივით ნაფერს...

17.12.2021წ.

პოეზიის სიყვარული ჩემში ღრმა ბავშვობიდან გაღვივდა და იმ თავიდანვე დავიწყე ბავშვური განცდების ლექსად გადმოცემა.

პირველი ლექსი მამის გარდაცვალებით გამოწვეულმა ტკივილ-მა დამაწერინა. იქამდეც ვწერდი ერთ კუპლეტიან სხარტულებს, რომელსაც ამ კრებულში გავაცოცხლებ. დაკარგული მეგონა და დედის გარდაცვალების მერე აღმოვაჩინე მის კუთვნილ უჯრაში. კიდევ ბევრი ლექსი გადაურჩენია დედას, რომელსაც ბავშვობა-

ში ყურადღებას არ ვაქცევდი. ერთ-ერთი გადარჩენილი ლექსია, „მადლობა“, რომელიც სკოლაში კედლის გაზეთისთვის დავწერე, 1985 წელს. წიგნი დაყოფილია თავებად, „მუზას“-ამ თავშია ეს ლექსი შესული.

დედა სულ მთხოვდა, ლექსები გვეჩვენებინა დათიკო მჭედლიშვილისთვის, (დედას ბიძად ეკუთვნოდა), მაგრამ ბავშვური სიჯიუტით სულ უარზე ვიყავი.

დედის გარდაცვალებამ და გადანახული ლექსების პოვნამ ჩემში გააღვიძა სურვილი, სააშკარაოზე გამომეტანა ჩემი ლექსები.

კოვიდ-19-ით ცნობილმა პანდემიამ კი ხელი შეუწყო ამ ჩანაფიქრის განხორციელებას, რადგან უამრავი თავისუფალი დრო გაჩნდა.

პირველი კრებული გამოვეცი 2022 წელს, პატრიოტული ლირიკა. „ანი, თბილისო და ჰოე, საქართველო“, სადაც შევიდა ლექსები, როგორც პატრიოტულ თემაზე, ასევე ოჯახზე და მეგობრებზე.

ახლა გამოვცემ სატრფიალო ლირიკის და ბუნების, მუზის, თბილისისადმი მიძღვნილ ლირიკულ ლექსებს. 2000 წლის შემდეგ, რაც სატრფიალო ლექსი დამიწერია, ყველა ეკუთვნის ვალიკო კაკაურიძეს (მიმინო).

ხშირად დამიწერია სხვის ნაამბობზე ლექსი, ასეც ხდება.

ყველა ჩემს კრებულს, რაც გამომიცია და რასაც მომავალში გამოვცემ, ვუძღვნი დედის ხსოვნას.

შენ გამახელე...

ღმერთი არ გაგიწყრეს, დედაჩემო,
ამაღამ ეცადე არ ჩათვლიმო,
წყალსაც შეიძლება ჩაეძინოს,
შენ უნდა მიდარაჯო, მიერთგულო.
დედები ცად შვილებს არ ტოვებენ,
დედები ძილშიც არ იძინებენ,
ზეცად ასულები, გასულები,
თვალს არ ხუჭავენ დედის სულები.

ამაღამ ლოცვაში დამათენე,
შენი ოცნებები გავამთელე,
შენი ნაგროვები თაბახები,
წიგნად ვაქციე, შენ გამახელე.

11.01.2023 წ.

ჩემი დიდი თხოვნით, კრებულში ლექსები შესულია რედაქტირების გარეშე, რათა ჩემი განცდები მკითხველისთვის შელამაზების გარეშე გადმომეცა.

შეფასება თქვენთვის მომინდვია.

ჩემს მიერ დაწერილი თოთხმეტი ლექსი ულამაზესად აამღერა კომპოზიტორმა მაია სიჭინავამ, ასევე ერთ-ერთი სატრფიალო ლექსისთვის მუსიკა დაწერა და შესანიშნავად შეასრულა ნატალია ჭელიძემ. ასევე ორი ლექსი აამღერა გიული ერგემლიძემ.

ჩემი ფსევდონიმი - ნერუ, პოეზიისთვის არ შემიქმნია, ჩემმა უსაყვარლესმა ბიცოლამ, ერთი წლის ასაკში შემარქვა და მეც შევიყვარე ეს ზედმეტსახელი. ამბავი კი ლექსად გადმოვეცი წლების მერე.

ნერუ

ეს იყო წინათ...
ტელმანის სამში,
იტალიური ეზო...
ხის ღობით,
ღობესთან იდგა
თეთრი თუთის ხე,
ტოტები იწვა ძველ კრამიტებზე...
სახლის, რომელშიც დარჩა
ბავშვობა...
წყნარი დღე იყო
შემოდგომისა,
ეზოში ძაღლიც გარინდულია...

მემაწვნის ქალმაც კი იცის თურმე,
ამ დროს ეზოში ბავშვს რომ ეძინა.
ჩვეული ხმით კი არ ყვირის,
მაწონიი, მაწონიიი...
მორზე ჯდება და მოელის მუშტარს...
ბავშვი ტირილით ადგება ჭიშკარს,
ცუდი სიზმარი ეზმანა მგონი...
შავტუხა გოგო ხუჭუჭთმიანი,
თეთრი „პიჟამით“
წააგავს ციგანს.
(ციგნის ბავშვიო, ეძახდა მამა)
თეთრი „პიჟამით“ შავტუხა გოგოს,
შემოეგება ბიცოლა, მტირალს.
ჩემი „ნერუო“,
გულში ჩაიკრა...
იმ დღიდან
ნერუ შეარქვა ყველამ...

17.09.2021 წ.

ამ კრებულში ასევე რამოდენიმე გვერდი დაეთმობა ვალიკო (მიმინო) კაკაურიძის ლექსებს, რომელი ლექსებიც მე მომიძღვნა და ლექსები, რომლებიც განსაკუთრებით მიყვარს.

23 წლის წინ გავიცანი და ასე ტკბილად მოვყვებით ერთმანეთს გვერდიგვერდ. მისი ფსევდონიმია მიმინო. თავად გამოცემული აქვს ხელნაწერი ლექსების კრებული „ლექსად ნათქვამი ამბები“. ასევე ჩამოყალიბებული აქვს საქველმოქმედო შემოქმედთა კავშირი „მიმინო“ და ამ კავშირის სახელით გამოცემული აქვს თანაავტორთა კრებული „ჩემი სამშობლო“.

ასევე კრებულში შესულია, ლექსად დაწერილი, ჩემი და ჩემი მეგობრის, პოეტ თამთა მუმლაძის მეგობრული წერილები.

დიდი მადლობა თიკო-თინათინ ჭედიას,
ასეთი სასწაული რეცენზიისთვის და უანგარო მეგობრობისთვის.

სიხარულების შემგროვებელი

ნინო როსტიაშვილის პოეზიის მიმოხილვა

ნინო როსტიაშვილის ლირიკული პოეზია გამოირჩევა გულწრფელობით, წერს ყველაფერზე, რაც ახარებს ან პირიქით, სულს უმძიმებს. ნინო იმ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც ყოველდღიურ ერთფეროვან ყოფაში ეძებენ სილამაზეს, ეძებენ გზებს, რომ იცხოვრონ.

ნინო როსტიაშვილს ძალუძს სრულიად ჩვეულებრივ მოვლენაში დაინახოს არაჩვეულებრივი და განცდილი ლექსად აქციოს. ამგვარი მეთოდი აქვს გამომუშავებული თავის გადასარჩენად, ამიტომ მას ვუწოდე სიხარულების შემგროვებელი ადამიანი.

სიხარულია საწინდარი იმისა, რომ ბედნიერების შეგრძნება არ დაეკარგოს. თავს არასდროს აძლევს უფლებას სასოწარკვეთამ სული წაულეკოს, ამგვარად შემართული მოსჩანს ის თავის შემოქმედებაში.

ნინო სულით ხორცამდე ქართველი ქალია, რომელსაც უყვარს სამშობლო, მშობლიური ენა, არც უფლის მიმართ რწმენა აკლია.

მისი ლექსებიდან გამომდინარე, გამიჩნდა აზრი, რომ ღმერთი უყვარს შიშის გარეშე, ძლიერ უყვარს და მორჩა, ამიტომაცაა, რომ ქართულ ანბანს ის ადარებს წმინდა სანთელს, მასთან მოსულ მუზებს კი, რატომღაც, ჯვარცმას უწოდებს, ალბათ იმიტომ, რომ ცხოვრებაა რთული და ზოგჯერ გაუსაძლისად უკუღმართიც და მობრძანებული მუზები სასიამოვნოსთან ერთად მძიმე შთაბეჭდილებებსაც უმძაფრებენ, პოეტი კი იძულებულია ტკივილების შესახებ ლექსად საჯაროდ თქვას, მეტადრე თუ გამოსავალსა და ხსნას ვერ პოულობს. პოეტი ხშირად აღსარებას არა მხოლოდ ღმერთს, მკითხველსაც ეუბნება. ყოველი ლექსი გულიდანაა ნა-

შობი. როგორც კი კალამს მისწვდება და ლექსის დაწერას იწყებს, განიცდის ფერისცვალებას, შემდგომ კი კათარზისს. ჰმადლობს უფალს ლექსის დაწერის უნარისთვის, თანაც შიშობს, ბოდვით რამეებს ხომ არ ვწერო, მაგრამ გაბედულია, როგორც ყველა ქართველი ქალი.

ნინო მკითხველს თავისი დაბადების შესახებ უყვება, თოვლ-ჭყაპი ყოფილა, ქარი, შუაღამე და მშობლის აუწონავი სიხარული, პირმშო გოგონას მოვლინების გამო დაღვრილი ბევრი ცრემლი და, რაც მთავარია, ბარბარობა თენდებოდა.

ნინო საკუთარ გარდაცვალებაზეც წერს, რა სურს, რომ იყოს მის გარეშე, რაც მასვე ეხება, როცა სამუდამოდ გავა გაღმით. სურვილი აქვს, არ იყოს ცრემლი, არ სურს დედამიწაზე დარჩენილთა ცრემლები გამოეკიდნონ. ნინო წინასწრმეტყველებს, რომ გარდაცვალება მოხდება დილით და სხეულიდან ამოსული სული მზეს გაუღიმებს. ასე რომ, ნინოსთვის გარდაცვალება არც ისე დიდი უბედურებაა.

ლექსში „სამშობლო“ მოგზაურობს საქართველოს დარჩენილ ტერიტორიაზე, რაც დაგვრჩა და სვლას იწყებს მესხეთიდან, თავისებურად აღქმულ მესხურ ბუნებას აღწერს, აკვირდება ქართულ არქიტექტურას, სიძველეებს, ტაძრები და ციხე-გალავნები უყვებიან საქართველოს მძიმე წარსულზე და გადარჩენაზეც. საქართველო, ასე თუ ისე, გადარჩენილია, დღემდე მოიტანა კულტურა, რელიგია, ხელოვნება, ტრადიციები, წესები, ნინო ამაყია თავისი ქართველობით, მგელივითაა, ვინაიდან მონობაშიც მყოფი თავისუფალია.

დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა,
თავის, უფლის და სამშობლოსი!...
დავბადებულვარ თავის-უფალი,
თავისუფალი ადამიანი,
თავისუფალი სამშობლოს შვილი!

ნინო როსტიაშვილის პატრიოტულ მოტივზე შექმნილი ლექსები გაჟღენთილია თავგანწირვის სულისკვეთებით, სადაც წააწყდებით გამოთქმებს:

თუ დამჭირდება ვიქნები ხმალი...
მგელსაც ვუძმობ და მის მოყვარესაც,
თუ არ წამართვა ჩემი მთა-ბარი...
თუ მოყვარეა არაფერს ვერჩი...
ცეცხლს თუ არ მიმცემ, არ გმტრობ, არ გერჩი.

საგურამოს გზაზე შემდგარს ახსენდება უმძიმესი მომენტი, როცა ქართველთ დიდი მამულიშვილი ისევ ქართველის ხელით მოკლეს, ესაა ილია მართალი. უბედურებაა, როცა ერის მამას კლავენ, სირცხვილია, მომაკვდინებელი ცოდვაა. მას მერე, რაც ილია ჭავჭავაძე მოკლეს, საქართველოს მის სისხლზე ფეხი დაუცდა, წაიქცა და დღემდე ვერ ამდგარა, ვფორთხავთ ქართველები.

ნინო მოგზაურობისას მცხეთაშიც შეყოვნდება და სურვილი უჩნდება ძველი დედაქალაქის გულში ჩაკვრისა. ის აქებს ქართლელებს, კახელებს, აღმოსავლეთიდან გადადის დასავლეთში, ეფერება იმერლებს, გურულებს, ყურადღებას ამახვილებს გურულთა ცნობილ სიღარიბეზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ზღვარსგადასულად კეთილი ხალხი რომ ცხოვრობს გურიაში, არასდროს რომ არ ისმის მათი წუწუნი სიდუხჭირის გამო და იუმორიც მძაფრი რომ აქვთ. საქართველოს ლამაზ მთებზე აღმართული კოშკები ხიბლავს და სვანებს ახასიათებს, სადაც ბუხარს ისევ ტალახით ზელენ, სადაც ბავშვებს კვლავ აკვანში ზრდიან, სადაც ოჯახის თავი მამაკაცია, სადაც ჩვილებს განსხვავებულ ნანას უმღერიან.

განსაკუთრებული სისათუთით უმზერს ბაგრატის ტაძარს, ახალმა ქართველებმა რომ აღადგინეს, მაგრამ ცუდად, დაუფიქრებლად, თითქოს დააზიანეს კიდეც დაუდევრობით, მაგრამ მაინც კი ლამაზია დალოცვილი, ლექსი ამგვარად სრულდება:

შენი ფრესკის წინ მუხლმოდრეკილი,
პირჯვარს გადვიწერ,
მცვივა ცრემლები,
მტკივა და მეწვის...
მეწვის და მტკივა...
ამპარტავნობით

შებღალული შენი კედლები...

ამ ეტაპზე წართმეული აფხაზეთი გულში ტკივა და ნატვრა აქვს, რამდენჯერაც დაიბადება, მხოლოდ საქართველოში დაიბადოს ქართველად. აფხაზეთის გარდა სხვა ტერიტორიებსაც მისტირის ნინო, რომლებიც გასულ საუკუნეებში წაგვართვეს, ახლო წარსულშიც. ამგვარი ლექსია, მაგალითად, „ცამეტი წელი". ის პირტიტველა ბიჭებს უწოდებს შინდისში რუსების მიერ ჩახოცილ ქართველ მეომრებს.

თქვენს სახელს სანთელს უნთებენ
დღესაც ქართველი დედები,
ღმერთო, ტკივილი გვაკმარე,
ცისმარეს სწვდება კივილი...
ყოველ ჟამს იბადებოდნენ
გულანთებული შვილები,
ღმერთო, ვაჟები გვიმრავლე,
ხსოვნად გვაკმარე გმირები!

გმირებთან ერთად არ ავიწყდება მოღალატენი, რომელთაც სინამდვილეში არ გააჩნიათ არც სამშობლო და არც ეროვნება, არც სული.

ასე ყოფილა დასაბამიდან,
ზოგს ჭირი სჭამს და
ზოგს ლხინის ჭირი!

მაგრამ თქვენ ალბათ, არც ხართ ქართველნი?!

როგორც აღვნიშნე, ნინოს აქვს უნარი ჩვეულებრივში დაინახოს არაჩვეულებრივი, უცნაური, უჩვეულო, რაც ეხმარება განსაკუთრებული განწყობის შექმნაში, რომ შემდეგ ლექსი დაწეროს. მაგალითად, ის ემდურის ენგურს, არ იცის, რატომ უნდა შეაქოს, ამ ადგილას სამშობლო ორად გაყვეს, მაგრამ ენგური მაინც ხაროობს, ბობოქრობს, მკვლელი მდინარეა, მის ნაპირებთან მრავალი ჯვარი დაურჭვიათ, ვინაიდან ამ მიდამოებში მრავალი ადამიანი დაიღუპა და პოეტმა არ იცის, როგორია ეს მდინარე, ბოროტი თუ კეთილი, მუდმივად მღელვარეა და მდინარის ტალღები კლდეებს ასკდება.

უყვარს ზღვა თავისი დიდებულებით. უყვარს გარუჯვა, მაგრამ ისე არა, როგორც ყველას, ნინო მიწიერად და ღვთაებრივად ბრწყინვალე სიამოვნებას განიცდის.

მზემ აუკეცა წვიმას პაჟები,
მიყვარს შავ ზღვაზე ცხელი დრაჟები,
პეიზაჟები, გარიჟრაჟები,
ქობულეთური ვოიაჟები...

და ნინო ქმნის ზღვის ზღაპარს, ვინაიდან პოეტს სხვა ავტორის წიგნი უკავია და კითხულობს რომანს მულტიკულტურული უბნიდან ქალზე. ამბავი ზღვის ტალღებს ერწყმის, რომანში მარტოობაა გამეფებული, აქაც, ზღვისპირა ქალაქშიც სიწყნარეა, ტალღების ხმა ისმის მხოლოდ, ვინაიდან ჯერ ისევ ნახევრად სძინავს ქობულეთს, პოეტი ყავით უხმობს სიფხიზლეს, კითხულობს რომანს და თავადაც უკვე ქმნის თავის ზღვის ზღაპარს, თუ როგორ მისდევს ჰორიზონტს მზის სხივი, ახსენდება დედა და მამა, უზრუნველი, მხიარული ბავშვობა. უსაზღვროდ უყვარს.

მუდმივად ნინოს სიხარულის მიზეზია საქართველოს დედაქალაქი. თბილისი უპირველესად მეგობრობის ქალაქია. მზეს და ქარებსაც უყვართ თბილისი, თბილისში ყოველთვის მშვიდია ღამე და თბილისს წელიწადის ყველა დრო შვენის. მე მეეზოვეც მიყვარს თბილისისო ამბობს. მოხეტიალე გოგა-ნინო, უბერებელი, ბავშვივით წრფელი. თბილისის ქუჩებში დაეძებს სიხარულის მიზეზებს, მერე მთელს ქვეყანას ედება, ქართულ მთასა და ბარს, დაბორიალებს და სიხარულებს აგროვებს, რომ არასდროს დაეკარგოს ან სადმე არ დაემალოს ბედნიერების შეგრძნება. ცხოვრებაში ბევრია გაჭირვება, მოულოდნელი უბედურებანი, ტკივილია ბლომად და ადამიანები ცდილობენ თავი დააღწიონ სირთულეებს, ტკივილებს, მწუხარე განცდებს და ძლიერი ადამიანები პოულობენ მხსნელ გზებსა და გამოსავლებს, იმისთვის, რომ გაიმარჯვო, გაექცე მწუხარებას და ჩაეხუტო ადამიანურ ბედნიერებას ერთი რამაა საჭირო და უმნიშვნელოვანესი, ესაა სულის სიმტკიცე, მას ქმნის უფლის მიმართ რწმენა.

ნინოს თავი ტურისტი ჰგონია, რომელიც ადამიანებისგან ბევრს არ ითხოვს, ბოროტი ზრახვები, შური და მტრობა არ მტყორცნოთ, ამიტანეთო.

გულს ნუღარ მატკენ,
ერთი წუთით როგორ ვერ მიტან!
მე...
ტურისტი ვარ ამა ქვეყნის
და მიყვარს ღამე.

ის ხატავს თბილისურ პეიზაჟებს, სცენებს. კვირა დღეს მეზობელი კაცების თავშეყრას ბებერი ხის ქვეშ ნარდის, დომინოს თამაშს. მეზობელი ქალების თავშეყრის ადგილსაც აკვირდება, ბავშვების კისკისს და მხიარულებას ეზოში. თბილისური სამეზობლოების აყალმაყალი ხიბლავს და აფიქსირებს ყოველივეს, რაც თბილისურ ურთიერთობებში უნიკალურია, მაგრამ ბევრი რამაც დაკარგულა და შიშობს, რაც შემორჩენილა ისიც არ გაქრესო.

ძველ თბილისში სტუმრის ფასი იციან,
სტუმარი კი უმალ მასპინძელია...
თბილისში ხომ ტრადიცია ბევრია,
ტრადიციებს არ მისდევენ, ძველია...

უცნაური რწმენა აქვს ნინოს, გვიმხელს, რომ მრავალჯერ უსაყვედურია იესოსთვის, რატომ ეს არ ამარიდე, რატომ იმან დამიშავა, ან რად დავმარცხდიო და უცბად ახსენდება, რომ იესომ ყველას საზიდარი ჯვარი ზიდა, სანამ ჯვარს გააკრავდნენ, ჩვენ ადამიანებს კი ჩვენივე ჯვრის ზიდვა გვიჭირს ან არ შეგვიძლია. ნინოსთვის მნიშვნელოვანია შობისა და აღდგომის დღესასწაულები. ზოგჯერ მამა ღმერთსაც ეძახის, ძირს ჩამოდი, დაგვენახეო, რომ მიწაზე შენი ნათელი მადლი გავრცელდესო. აღსანიშნავია ლექსი დიდმოწამე ეკატერინეზე, რომელიც მნიშვნელოვანია ემოციური და ინფორმაციული თვალსაზრისით. მან შეძლო წარმოსახვით გაეცოცხლებინა ქალამნებგაცვეთილი წმინდა ნინო, რომელმაც საკუთარი ნაწნავებით შეკრული ვაზის ჯვრით ხელში შემოაბიჯა ქართულ მიწაზე.

ნინო ებოდიშება უფალს იმის გამო, რომ ხშირად არ აცვია კაბა და დაიარება შარვლით, არაა მარხული, ხშირად არ ლოცულობს, ტაძრის კართან მდგარიც ზოგჯერ ეკლესიაშიც არ შესულა და უფალი იმდენად მოწყალეა, რომ მაინც აცოცხლებს, უთენებს ღამეს, ეხმარება, მფარველობს და ნინოს სცხვენია, მაგრამ იესო ეხმიანება:

ისეთი ცოდვა ჯერ არ გიქმნია,

რომ არ გეთქმოდეს, დიდება უფალს.

კეთილი გზებით გევლოს, ნინო როსტიაშვილო, ღვთის მოსაწონად გეცხოვროს, გააგრძელე გზა, იბოდიალე, მოიარე საქართველო, გააგრძელე სიხარულების შეგროვება!

თინათინ ჭედია
ლიტერატორი
15.01.2023წ.

საფრთხიანი ნირიკა

„ვამეხ“

ბოლო ღამეს ათევს ამ წელს თებერვალი,
მარტი შემოგვიღებს კარებს დაზაფრული,
ქალი მარტიაო, მარტი დედოფალი,
იებს შემოახვევს ქუჩებს გაზაფხული.
„ვამეხ“,
ქალს გაუგე, მარტივით არეულს,
ქოლგად შეეშველე, წვიმებით დანამულს,
ქალი არ დატოვო გზაზე გაბუტული,
ცრემლი არ ადინო,
არ ატკინო გული.
სული აუფეთქე ატმის ყვავილივით,
თმები დაუვარცხნე ქარში გაწეწილი,
ქალი მარტია და მარტი დედოფალი,
თუ მეფობა გინდა,
ადედოფლე ქალი!

01.03.2003 წ.

მე და შენ, ანუ შენ და მე

მინდა, ვი-მარტო
და
მინდა, ვი-აპრილო...
მინდა, ვი-მაისო...
შენი გულის წამლად...
მინდა,
სასთუმალთან იებს მახვედრებდე,
შენით თენდებოდეს დილა.
მინდა,

გაზაფხული ერთად გავლიოთ
და
დღეებს დაველოდოთ მზიანს...
ორივეს რომ გვიყვარს
მზე და
ზღვის ტალღები...
ერთად შევეგებოთ,
ზაფხულს,
თიბათვიანს...

08.03.2020 წ.

მჯერა

დღეს
შენს თვალებში მომავალს ვხედავ...
დღეს
ზუსტად ვიცი...
მე რომ მოვკვდები...
ჩემი სული რომ ზეცაში ავა,
შენ, თუ დარჩები ამ ქვეყნად მარტო...
ყოველ გაზაფხულს,
ყოველ ქალთა დღეს,
ჩემს სასთუმალთან მოიტან იებს...
დღეს
ზუსტად ვიცი...
და მსურს მადლობა გადაგიხადო,
რომ არ ვიქნები
იმ
მომავლისთვის...

03.03.2013 წ.

ვიაროთ ერთად

ხელი ჩამკიდე,
ვიაროთ ერთად,
ჭაღარა თმებით,
სიკვდილსაც
ღიმილით შევხვდები,
შენთან ერთად!

03.03.2003 წ.

მეჩვიდმეტე გაზაფხული

ვიცი, დღეს თუ არა ხვალე,
მაინც გაიელვებს წამით,
ისევ გაზაფხულის სხივი,
როგორც მეჩვიდმეტე დარი.
ვიცი, არ დამტოვებს ღმერთი,
სულში ჩამისახლებს ნათელს,
ალბათ დღეს თუ არა ხვალე,
მაინც შემომიღებს კარებს.
სულის სიბნელე მკლავს თორემ,
ვიცი, გზას მინათებს მთვარე,
ერთად გადავლახოთ ბარემ,
სევდა გაჩენილი ღამე.
რაა გაზაფხულის ხიბლი,
შენ თუ არ შემოხსნი კარებს,
თუ არ მეყოლები თავთით,
ჩემთვის უკანასკნელ ღამეს!

17.03.2017 წ.

გჩემობ

ჩვენ გავიარეთ ის ბეწვის ხიდი,
რომელზეც იყო შფოთები დიდი,
არა მქონია სიმძიმის რიდი,
შენით ვზიდავდი, ვიყავი მშვიდი.

ყოველთვის ახლავს საწუთროს ბინდი,
ბინდიან დღესაც შენით ვაფრენდი,
მრავალ მარწუხებს ისევ დავძლევდი,
დღეებს გაფრენილს ისევ განვლევდი.

შენიან დღეებს ჩემად ვჩემობდი...
არ მაშინებდა მე ბეწვის ხიდი,
კოხიან დღესაც ვიქნები მშვიდი...
როცა შენთან ვარ, ტკივილებს ვიხდი.

30.01.2022 წ.

დამპირდი

მზე ზენიტშია მწველი თიბათვის,
დრო კიდევ დარჩა დაისის ხილვის,
ძალზედ შორია ჟამი სიბერის,
თიბათვე კიდევ ბევრჯერ ჩაივლის.

შენ მეცხრე ტალღა, მე კი - ნაპირი,
არ დავივიწყებ, რასაც დაგპირდი...
ცელის მოსმამდე ზღვა უნაპირო,
უძირო ტბა და გზა უჭაობო.

ალმოდებული ჩემში გრძნობები,
მრავლდება, როგორც ექო ხმოვნების,
ზღვის ნაპირებზე, ვით მედუზები
და ქვირითები, ოქროს თევზების.

ხო, გავეხვიე ტალღის მორევში,
ვით ქვიშა წყალში, ვით თევზი ზღვაში,
ხო, ვრჩები შენში და შენს ტალღებში,
დავიმალები მე შენს მკლავებში.

ირგვლივ მტრედები და თოლიები,
შენთვის ღია აქვს გულს დარაბები,
შენ მეცხრე ტალღა და მე - ნაპირი,
არ დაივიწყო, რასაც დამპირდი...

20.07.2011 წ.

არტოხელის მანდილი

პირს აქეთა ბარისახო,
პირს იქეთა შატილი,
ფიქრით დათვიჯვარს გადავა,
არტოხელის მანდილი.

ჟინვალიდან შატილამდე,
ყველას ჯვარი სწერია,
ქალავ, მანდილს გაუფრთხილდი,
ცხოვრება ბეწვზე ჰკიდია.

ბარისახოელ ქალისთვინ,
არღუნზე უკეჭნავიათ,
ლოდებს სისხლი ამჩნევია,
შატილს დედები სტირიან.

ლეჩაქი რად მოიხადა,
დალალ რად გაუწეწნია,
არაგვი ადიდებულა,
არტოხელ ქალსა სწყევლიან.

ქალავ, მარტოკა ნუ დახვალ,
ტყის პირს ტურები ყმუიან,
უღელტეხილს ნუ გადახვალ,
გზები უმგზავროდა ყრიან.

09.08.2022 წ.

დარჩენილი დღე ხარ

ცრის,
როგორ ცრის,
ციდან კი არა გულში ცრის.
წვიმს,
როგორ წვიმს,
ქუჩებს კი არა,
ღაწვებს აწვიმს.
ყველა უშენო ღამეს ცრის,
ყველა უშენო დღეებს აწვიმს.
ქრის,
როგორ ქრის,

ქარი კი არა ცხოვრება ქრის.
თოვს,
როგორ თოვს,
ფიფქად კი არა,
თმაში შერეულ წლებად თოვს.
უშენოდ ცხოვრება არ ღირს,
შენი ჭაღარის ყურება არ მღლის.
მათრობს,
ო, როგორ მათრობს,
ღვინო კი არა,
შენი სურნელი მათრობს.
მწვავს,
ო, როგორ მწვავს,
ცეცხლი კი არა,
შენი თვალები მწვავს.
დავთვერი,
                    დავიწვი,
                                ცხოვრებას განვიცდი,
მიჰქრის და ვბერდებით,
                                ვაი, თუ ვერ იგრძნო,
დღეს უფრო მჭირდები,
                                დღეს უფრო მიყვარხარ.
დარჩენილ დღეების
ქარი ხარ,
                    წვიმა ხარ,
                                    თოვლი ხარ,
                                                ღვინო ხარ,
დღეს უფრო მიყვარხარ.

22.11.2021 წ.

არაფერი მთავრდება

შენზე ფიქრი წარსულად არასოდეს მექცევა,
გულში შემოღამება წამიერი ქარია,
თვალზე განა ცრემლია, წვიმა დამწვეთებია,
განა გავჭაღარავდი, ზამთარს დაუთოვია.

შენი გულის ფეთქვები ჩემს გულამდე მოსულა,
შენი ყელის სურნელი ჩემს ყელს შემორჩენილა,
შენმა შემოცინებამ გული გამიხალისა,
ფიქრში ისე დავქრივარ, ვით რაშები ზღაპრისა.

დილით შენი სალამი, ღამე ძილინებისა,
სასთუმალი თბილია? შიში შემომეჩვია,
სუნთქვას გითვლი ასამდე, პულსი ძლიერ მშვიდია,
საბანს ნელა გისწორებ, არ დაგიფრთხო ძილია.

ისევ მიდი-მოდიან გზად გვიანი მგზავრები,
თუ რამე დამავიწყდა ეგ სიბერის ბრალია,
განა აღარ მიყვარხარ? სკლეროზები დამჩემდა,
შენზე ზრუნვა წარსულში არასოდეს დამრჩება.

სიბერეში რა შემცვლის? რამ არიოს გონება?
მითხარ, რაში იცვლება შენი ეგ ამბორება?
გულსაც შემოღამება წამიერად ეკვრება,
არაფერი მთავრდება, მხოლოდ წლები გორდება!

02.12.2019 წ.

ჯადოსნურ ღამეს

ნაზი მელოდია, ვალსი ზამთრის,
ნათალ თითებში თუთუნი იწვის,
მკრთალ სანთლის შუქზე ეცემა მთვარე,
მესაიდუმლედ დაგვიდგა ღამე.

კედლიდან გვიცქერს ჩვენივე ლანდი,
ამ წუთში ლანდიც მეზედმეტება,
ერთი დღით მაინც გადავდოთ დარდი,
სანთელს ვუბერავ ეგოისტურად.

ოთახში თვალი საუბრობს ორის,
ღამე ნათევი, ჯადოსნურ ღამის,
რაღა ვინატრო ამაზე მეტი,
აქ ყველა ნატვრა არის ზედმეტი!

01.01.2016 წ.

გული არ დაბერდება

სიყვარული შევსვი და მთვრალი დავიარები,
ცოტა ფეხიც მერევა, მგონი უკვე ვბერდები,
ხევში ჯანღი ჩამოწვა, ვერ აფრინდნენ მტრედები,
გაზაფხული ახლოა, იებს დაველოდები.

ერთად უნდა გავლიოთ ამ ცხოვრების სავალი,
აგერ გრძელი გვირაბი, აგერ მატარებელი,
ლიანდაგებს გავუყვეთ, შენ, მესაჭე, მე, მგზავრი,
საწყისია სიბნელე, გვირაბს ბოლოს ნათელი.

მალე ირიჟრაჟებს და გაგვათბობენ სხივები,
ოცი წელი განვლიეთ, ორ ამდენს დავჯერდები,
მე უშენოდ ვერ გავძლებ, მეყინება ბეჭები,
უჩემობას, ვიცი რომ, შენც ვერ შეეგუები.

შუა ზღვაში შევცურეთ, არ გვაშინებს ტალღები,
ერთად დავიბადეთ და ერთად გარდავიცვლებით,
ცოტა ბუზღუნა გყავარ, ცოტაც უხასიათო,
თუ აქამდე მიძლებდი, ცოტაც უნდა გამიძლო.

არასოდეს გაივლო გულში ეჭვიანობა,
სიყვარულს ნუ დაჩრდილავ, არ უხდება ტყვეობა,
თუკი გამანებივრებ, გული არ დაბერდება,
ხევში ჩამოწოლილი ჯანღიც უმალ გაქრება.

18.12.2020 წ.

ვინ იცის

ვინ იცის, საით მიგვაქანებენ,
ჯერ არ დამდგარი დღეები ხვალის,
ვინ გათვლის ანდაც, გაწვიმდება თუ,
ფიფქებს დაგვაყრის იდუმალ ღამის.

წამოუქროლებს ქარი დეკემბრის
და ნამქერს, ალბათ, გულზე დამაყრის,
მე არ მაშინებს ქარი, ნამქერი,
მე კვლავ გამათბობს შენი ნამღერი.

სანამ ბაგიდან ისმის ჰანგები,
შენს ხელის გულებს ჩამოვადნები,
პერანგიც მათბობს შენი, ჩითისა,
ვით შეციებულ ბარტყსა ჩიტისა.

სანამ ბუხარი არ განელდება,
სანამ კერია არ გაცივდება,
სანამ ჭრიალებს ჭიშკრის კარები,
ვერ შემაშინებს ზამთრის ქარები.

26.12.2021 წ.

რანაირი ქარებია

სუბ-სარქისის ქარებია ატეხილი,
თებერვალმა მოიქნია ზამთრის კუდი,
ჩემს ვარდებსაც გაუძარცვა თეთრი ქურქი,
ბებერ ჭადარს ჩამოტეხა ხმელი ტოტი.

ხელებს ვითბობ შეკეცილი ლაბდის მკლავით,
ხელთათმანი დამეკარგა ზღაპარივით,
რა უღმერთოდ დამიმსხვრიე ძვლები ქროლვით,
ვერ ამირევ მოგონებას სიზმარივით.

მზის სხივს ჩამავალსა ვეტრფი,
ამომავალს ნისლი ჰფარავს, აღარ ველი,
დღე წარსული ქარებს ისე მივაბარე,
ვით სუბ-სარქისს შეწირული „თათრის მკვდარი“.

14.02.2004 წ.

შენ რომ არ მყავდე...

ამო!
მეწვიე, ჩემო მზეწვერავ,
ვირწევი,
ახლა მჭირდება შველა,
ყველას ველევი და შენ კი ვერა,
კერა სხივების ვიხმე საშველად.
ამოიწვერე, ჩემო მზეწვერავ,
და...
ზვერე ზვრები...
ჩემო ლაშქარო,
ქარო,
ჩადექი, ნუ აკრთობ წვერას,
ვერ ააგორებ ტალღების ერას.
ამო!
იწვერე, ჩემო მზეწვერავ,
წამოდგომამდე დამასწარ რბენა,
შემოურბინე ბარდებს ეკლიანს,
ლიანებივით ეხვიე ბგერას.
ამოიწვერე, ჩემო მზეწვერავ,
ეწვიე ავ-დარს, ათბობდე კედარს,
ყრუდ,
მუნჯად დარჩი,
დღეს ქარიშხლიანს.
ამო!
მეწვიე, ჩემო მზეწვერავ...
მცრიან...
უშენოდ დღე არ მეწვევა...

13.08.2021 წ.

და როცა წავალ...

ვიცი, მომიტან იებს კონებად,
ნაბდად დაღალულ მხრებზე მომისხამ,
სისხამ იჯდები საფლავის ქვასთან,
მოგონებები თვალში გიელავს.
...და რამდენ რამეს აწ არჩადენილს,
ნისლის დაცვარულ დარდებად შეკრავ.
არც გლოვას ვითხოვ, არც რა ივალო,
ყველამ თავისი ჯვარი ატარა.
უღლის გამწევი, რომც შეიცვალო,
გულში დამტოვე კუთხედ პატარად.

24.08.2022 წ.

ტრადიციულად

დღეს ძველებურად გავაცილოთ შემოდგომა,
ფარჩის შრიალით,
კვლავ ძველებურად აივნიდან ვუმასპინძლოთ,
სუსხიან ზამთარს.
კვლავ ძველებურად ორზე გავშლი,
აივნის ბოლოს,
სუფრას მოჩითულს
შემოვუსხდებით,
ვიჭუკჭუკებთ იმერ-ამერზე.
შენ ჩაის ირჩევ მალინიანს,
მე კი შავ ყავას.
პლედს მოგაფარებ,
არ გაცივდე,
ამ გულს სჭირდები.

და გავაცილებთ შემოდგომის უკანასკნელ დღეს,
უკანასკნელი ჩამოცვივა ხმელი ფოთოლი.
მზე ველარ მზეობს,
შეპარვია ამინდებს სუსხი.
ჩვენ არ გვადარდებს ამინდები,
როცა ერთად ვართ,
ერთმანეთს ვათბობთ თბილი სიტყვით,
თბილი თვალებით.
ვერ შეგვაშინებს ჩვენ ზამთარი,
ჩვენი თვე მოდის.
ზამთრის საწყისი,
საწყისია ჩვენი ცხოვრების.
არ დავივიწყებთ ტრადიციებს,
სანამ ერთად ვართ.
ასი წლის მერეც,
არ გაუვა ყავლი ჩვენს, გრძნობებს.
ასი წლის მერეც...

30.11.2020 წ.

გულის სკივრები დახურე

გულის სკივრები კარგად დახურე,
სულის საკინძე მაინც შეიკარ,
ნუ გაშიშვლდები, შენ არ გიხდება,
გაშიშვლებული ტყეც კი არ მიყვარს.

როგორც უხდება ტყეს გაზაფხული,
ისე გიხდება იდუმალება,
დაბურულ ტყეში რა სჯობს ხეტიალს,
იდუმალ ქალის სულში ნაკვერჩხალს.

დაუპყრობელის დაპყრობა მხიბლავს,
ნაგროვებ ფიჩხით ცეცხლის დანთება,
მიუწვდომელის მიწვდომა მიყვარს,
ჩამქრალი ცეცხლის აგიზგიზება.

თავგადახდილი სკივრიც არ ფასობს,
დაიბუდებენ მასში ეშმები,
ხოდა, შეიკარ გულის საკინძე,
ხოდა, დახურე გულის სკივრები.

მოვალ დაააა...
მეც შიგ ჩავიმალები!

06.06.2006 წ.

ქალბატონო!

რა სიწყნარეა, ქალბატონო...
რატომ დადუმდით?
თქვენგან მოველი პასუხს
კითხვაზე....
გთხოვთ, უსასრულოდ არ
მალოდინოთ.....
დაინდეთ გული გადარეული,
არეული, ასე ეული.
რა სიწყნარეა, ქალბატონო...
რატომ დადუმდით?
დუმილი მეტად კლავს ჩემს სიმარტოვეს,
თუ დამტოვებ, შიში არ მტოვებს...
არ ვიცი, ახლა რას გრძნობს

ეგ გული...
მაგრამ მე გელით...
ყოველდღე გელით...!
გთხოვთ,
უსასრულოდ არ მალოდინოთ..
დაინდეთ გული გადარეული!
დუმილი მეტად კლავს ამ სიმარტოვეს...

17.07.2017 წ.

მე ასეთი სიყვარული ვიწამე

სიყვარულს შევასხი ფრთები და
ვიფრინე, ვიცურე, ვიწამლე.
შენს ამოსუნთქვას ვერუდუნე,
ყველა ტკივილი დავადუმე.
ბილიკზე სადავე მოგანდე,
ცხოვრებას სულაც არ ვედავე.
სულს თალხი შემო-ააცალე,
მოღუშული ცა აამზევე.
ზამთარში ვარდი ააკვირტე,
ეკალი გზადაგზა აცალე.
აღმართი,
    დაღმართი,
        აღმართი,
            ვიფრინე,
                ვიცურე,
                    ვიწამლე.
ასეთი სიყვარულის მწამს და
ასეთი სიყვარული ვიწამე.

25.06.2001 წ.

როცა არა ხარ...

დაღამდა...
მე შენი ხალათი ჩავიცვი დღესაც.
დავიძინე...
                    მეშინოდა...
                                  არ გაგიმხილე.
თვალები დავხუჭე,
გონება გავახილე,
შენი სურნელება ჩემს ბეჭზე დავაძინე.
გათენდა...
შენი ფინჯანიდან მოვსვი ყავა,
შენი ბაგენის სიტკბოება ჩავაყოლე.
არა,
მაინც არ გაგიმხელ.
უშენო ღამეების მეშინია,
                                  არ ვამხელ...

03.07.2022 წ.

დაფიქრდი...

გამილიმე,
ნუ ბრაზდები,
წლები უცბად გარბის.
ცელქი გოგო,
შევერცხლილ თმით,
სიბერის გზას გადის.
მოიხედავ,
                    შემოგრჩება,
 ცივ კედელზე...
                                  ბრაზი...

გაღიმების ნაცვლად,
გაყინული მუნჯი სახე
და ზმანება ღამის.

06.06.2022 წ.

ცხოვრება მიჰქრის

-რა საოცარია ცხოვრება,
მიჰქრის და...
არც გკითხავს არაფერს.
ყოველთვის თავის გზით გატარებს,
ჩაგითრევს მორევში, გაქანებს.
სულ სხვა გზით აწყობდი გეგმებს და...
სულ სხვა გზას გიჩვენებს, გიმზადებს.
გაცინებს,
გაოცებს,
გატირებს,
დოლაბის ქვებივით ტრიალებს.
თითქოს და...
შენია ცხოვრება,
მაინც, სხვისი გზით გატარებს.
შეკაზმულ რაშს ელოდებოდი,
ულაყ ბედაურს გახვედრებს.
-რა საოცარია ცხოვრება,
აგაფრენს,
დაგაფრენს,
გაგაფრენს,
ისე, რომ არ გკითხავს არაფერს.

გაორებს,
            გაკენტებს,
                        გაწყვილებს...
თავის ნაკალმით გატარებს.
-ზოგს შუა გზაში ღალატობს,
ზოგს ჭიშკრის კარამდე აცილებს.
ჩემია,
        შენია,
                    მისია
და ბოლოს, მაინც სხვისია.

04.12.2012 წ.

დუელი...

აი, ისევ დაუბერა
ქარმა,
ისევ არხევს იასამნის
ტოტებს,
ყვავილს ისევ ეფერება
ნაზად,
სიყვარულში უნდა
გამოუტყდეს.
ცამ შურისგან გადმოღვარა
ცრემლი,
აქვითინდა, მიჯნური
გასტაცეს,
ჩაურეცხა ყვავილს ძველი
მტვერი,
თითქოს ლოცვად გაატანა

ნამი.
ოხ, დუელი გაუმართავთ
მათ ორს,
ქარი სამანს გაიტაცებს
და შორს,
მიმოფანტავს ანცი რხევით
თან, შურს...
წვიმამ როგორ გაუგრილა
გული.
ამ შურით და ბოღმით
გახელებულთ,
მზემ დუელში დაამარცხა
შურ-ბმულთ...
იასამანს შეუცვალა
ფერი
და მოხვია სიყვარულით
ხელი.

20.04.2020 წ.

ვით პირველად

სუსხიანი დღეა,
დღეა იანვარის,
ვზივარ მოაჯირზე
და ბავშვურად გელი,
შენთვის გამოვისხი,
კარგო, ხედავ, ფრთები?
იპარება ნელა,
ვით პირველი თოვლი,

დარჩენილი წლები...
ცასაც შეპარვია,
ოდნავ ბინდისფერი,
ფიფქებს ნაზად მაყრის,
დრო გარბის და ვჭკნები,
მაგრამ გული ისევ,
ისევ ისე გელის,
ვით პირველი დღენი,
ვით პირველი წელი.
მიყვარს ჩვენი შეყრის,
სიყმაწვილის წლები,
მოხველ, გამიმთელე,
გატეხილი გული,
კრძალვით შემომასხი,
სიყვარულის ფრთები,
სანთლით გამინათე,
დარჩენილი გზები.

11.01.2022 წ.

ლეგენდად ნაამბობი

ეს იყო წინათ,
როცა ქარი
აკრთობდა ფოთლებს,
როცა ბეღურას შეციებულს,
არ ჰქონდა ბინა,
როცა დღე იდგა
მზისა და მთვარის
გზაგასაყარზე

და როცა ხევში,
ბაყაყები დაყიყინებდა.
ამ ხევის იქეთ,
გორა რომ არის,
იმ გორის იქეთ
ცხოვრობდა ქალი,
ხის ფიცრულში,
ჭრაქის იმედად,
განდეგილი და
მუდამ მტირალი.
ელოდა სატრფოს,
მხოლოდ იმ ერთს,
ელოდა რაინდს.
არ გაიკარა,
არა კაცი,
თვალმომზირალი.
ასე გალია მარტოობაში,
ოთხმოცი წელი,
წლები მგმინავი.
მის მოლოდინში
ამოხდა სული.
გაცრეცილ ჩადრში,
დაკონკილ ძაძში.
დაკრუნჩხულ მუჭში,
ფოტო შერჩა,
სახე წაშლილი...

22.01.1997 წ.

ხელს არ გაგიშვებ

ჩაგეხუტები,
ხელს არ გაგიშვებ,
ფართოდ შემოგხვევ
ხელებს მარწუხად,
ჩაგიკრავ გულში,
ისე, როგორც,
ხე ეჭიდება დედაბუნებას.

19.05.2021 წ.

არეული ამინდივით...

ეჰ, რა ხდება ამ გულში, სული როგორ არია...?
ხან დეკემბრის ქარია, მოყოლილი ნამქერში,
ხან ივნისის დარია, მზესთან შესადარია,
ხან იანვრის ყინვაა, თავშლად წანაფარები,
ხან ენძელა ყვავილობს, თოვლში მოჩიტულები.
ზოგჯერ წამოუქროლებს, სუბ-სარქისის ქარები,
მაისივით ირევა სულში ეს ამინდები,
ხან წვიმაა შხაპუნა, ინამება თვალები,
ხან მზე გამოანათებს, იფანტება ჯავრები.
რიგში ურცხვად ჩამდგარან წვიმის, ქარის ჯარები,
სული არ ეპუება, გზას მიიკვლევს ჩრდილები,
-გულს ვუბრძანე, არ ჩაჰქრე, შეგრჩეს ტკბილი წამები,
სევდას გადააფარე საფიცარი ხატები.
არასოდეს არიო, როგორც კარტში დამები...
-ისეც არეული ხარ,
როგორც მარტში ქალები...

13.02.2022 წ.

დაგელოდები

დაგელოდები,
როგორც ვარდი ბულბულის სტვენას,
მიგალობე და ეს დროება გალობით შევსვათ.
დაგელოდები,
როგორც ღამე მთვარის ამოსვლას,
ვით მეციხოვნე ვდარაჯობდე შენს ამოსუნთქვას.
დაგელოდები,
ვით გვალვაში წვიმის წამოსვლა,
რომ გამიმთელო დახეთქილი სულის ბზარები.
დაგელოდები,
ვით სნეული წამლის დროს მოსვლას,
რომ უმკურნალო გაფრენილი ფრანების მოსვლას.
დაგელოდები,
როგორც ვენახი რთველის დადგომას,
ხნულბილიკებზე გამოვკრიფოთ ეკალბარდები.
დაგელოდები,
ვით კალენდრის ბოლო ფურცელი,
ჩვენი სახევი-მონახევი დე იყოს ვრცელი.
დაგელოდები,
როგორც გედი ყელმოღერებით,
თეთრი თმის ღერით...
                დავტკბეთ ცქერით...
                ასე გიმღერი.

 დ ა გ ე ლ ო დ ე ბ ი!

18.12.2001 წ.

ორი დუმილით...

არ მოხვედი და არ გამიხდი სულის ზიარად,
სევდა მოვისხი, ტირიფის ხეს ვუთხარ წყვდიადად,
დაისს მახვედრა დუმილით და არ იხარხარა,
ქოლგად მაფარა ტოტები და უფრო დახარა.

ფრთა ჩამომტეხე, როცა ფრენა უნდა მესწავლა,
კვლავ ჩაიფერფლა მონატრება დღესთან მზიანად,
მე მტირალა ხე გავიხადე სევდის ხვიარად,
ვიჯექ ხის ძირში, დაფერფლილი სევდა მაწვიმდა.

შენ არ იყავი, როცა ქუხდა, როცა გაწვიმდა,
შენმა დუმილმა გულის ფსკერი დამიზიანა,
ტირიფის ხე კი დადუმდა და ღამე მინანა,
სულს მტკენდა დუმილი და
დუმილმა მიწამლა...

13.05.1998 წ.

თოლია ყივის...

აენთო,
ჩაქრა,
წვიმს,
ელვას დაუბზარავს ცა...
სიო ქრის,
სუსხია ღამის,
მარტო ვარ ზღვასთან.
აგვისტოს თვეში,

ველარ მითბობ მხრებს შეციებულს,
თუმც არ მაშინებს,
აღარც ჭექა,
        აღარც ქუხილი.
მე უმზეობა,
                უშენობა,
                        უფრო მაშინებს.
რად შემოეხვა მზეს ღრუბელი,
ბედად სუდარა,
ავმა ზმანებამ რად იმართლა თავი,
იმ ღამეს,
გალაკულ ფიცარს რას ერჩოდნენ,
რად აჭედებდნენ.
ვზივარ,
        ვსველდები,
უსაშველო ტალღა მაფხიზლებს.
დღიურს ვწერ,
                ვნამავ.
                    ფურცელს ვხევ,
                                    თოლია ყივის...
ახლა მობუზულ,
უსახლკაროს ვდარდობ გოშიას.
დანამულ ფურცლის ჩიტებს ვაფრენ,
                                    თოლია
ყივის...

04.08.1992 წ.

წვიმს

წვიმს...
წვიმს
და მივუყვები ქუჩას,
სევდიანი დღე არის და
გულშიც ისევ ჩამეღვარა სევდა.
ამერია...
ამერია ფიქრები და
ბავშვობაში გადაეშვა ნატვრა...
ნეტავ იმ დროს,
ნეტავ...
ფეხშველი რომ მიხაროდა
ცეკვა.
უშიშარი...
უშიშარი ჯარი მომდევს უკან,
ჯარი ბავშვთა,
მეგობრების წრიდან...
არა ქოლგა,
არა ბოტი,
არა.....
ვსველდებით და არ გვანაღვლებს სეტყვაც.
გადაიღო...
გადაიღო წვიმამ,
ცისარტყელა გადაეკრა ცაზე.
ბავშვობაში მინატრია ბევრჯერ,
გადახტომა ცისარტყელას თაღზე...
გამოვფხიზლდი...
გამოვფხიზლდი, შევიმშრალე სევდა.
გზააბნეულს არც დღეს მქონდა
ქოლგა....

ხვალისათვის?
ხვალისათვის ველოდები კარგ დარს!
ხვალისათვის,
ველოდები ამბავს...

P. S.
სამწუხაროდ, გაავდრდა
და
შეწყდა ტელეფონის ზარი...
მაინც მჯერა, ზეგ იქნება
დარი!

07.07.1998 წ.

გინატრე

მოგისურვილე, გინატრე, ვით წყაროს თავზე იები,
ნუ მალოდინებ დაზაფრულს, ვით ყვავილობა გაზაფხულს.
სხვას არ გაუხსნა იცოდე, ნანატრი გულის კარები,
ვინძლო გზად შემოგეფეთო, არ ამარიდო თვალები.
ფეხუდგმელიდან დაგიკრეფ, ია-ენძელებს ზამთარში,
ოღონდაც შენმა მზერამა, გახეთქოს გული ფიცარში!

04.02.2022 წ.

მიჰქრის წლები

კარს იხურავს დეკემბერი,
მალე გავა წელი ძველი,
შემოგვადნა, როგორც თოვლი,
კვლავ შემოგვრჩა ბეღურები.
წარსულს მიბარდება მალე,
ჩვენი ძველი ქარიშხლები,
ბოლო ფურცელს შემოიხევს,
ჩემი ძველი კალენდარი.
კარს მოგვადგა იანვარი,
სუსხიანი ამინდებით,
მოდი, მომხვიე ხელები,
სანამ ერთად ვართ, ვიქნებით,
ვერას დაგვაკლებს ჩვენ წლები,
კიდევ მრავალჯერ მოვხიოთ
კალენდარს ძველი ფურცლები...

31.12.2020 წ.

-ნუ, და-დუმ-დით!

-და ვისხი და...
და ვლიე,
სიყვარული დავლიე,
სადღეგრძელოდ დავლიე,
დავაშავე განა რა,
რა, რა, რა?
ქალს არ შვენის დალევა?
თრობა! განა და ლევა...

ქვევრმა სთქვა
თუ ფიალამ?!
-ნუ, და- დუმ-დით...
ნუ, ნუ, ნუ...
ღვინომ ქვევრი გახეთქა,
სიყვარული დანამა!
თუ გიყვარს და
თუ ეტრფი,
დაისხი და დალიე!
ლიე, ლიე და ლიე...
თუ დაფრინავ, იფრინე...
ედემის ბაღს ედები...
გაიგოს და გაგიგოს,
იქნებ უკეთ გაგიგოს,
იქნებ არის ტანდემი!
იქნებ შენი ეშხი სწვავს,
„სერენადას“ გულში ჰკლავს...
სიტყვას მართალს თუ მალავს,
თუ ვერ ამხელს არათითის,
მარჯვენა ხელს...
თუ ამ ხელს...
თუ ვერ...
ვერ...
ამხელს...
აგრძნობინონ თვალებმან,
იქნებ გითხრას
კი...კი... კი...
თუ ორივე
და-და...
დუმ-დუმ...
დით-დით...
ვერ გიშველით კირიე!
-გულმა გული უნდა სცნოს,

უნდა შეისისხლხორცოს,
გული უნდა იწვოდეს,
მაგრამ არა სტიროდეს!
ცეცხლი უნდა ეკიდოს,
განა იფერფლებოდეს!
-გადამალე!
და მალე!
არა მწამს და არ მჯერა(ვს)...
-განა სხვისი ვინდომე...
მე!
მე!
მე...?
ჩემია და ჩემი მკლავს!
ღვინომ ქვევრი გახეთქა,
სიყვარული დანამა...
ნამა,
ნამა,
დანამა...
დამისერა გული მე,
განა დანამ,
ვაჟკაც მან!
ლამაზია ცხოვრება,
დასერილმა სთქვა
გულ'მან,
მან?
მან!
მან...
სიყვარული მაცოცხლებს,
ფრთები დამაქვს
თან,
თან,
თან!

16.01.2022 წ.

მაპატიე, ფანტელო!

ლექსად მინდა აგამღერო, ვფიქრობ...
ვინა სთქვა, რომ გაიცვითა ფრაზა...
სიყვარულსა მალვა უნდა თითქოს,
ცხრაკლიტულით გულის გადარაზვა.

მთელი ღამე უსაშველოდ თოვდა,
დათოვლილი დამხვდა ჩემი ოდა,
პაემანზე დამპატიჟა ფიფქმა,
მივეგებე, უარი არ მითქვამს.

სისხამ დილით აივანზე დაგხვდი,
დილის მადლი ცას მირონად სცვივა...
ხელისგულზე, ნამტირალევს ჰგავდი,
დაგინანე, გული ხომ არ გტკივა...?

გამილიმე, შენი ლოცვა მაპკურე,
ჩემს ღაწვებზე სიმორცხვესა კარგავ,
შენი ხილვის სილამაზე მარგუნე,
ჩემს მოსასხამს პეიზაჟად ქარგავ.

გავიარე, კვალი ვტოვე, თოვდა...
დათოვლილი დამიტოვე ოდა...
ქარი ქროდა, ნაკვალევი კრთოდა...
მაპატიე...
უგუნური ცოდვა...

17.01.2022 წ.

და მაინც...

გულზე დამაწვა შავი ღრუბელი,
ვგრძნობ ეს თვალებიც წვიმას აპირებს,
თუ გაავდრდება სულის სიღრმეში,
დარაჯად მაინც ღიმილს მოვიწვევ!

ბევრჯერ მყოლია სტუმრად ღრუბელი,
ბევრჯერ წვიმასთან მიპაექრია,
ბევრჯერ დავმარცხდი ბედის მწერალთან,
მაგრამ არასდროს დამიკვნესია!

დარდებს დავმალავ ფურცლის უჯრებში,
წამის სისუსტეს არ ვემონები,
თუ გაწვიმდება თვალის კუთხეში,
მეგობრად მაინც ღიმილს მოვიწვევ!

11.03.2022 წ.

მე და სევდა

მგონი მე და სევდა ერთად დავიბადეთ,
ალბათ, რომ დამშორდეს ისიც მეწყინება,
უკვე ისე მიყვარს, ჩემი ჩუმი სევდა,
რომ ვიცინი ვფიქრობ, ხომ არ ვუღალატე.

შემიყვარდი მგონი, ჩემო ჩუმო სევდავ,
და ამ სიყვარულის დაფარვაც ვისწავლე,
ოთახში გკეტავ და ღიმილს დავატარებ,
შენც რა ერთგული ხარ, სცადე, გაიპარე!

ღამით გადავიცვამ ისევ სევდის პერანგს,
თმებს დავუვარცხნი და ვეტყვი, დაიძინე,
აღარ დავასველებ ბალიშს სევდის ნამით,
უკვე ჩემი ხარ და უკვე შეგეჩვიე...

19.05.1999 წ.

სიბრძნის ყვავილი

სიმწიფეში რომ შედიოდა ყვავილი ნუშის,
გაყვავილება არ აცადე, დაჭერი გულში...
მიყვარხარ ძლიერ, ფიცულობდი,
თითქოსდა
გუშინ...
ვინმეს რომ ეთქვა, ორპირია-ფიცი და
მრუში,
ყურს არ ვუგდებდი, ისე ლამაზად ცრუობდი
მაშინ...
შენი სახლის წინ, წელსაც ჰყვავის ალბათ ის
ნუში...
მაგრამ დავბრძენდი,
ველარ დამჭრის
ვერავინ გულში!

01.01.2000 წ.

ესაც გაივლის

გარდავიცვალე...
გეფიცები, გარდავიცვალე...
ფერი ვიცვალე,
სული დამძიმდა...
არ ვიცი, რატომ,
გეფიცები, არ ვიცი რატომ...
წვიმის ბრალია, ალბათ, სევდა
რომ მომერია.
ამოდი, მთვარევ, ამოდი მალე!
დღეს ძლიერ ველი შემოღამებას...
დაღამდეს იქნებ,
მალე დაღამდეს!
და არ გათენდეს, სულს ასე უნდა...
წამების ისარი ჯიუტად წიკწიკებს...
კედლის საათზე ჯერ სრული ათია...
ცოტაც და მწუხრიც მალე დაწვება,
გულში დემონი ცეცხლად ანთია!
მთელი ცხოვრება დოგმებში განვლე...
და ახლა დოგმა შემომაწყდება!
სულში დემონი შემომისახლდა...
სულს დამძიმებულს ჩამისაფრდება...
აფრინდეს იქნებ, ცაში აფრინდეს!
დედამიწაზე აღარ სურს ყოფნა...
სულის სიმშვიდეს თუ მოვიპოვებ,
გინდ ცაში ვიყო...
არ ვიყო სულაც!
დღეს მინდა შველა,
მხოლოდ დღესა გთხოვ,
ხვალ იქნებ არც კი გათენდეს დილა...

დღეს დამიხსენი დემონებისგან,
ან დღეს,
ან არასდროს არ მინდა ხილვა!
შემომაცალე სევდის მარწუხი,
ყელზე მიჭერენ, ვით მაცეცები...
არა ვარ კარგად,
გეფიცები კარგად არა ვარ...
ცრემლი ააგორა ჩემმა თვალებმა,
თვალიდან ღაწვზე,
ღაწვიდან ბაგეს გადააგორა...
შენ თუ უშველი სულის სიმძიმეს,
დღეს და ამაღამ!
თორემ ხვალ უკვე იქნება გვიან...
ეგ მაუზერი გადამალე,
ხელი არ წამცდეს...
შენ არ დაგბრალდეს,
ჩემი სულის ვერ გადარჩენა!

05.05.1995 წ.

არ ვიგვიანებ

ჩემი საათი,
არცერთი წამით არ იგვიანებს.
ჩემი საათი ხუთი წუთი მუდამ წინაა!
როდესაც გეტყვი, მე მოვედი...
-ადრე მოვედი.
იცოდე, შენ არ დაიგვიანე.
როდესაც გეტყვი, მე მივდივარ,
ხუთ წუთს გიტოვებ...

-ხუთ წუთს გიტოვებ, დასაფიქრებლად.
თუ წუთით წყდება,
წუთისოფელში ყოფნა-არყოფნა,
მე ხუთ წუთს გაძლევ,
შენი ფიქრის გადასაწყვეტად.
-მე კი არ ვასწრებ ამ ცხოვრებას,
კი არ გავრბივარ...
„ფორა“ მივეცი....
რომ მარათონში არ გავასწრო
ჩემს ბედის მწერალს!

10.11.2001 წ.

სკლეროზ...

ის ხუთი წუთიც აღარ დამრჩა,
მე რომ დაგპირდი,
წლებში შეველ და
სკლეროზები შემომეჩვია,
თურმე სიბერეს ასე სცოდნია,
ხოდა, წავედი, ნუღარ დამიცდი,
ახლა ნამდვილად მაგვიანდება.
წლებში შევდივარ, არ გამიბრაზდე,
გულმავიწყობა შემომეჩვია,
ის ხუთი წუთიც აღარ დამრჩა,
მე რომ დაგპირდი,
ჩემი საათიც ჩამორჩენილა...

11.11.2021 წ.

ვუყვარვარ - არ ვუყვარვარ

პირველ კლასში რომ დაგინახე გვირილით ხელში,
მას მერე გულში ჩამივარდი, გვირილა გოგო,
მას მერე მრავალ წელმა განვლო, უკვე დიდი ვარ,
ახლა ვდგავარ და ვპუტავ გვირილებს.
ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ,
ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ,
გვირილა გოგო,
ვერ ამომიხსნია.

31.10.2021 წ.

სიზმარი

დავივლი ნაპირებს,
ზღვისას და მინდვრისას,
კენჭებს დავეძებ,
ფერადს და გულისას,
გვირილებს დაგიკრეფ,
ხასხასა მინდვრისას,
კონებად მოგიტან,
სიხარულს მინდვრიდან.
ვიპოვე...
ვიპოვე!
გულის ქვა ვიპოვე,
მინდა, რომ გახარო,
მინდა, გაგახარო.
დაგეძებ...
ვერ გპოულობ,

სიზმარშიც არ ჩანხარ.
სადა ხარ?
            სადა ხარ!
                        სადა ხარ...

19.08.2021 წ.

ხსოვნა

მოვუყვები,
ჰო,
ზღვას მოვუყვები,
ჩვენს ამბავს,
ნაპირთან დარჩენილს.
როგორ დამიტოვე თანამგზავრად,
ბავშვობის სევდიანი წარსული.
ახლა,
ღამეა და ზღვას არ სძინავს,
ტალღებს ანარცხებს ნაპირებს.
ახლა,
შემოდგომის ნიავი უბერავს და
მე კი,
ზაფხულსა ვგრძნობ რეცეპტორით...
ახლა,
ღამეა და თოლიებსაც სძინავთ,
მარტო ზღვას არ სძინავს
ღელვაშტორმით...
ვუყვები ჩვენი შეხვედრის ამბავს...
მახსოვს,

იმ დღისით ტანს რა გემოსა,
მახსოვს,
რევერანსი ღიმილით.
(გამომიწვიე)
ჯერ იყო ტანგო...
მერე
      ვალსი...
და ისევ ტანგო...
ასე გავტეხეთ ცეკვაში ღამე,
ასე ცეკვებით შევხვდით ალიონს.
მერე...
მერე შეცურე და ზღვამ ჩაგიკრა,
ისედაც ზღვისთვის შექმნილი
სული...
და მე,
ყოველწელს ნაპირთან გელი...
ცხოვრებისაგან დაღლილი მგზავრი...
ჩემი პასუხი არც გაგიგია...
ღრმა ბავშვობაში
                ჩარჩა წარსული...

03.03.1992 წ.

არდადეგები

-ადლერი...
ზღვის ნაპირი...
დილა,
ისე-რა მზის სხივები...
გამთბარი კენჭები...

დაზაგრული გოგო-ბიჭები.
-თამაში,
ბანქო ნაპირთან,
წაგება-მოგება,
გამურვა...
კისკისი...
-გართობა,
„ვისი სული გსურს“,
შენ ჩემი...
მე შენი...
„მიფრინავენ წეროები“
ტაში უფრო ნაზი...
-შუადღე,
თაკარა მზე, ცხელი კენჭები...
თავშესაფარი წყნარი კაფე...
ყავა,
ნაყინი,
მსუბუქი ფლირტი...
-საღამო,
სავსე მთვარე, მოჭედილი ცა...
გრილი კენჭები, ცხელი გულები...
ნაზი მელოდია...
ხელი-ხელ ჩაკიდებული
ბედნიერი წყვილი...
მიუყვება ზღვას...

01.08.1990 წ.

მე ვლოცულობდი

მე ვლოცულობდი ხატის წინ შენთვის,
ეკლესიაში ვანთებდი სანთლებს,
როს პირტიტველამ შემოიცვი
შენ მუზარადი,
სამშობლოსათვის გიძგერდა გული.
არავინ უწყის ვინ მართალი
და ვინ მტყუანი.
ქროდა გრიგალი
და დღე იყო ჯოჯოხეთური,
იდგა შობა დღე,
იანვრის შვიდი,
მაგრამ დღე...
დღე არ იყო მშვიდი.
ზარია..
გული რად შეკრთა?
გული რად შეკრთა, ვით დამფრთხალი ჩიტი.
არ ვიცი რატომ, არ ვიცი რისთვის,
წინათგრძნობა მქონდა ავი...
-და ეს გული არც შემცდარა,
საშინელი დატრიალდა ქარიშხალი,
დღე დამიდგა ჯოჯოხეთის შესადარი,
როს მაუწყეს, შენმა გულმა შეაჩერა ბაგაბუგი.
ყოველ ჯერზე, როცა რეკავს ტელეფონი,
როგორც ჩიტი დამწყვდეული,
კრთება გული.
მინდა ყურმილს ჩავუძახო,
როდის მოხვალ გელი,
გელი...
მაგრამ უცებ მახსენდება...

მეკუმშება გულის კუნთი,
აღარ მყავხარ,
აღარ მოხვალ,
ორი თვის წინ გამიფრინდი.

07.03.1992 წ.

გშორდები

გირეკავ,
უკვე რამდენი ხანია.
გავიდა დღეები,
კვირები,
თვეებიც...
გაფრინდა წლებიც
და...
პასუხი არ არის.
ყურმილში არ ისმის
ალო-გისმენ...
მეგონა,
ლოდინი შემეძლო უსაზღვრო...
მეგონა...
შევმცდარვარ...
დავკიდე ყურმილი...
წავშალე ნომერი...
ვალაგებ ჩემოდანს...
აი, ასე, უბრალოდ...
უბრალოდ
        მივდივარ...
                  მივდივარ,
                              გშორდები...

19.09.1999 წ.

ვერტიკალური, ბრუნვადი

(გადამრჩენელი ძალები)

როგორ მინდა, ჩემს გარშემო, ყველა იყოს ბედნიერი
სამყაროში არ დიოდეს დაღვრემილი ჩვენი ერი.

თვალ-ბაგენი ივსებოდნენ მხოლოდ სიხარულის ცრემლით,
შუბლ-წარბები არვის ჰქონდეს შეჭმუხნულ-შეშურებული.

დილა-საღამოს მსმენოდეს სიკეთ-სიმრავლის ჰანგები,
 გულსა მუდამა ქარგავდეს სასიხარულო ქარგები!

რა გადაგვარჩენს?
ერთობა!
ქრისტიანობა, ერობა!
ვერტიკალური,
ბრუნვადი,
სიყვარული და მხნეობა!

28.12.2021წ.

რეისი №1998

თორმეტს უკლია თხუთმეტი,
ორზე გავშალე მაგიდა,
გულის ცემაა ზედმეტი,
გონება ამბობს, არ გინდა.
თორმეტთან არის ისარი,
დაიგვიანა აფრენამ...?
რადგან პირობა მითხარი,

არც მიფიქრია,
თქვა ენამ!
თორმეტს გადასცდა წამები,
ცა გაანათა მაშხალამ,
ცრემლმა დანამა თვალები
გულს ცეცხლი ააშაშხანა.
ამოვიოხრე, დავცალე,
ერთი ბაკალი
და კმარა...
ხელისგულით ვაქრობ სანთელს,
გული მეწვის, ხელი არა.
ალბათ, გული რომ გულობდეს,
ფეხით გადმოკვეთდი საზღვარს.
მესმის, ბაღში გალობს შაშვი,
- უკვე მოკლეს შენში ბავშვი.

ფიქრის კიდეს მივუყვები,
ტანზე გაუხდელად ვწვები,
არ შემდგარი რეისია,
არ შემდგარია მისია.

01.01.1998 წ.

ველოდი...

ჩემო ფურცელო, მესაიდუმლევ,
დრო,
დრო მოვიდა, ამის გამხელის,
შენ, რომ გეთხოვა დაუფიქრებლად,
დაუფიქრებლად გაპატიებდი.

შენ, სიამაყევ, ვერ დაძლეულო,
მე სულ პატარა ბოდიშს ველოდი...
განა გაგშორდი, განა დამშორდი,
ჩვენ სამუდამოდ გადავშორშორდით.
-ეს იყო წინა საუკუნეში,
არც სახე მახსოვს და
არც თვალები,
მეხსიერებას ვუთხარ წამშლოდი
და ახლა ლანდად რატომ მოხვედი.
ხომ არ დაგჩემდა მთვარე
ზნეული?
ან იქნებ სადღაც დარჩი
ეული?
იყოს რაც არის,
ოღონდაც მითხარ,
რომ არ დატოვა სულმა
სხეული.

19.03.2000 წ.

უმისამართო

რაა ცხოვრება?
თუ ამ გულმა არ გაიხარა,
თუ ბილიკები სევდითა და ნამით გალია.
თუ გაზაფხულზე არ ვიგრძენი
ნორჩი ბზის სუნი,
თუ თიბათვეში
თივის სუნმა არ გამაბრუა.
ვარდსა ვეტრფოდე

და უსუნო აღმოჩნდეს
სულაც,
ზღვასთან ვიდგე
და
ვერ ვისმენდე ტალღების
შრიალს.
თუ შემოდგომით
არ მომხიბლა მხატვარ ბუნებამ,
თუ ზამთრის პირზე
ფიფქები არ დამეთოვება.
ან რას მარგია ბუხრის ქონა,
თუ შეშამ გრძნობით არ იტკაცუნა?
სულს შეციებულს
თუ შენ არ მითბობ...
რაა ცხოვრება?
უმისამართო...

22.01.2018 წ.

მე მოვალ...

მე მოვალ მაშინ, როცა არ მელი,
მე მოვალ გვიან გაზაფხულისას,
მე მოვალ მაშინ, როცა იწვიმებს,
რომ ღაწვზე ცრემლი ვერ შემამჩნიო.

მე მოვალ მაშინ, როცა გრიგალი,
გადაივლის და ჩადგება ქარი,
მე მოვალ ღამით, სავსე მთვარისას,
რომ ვერ შემნიშნო ან თუნდ გენიშნო.

მე მოვალ, მოვალ, მოვალ, ძვირფასო,
გინდ გზას მიხერგდეს ზამთრის ყინვები
და როცა მოვალ და როცა გნახავ,
ვფიცავ არასდროს დაგეყვედრები.

17.04.2004 წ.

მოდი და...

ცა სიყვარულის ფერია,
მთვარე მიყუჩებს იარებს,
ამაღამ თუ არ მოვკვდები,
დილით მოგირჩენ იარებს.

თუ უარს მეტყვი ნახვაზე,
იყავ და მარტომ იარე,
მეც სხვას მოვნახავ, მზექალავ,
ვინც თვის გულს გამიზიარებს.

წერილ მოგწერე წინა ღამ,
პასუხ რად დაიგვიანე,
არ მიგიღია წერილ, თუ...
გამხელა დაგიგვიანე?

თუ სხვაა შენი წადილი,
იქნებ შენც დაიგვიანე?
მოდი, შაგიშრობ მაგ თოლებს,
არა და მარტომ იარე!

08.05.2022 წ.

ძველი სინემა...

სინემა, სინემა, სინემა...
ცხოვრება კადრებად იშლება...
ქუჩიდან ისმის სირენა,
მაფხიზლებს, ფიქრები მიწყდება...
ვისახავ პირჯვარს და უფალს ვთხოვ,
უშველოს, ვინც შესთხოვს გულწრფელად,
ნეტავი ყრუ ვიყო, ანდაც ბრმა,
ან უგულო და უდარდელა...
ღამდება,
თვალს ვხუჭავ ძლიერად,
მაინც არ მასვენებს კადრები,
ისე, ვით ძველი კარები...
ნასვრეტებიდან ქარები...
და სინემა...
ოხ, ისევ სირენა...

05.02.2002 წ.

დუმილი არ ნიშნავს დაცემას...

ახლა ერთსაც დავწერ, ერთხელაც გავაფრენ,
ველარ დამეწევა შავი ბედაური.
მოკვდა ის ქალწული, შენ რომ შხამი ასვი,
დედის რძედ შეირგო ყველა საწამლავი.
წამლად გამოადგა მწარე გაკვეთილი,
ნიავს გაატანა ღრმა სულის დარდები.
სხივი გააცოცხლა, ჭაში ჩავარდნილი,
ღმერთი ახსენა და წყალი პეშვითა სვა.
სხივებს გაატანა უთქმელი სათქმელი,
გზები გააგრძელა, დუმილის მსახური...

11.02.2000 წ.

არს გვიანი...

მე ხომ არ ვიცოდი რა-მეწერა...
შენი თვალებიდან ვიწყე წერა,
ნეტავ არ მესწავლა გადაწერა,
გულს ვერ მომიკლავდა ბედისწერა.

ასე უგრძნობი თუ დავრჩებოდი,
იქნებ სჯობდა არ გავჩენოდი...
ან წარსულს წვიმებად შევრჩენოდი,
გზის გასაყარზე არ გავჩხეროდი.

დღეები ერთმანეთს ცვლის ნამიანი,
თვეები გარბიან შარიანი,
წლები მიჰყვებიან ქარიანი,
ვდგავარ გასაყარზე...
არს გვიანი...

13.03.1999 წ.

დამსეტყვე...

დაიღალა,
ზღვაც კი აღარ ღელვიანობს,
აპრილისთვის უჩვეულოდ წყნარია და
ალიონზე მზის სხივს აღარ ეფერება,
არ გავამხელ,
 გამიმხილე მე დარდები.
მოიღუშა ცაც უჩვეულოდ თალხია,
გაბუტვია დედამიწას მზე

არ სწყალობს,
მიწა-წყალო, უსაშველოდ მედარდები.
წვიმამ მაინც გააპოს და ახარხაროს,
ოხ,
ვერ ვიტან
მე...
თევზივით დამუნჯებულ ზღვას...
დასეტყვე,
სეტყვავ, ობოლი დაიტირე,
დასეტყვე,
გული სულამდე გაუგრილე,
ცაო!
ჩამორეცხე დარდები, თალხები,
გადააცალე სუდარა...
ნაღვლიან ზღვას...

01.04.1995 წ.

უშენოდ

უშენოდ ვისწავლი ცხოვრებას,
მთას მთას შემოვკრავ და ვიყვირებ,
დასრულდა სევდა და ნაღველი,
დღეიდან შენ აღარ გიფიცებ.

რადგან ჩვენი გზები გაიყო,
რადგან არ ეცადე შეხვედრას,
მივყვები დაცვარულ ბილიკებს,
გპირდები, რომ აღარ ვიტირებ.

აღარც ზმანებაში გინატრებ,
კალაპოტს შევუცვლი მდინარეს,
აღმართში ავყვები დინებას,
უშენოდ ვისწავლი ცხოვრებას.

08.03.1998 წ.

როდემდის...

(თეთრ-შავ) კლავიშები
თითებ ჩაძირული,
გარღვეული სივრცე,
უკრავს სიმფონიას.
მგონი შოპენია?
-არა...
ბეთჰოვენი.
-აკორდ მაჟორული,
ამინდ მინორული.
ბნელი ოთახები,
უსანთლო შანდლები,
მლოცველ გარდაცვლილი
კედელზე ხატები.
წვიმის წვეთებია
თუ ღმერთის ცრემლები?
ჭექა-ქუხილია
თუ ბრაზობს გამჩენი?
სარკმელს გამოვაღებ,
დარდებს ჩავისუნთქავ,
წვიმას მოვუყვები
ბედის ირონიას.
-და როდის
და როდის,

სულთან სინქრონია?!
-მალე გათენდება...
-და მაინც,
როდემდის...

04.03.2000 წ.

შავიც თეთრია...

მაშინ, როდესაც სულს ღაფავდა აპრილის დღენი,
ქარი წიოკით აცილებდა ყმაწვილურ დღეებს,
ჩემს წინ აფრინდა ყელტიტველა მოცისფრო მტრედი,
გამოვეკიდე ცისფერ ბუმბულს, ცისფერ ოცნებებს.

ვდიე დაღლამდე, არ დავნებდი დაღამებამდე,
სალი კლდესავით მივაპობდი უმთვარო ღამეს,
ფეხი დამიცდა ღორღიანზე, წავიბორძიკე,
ვერც კი ვიგრძენი, ხელი როდის გავუშვი ბადეს.

წვეთ-წვეთ ვაგროვე კლდის წყალი და სული განვკურნე,
გაზაფხულისას მომიფრინდა შავი მერცხალი,
ჩამინისკარტა, ნაფოტები ამომაცალა,
თვალის გუგაზე შერჩენილი წვეთი დაცალა.

ტალახი ვზილე, სანამ ბუდე ამოვაშენე,
სისხლი წვეთავდა თითებიდან, მაინც ვაშენე,
წელს გაზაფხული შარშანდელზე უფრო მშვიდია,
წელს გაზაფხულის იარებზე არ მიტირია.
P.S.
არ ჰქონებია მნიშვნელობა, ვინ რა ფერია,
თუ გიერთგულა, ზოგჯერ, შავი უფრო თეთრია...

30.04.2000 წ.

ძველი კადრები...

ქარი დარაბებს უპირებს გახსნას,
საცაა ვალსი ეცეკვოს ფარდას,
თითქოს მესმის, შენი ნაბიჯები,
მებიჯები, გულზე მებიჯები.

სული ჩაძირული ზღვის ფონია,
ისე ველურია სიმფონია,
 სუნთქვა შეკუმშული ბგერებია,
თითქოს შენი გულის ძგერებია.

ქარმა დარაბა უკვე შემოხსნა
და ფარდამ თავი ველარ დაიხსნა,
შეჩერდი, წამო, არ გაფანტო,
ძველი კადრები უნდა დავხატო.

11.04.2000 წ.

ძველი ფირიდან...

ქარი ეფერება ნაზად ფარდას,
შორიდან ისმის ველური ტანგო,
უკვე მესმის შენი ნაბიჯები,
კედელზე ვაკვირდები ვან გოგს.

სული გახვეული ბურუსებში,
სუნთქვა შემიჩერდა, როგორც წინათ,
ისევ ვიმალები კულისებში,
ქარმა კი ღრუბელი გადაწმინდა.

ქარი ჯიუტობს და არ ჩერდება,
ფარდა ფრიალებს და არ ნებდება,
დამეხსენ, ქარო, უნდა დავჭრა,
ძველი კადრები, ძველი ფირიდან.

11.04.2001 წ.

არ მეპატიება...

სულს გაუხდია ჯანღი წარსულის
და შემოუცვამს მზისფერი კაბა,
აღარ ვიკერავ თალხ მოსასხამებს,
გამოღვიძების დღეები დგება.

არ მივიკარებ გულთან ავ ქარებს,
კარგად შევფუთე უკვე წუხილი,
მე გავიზარდე სევდასთან ერთად,
აღარ მაშინებს ჭექაქუხილი.

გზას ვერ გავყვები მე ნება-ნება,
ის დაკარგული დროც მენანება,
ახლა მეორე სუნთქვა მეხსნება,
დროს კარგვა, აღარ მეპატიება.

10.05.2001წ.

უმისამართო...

(წერილი)

წვიმდა,
უთავბოლოდ წვიმდა, ღამე...
ჰქროდა წერილების დასტა,
და მე,
უცხო წერილებში ვიცან ხელი...
შენი ბარათია, უსახელო.
ზოგჯერ ასეც ხდება,
გაწვიმდება...
ბარათი მოდის უცხო ქვეყნიდან,
უსახელო და უმისამართო,
მარტო შენა სცნობ ხელის პალიტრას.
იყო დღეები უფრო ამაყი,
როცა ბარათებს გულს ახატავდი,
იყო დღეები სავსე, ფერადი,
როგორც ნოტები იყო ჟღერადი.
აბა, რად მინდა დღეთა სიმრავლე,
თუ ეს სავალი ნატვრაში განვლე,
თუ ვარდობის თვის ექვსი
წლის თავზე,
გული წერილზე არ მიახატე.
არც მე დავაწერ ბარათს მისამართს...
ვკეცავ ფურცელს და ვახატავ,
არცა რას...
ისევ იქ ცხოვრობს ბავშვი...
ჯიუტი,
ძველ მისამართზე,
„ანაპის ხუთი“.

30.05.1998 წ.

დავდივარ, ვმღერი...

მახსოვს, როცა დაგინახე,
ფურცლებს თვლიდი გზადაგზა,
თმის ღერიდან აპარებდი თვალით მზერას, ხანდახან,
თვალი-თვალში გაგიყარე, მიზიდავდი თანდათან,
შენ შეპარვით მიყურებდი, ღაწვს მოედო ალმური.
არც რას ვნანობ, ის დღე გახდა საფიცარი, მეგზური,
ქუჩა-ქუჩა ვიმღეროდი, შემიყვარდა ქალწული,
ტანი სანთლის, მზერა თაფლის, გახდა ჩემი სასრული.
როგორ შვენის ნატიფ ხელებს საქორწილო ბეჭედი,
რა ლამაზად მიცურავენ ტბაზე წყვილი გედები,
მოლზე თეთრი ბედაურის ამჩნევია ფლოქვები,
სამ საათზე ირეკება ეკლესიის ზარები.
ამ ბოლო დროს მაყვალს ასდის სუნი იასამანის,
სთქვი და გული შემეკუმშა, ნიშანია ორსულის,
ახლა უკვე გზად ბილიკებს მივუყვებით სამი სული.
მინდა, ერთად ავირბინოთ ცად აწვდილი გორები,
დღეის მერე არ მაშინებს საზიდარი მორები,
ფურცელ-ფურცელ ნაგროვები დამიხურავს ბედჭერი,
სიხარულის ბასრი ხმალით კიდევ ბევრჯერ დამჭერი.

28.09.1993 წ.

უაზრობაა...

ღამეა ბნელი,
არაფრის მთქმელი
და როგორც გუშინ არავის ველი,
დღეს კიდევ ერთხელ გავტეხე აღთქმა
და ნიჩურტები მქონდა მაქმანად.
მძიმე დღეების გადასატანად,
წამლად ვარჩიე ისევ სატანა,
დღეს კიდევ ერთხელ ჩავიწვი ყელი,
ერთხელ მომიწევს კიდევ ატანა...
რა იქნებოდა ამ ჯოჯოხეთში,
საწამლავი რომ არ...
არ მეწამლა
და ყელის ნაცვლად დამეწვა მუჭში,
ღამე,
რომელმაც აცდუნა ფიცი.
ამაღამ ისევ გავტეხე აღთქმა,
ისევ წავაგე საკუთარ თავთან,
რა მნიშვნელი აქვს?
არსად მელიან...
და მაქმანები ვერ უშველიან...
უშენო დღეებს...
დღეებს,
რომელსაც ვიმოკლებ თავად.

10.06.1999 წ.

ძველი ჩარჩო...

მე მიყვარს შენი დახვეული შუკის ნაპირი
და ამ შუკაზე სახლი მდგარი ძველჩარჩოებით,
მე მიყვარს შენი ჩატეხილი კიბის რიკული
და ამ კიბეზე დალანდული შენი სხეული.

შენ მიდიოდი, მე სიზმრებში მელანდებოდი,
შენ მიდიოდი, შუაღამეს მე ლანდს ველოდი,
ნეტავ, ვის ერგო ბედისწერად შენი ამბორი,
ნეტავ, თუ არის ის მეორე ჩემებრ დამთმობი.

25.04.1998 წ.

უფასურია...

გული რომ ავდარს ინიშნებს,
ფიქრობ, მთავრდება ცხოვრება,
ყელში ჰაერი გეჩხრება,
ვერ შველი უჰაერობას.
გინდა, ამოსთქვა სათქმელი,
ენა გებმის და გიშრება.
(იქნებ გიშველოს გიშერმა)
ლუღლუღებ...
მაინც მატულობს,
გულზე ნადები ბზარები.
(უგუნურთ განაბზარები)
უოცნებია სიკვდილზე,
მაგრამ არასდროს
სხვის ცუდზე!

ცხოვრობდა,
კვლავაც იცოცხლებს,
ერთი მიზნით და შეგრძნებით,
ღმერთმა გამყოფოთ დღეგრძელი!
თუ ირგვლივ მყოფთა შურია,
სიცოცხლე უფასურია!

06.08.2022 წ.

ვჯერდები...

ვერ მოვერიე წუხელ სიბრაზეს,
ჭიქაში ვახრჩე,
ვრაზე ბრაზები,
თრობის საზღვარზე ვიდექ ფხიზელი,
ამოვანთხიე ღვინით დარდები.
ახლა იმ დაცლილ ჭიქასა ვგავარ...
რომ შერჩენია ჩემი ტუჩსაცხი...
მახსოვს, შურით რომ აგევსო ძარღვი,
ვერ აპატიე, შენ რომ დამარცხდი.
გამოუცხადე ჭიქას დუელი...
დაიფშვნა,
როგორც ველზე ჭინჭველი.
რატომ და რისთვის ვფანტე ნისლები,
თუ ისევ...
ისევ ნისლი მელოდა,
აქ მილიონი ფერი ანთია,
ჩემთვის კი მაინც სულ შავმნათია.
რამდენჯერ დავფქვი საფქვავში ბინდი,
მინდი ყოველთვის მიტოვებია

და მაინც ასე...
ასე ძლიერად,
არცერთი ნისლი არ დამიფქვია.
აქ სახურავებს ფარავს ისლები,
გულს მიმძიმებენ ბასრი ისრები,
თითქოს ვისწავლე დუმილის მოკვლა
და მაინც,
რატომ მეფერნისლები...

29.08.2000 წ.

ადამიანი...?!

ხან მიქცევაა,
ხან კი მოქცევა,
ქცევაა ნეტა უცხოსთვის შველა?
ვერა,
ყველა ხომ თავს ვერ ერევა?
ირევა ზღვაზე ამინდი ნელა,
ბნელა, ციკლოპი ტალღებში შევა...
ევა იხრჩობა, ეძახის ადამს...
დამას ნაპირზე მიართმევს ატამს...
ტატამს ტალღები მიაპობს ფეთქვით,
ვთქვით ხო?
ადამის ნეკნია ევა,
ვერ შეელევა ადამი ევას!
ელავს და ძლიერ გაჭირდა ხედვა,
ვხედავ შორს სადღაც ტრიტონი ცურავს,
უკრავს ტალღები ზღვის სიმფონიას...
ფონია რთული ცურვა გაჭირდა,

დაჭირდა ევას ადამის შველა...
ყველა გაჰყურებს მზის ჩასვენებას,
ნებას ტალღების დაჰყვება ევა...
რევანშს უცხადებს მზის დაბნელებას.
ბნელდება, მთვარე ამოდის ცაზე,
წამზე მიუსწრო ადამმა ევას...
-კერავს ნაპირზე მეთევზე ბადეს,
ბადებს ოქროს თევზს, მოზიდა მკლავზე...
თავზე დაიდგა შარავანდედი,
დედის ლოცვები გამოჰყვა ზღვაზე...
ზღვარზე, სიკვდილ-სიცოცხლის კვალზე,
ვალზე დაიდო წარსული მხარზე,
რაზე გაცვალა ცხოვრების ბადე...?
ბლანდე და ბლანდე, მეთევზევ, ბადე,
ადე, შეირგე დღეს სავსე ბადე,
ბადე, სიკეთე ცხოვრების გზაზე,
რაზე სიბრაზე, აჭენე რაში...
კარში აწყვია თევზების ბაში...
ამასობაში სულ დამავიწყდა,
მიაწყდა ხალხი ვაშლივით ატამს...
ტატამს გაჰყურებს რევანშით დამა,
-ადამმა ევა გადაარჩინა...?
-გადაარჩინა, ევამ ადამი.
-ევამ ადამი?
-ადამიანი...?!
-ადამიანი.

02.09.2022 წ.

მთვარესთან გელოდები...

მთვარის შუქზე ჩემს ჩრდილს შევხვდი,
დიდხანს ვიმუსაიფეთ,
ვსეირნობდით მთვარის შუქზე,
მე და ჩემი აჩრდილი.
თუ აღმართზე ავდიოდი
ჩრდილი მიმიძღვებოდა,
თუ დაღმართი შემხვდებოდა,
უკან ჩამომრჩებოდა,
თან ისეთი ჯუჯა იყო,
ხარხარი მიტყდებოდა.
აბა, სხვას რას მივედავო,
აბა, სხვა რას გამიგებს,
როცა საკუთარი ჩრდილი,
დაღმართებში გვერდს გიგცევს,
როცა წაბარბაცდები და
ჩრდილიც განზე დაგტოვებს.
ახლა, როცა მთვარეს ვსტუმრობ,
შენც მოგიხმობ, უფალო,
ადრე მხოლოდ მთვარე მყავდა,
მხოლოდ დარდებს ვუმხელდი,
ახლა ლოცვაც ვისწავლე და
ლოცვით ვესაუბრები.
გაიზარდა ჩემი მე და
ჩრდილსაც აღარ დასცინის,
წამოდგომა მასწავლე და
შენს ნაკვალევს გავყვები.
თუკი თვითონ დამტოვებენ,
წლებით გადაღლილები,
შენთან ვრჩები გულწრფელი და
მთვარესთან გელოდები.

05.09.2020 წ.

მე ვიქნები ტოროლა...

პაემანი ყველა სეზონს უხდება,
პაემანი ასაკს არ გვეკითხება,
ახლა უკვე,
როცა ვგრძნობ, რომ ვბერდებით,
ყველა დილა პაემანით იწყება.
ის სიმორცხვე სადღაც გადამალულა,
თვალს როდესაც აპარებდა მალულად,
სითამამე დასტყობია ჭაღარებს,
ახლა უკვე ყველაფერი ახარებს.
როგორ უცებ მოფრენილა სიბერე,
თმაც და ღაწვიც ოდნავ გამფითრებია,
სიბერესაც თავის ხიბლი ჰქონია,
მე კი თავი ისევ ბავშვი მგონია.
პაემანზე აღარ მინდა პატიჟი,
ახლა უკვე თავად გეპატიჟები.
მაგიერებს არ ვიყოთ და გპირდები,
პაემანზე აღარ დავიგვიანებ.

მე ვიქნები ანი შენი ტოროლა,
ყოველ დილას მზეს დავასწრებ ადგომას...

16.10.2019 წ.

თავს არ იკლავენ

დაიმახსოვრე, პაიკები თავს არ იკლავენ!
პაიკმა მხოლოდ შეიძლება თავი გასწიროს!
-და მეფეები?
მეფეები ტაშს არც გიკრავენ...
შახის წინ მდგარმა, შეიძლება თავიც შეაკლას...
-მეფემ?
არა პაიკმა!
დაიმახსოვრე,
პაიკები თავს არ იკლავენ,
პაიკი მეფეს მატისგან იცავს,
თუ როქი იგრძნო,
ტაშს არ ითხოვს,
თავს ისე სწირავს!

10.09.2002 წ

ოთახიდან-ოთახს მიღმა...

რეკს...
მზე ესვენება,
ბებერ ხეზე ტოვებს ანარეკლს.
ანა რევს,
იანი ჩეხს,
მე ვუკრავ,
(ნერვებზე)
„ავე მარია“...
რიგდება კარტი...

რაც არის არის,
ძინ-დნნნ....
ალბათ შვიდია,
სარკმლიდან ვუმზერ,
ხეზე ზის ჩიტი,
ხის ძირში ბოტი...
(ეშვება ბინდი)
ლეიბად ტოტი,
ფოთოლი საბნად გადაიფარა...
და დაიფარა,
ფრთის ქვეშ მეორე შემოიფარა.
ალალად წევს და ტოტზე ნებივრობს,
ნეტავ რას ფიქრობს...
რით იქრობს ნაღველს,
რომ სტანჯავთ მათ, ორს?
შოორს,
შორეთიდან,
დამშეული ჰყეფს ქუჩის ძაღლი.
სად არის ძარღვი?!
მაინც გაყინა...
ჩიტებს ძილს უფრთხობს,
დამფრთხალი ჩიტი-ჩიტს სითბოს უყოფს.
ვერ გაჰყოფს მატლს და
ნისკარტით-ნისკარტს ჩაუნისკარტა.
-კარტი არია...
კართან ზარია...
სანამ აჭრიან,
-იან, რეკენ, ზარია.
-არა, ეზოში ჭას თხრიან!
ამოათრია...
ვასწრებ დანახვას, გრძელი მატლია,

ამოანთხია,
ყვითელი ქარვა,
ნეტარებაში-ნეტარებით-
- ნეტარებამ-ნეტარ გაგუდა...
ჩიტი.
დაეშვა ბინდი...
გულჩვილი გავხდი.
ძინ-დნნნ...
-იან!
-ვიცი ზარია...
„ავე მარია“...
(ნერვებზე ვუკრავ)
-აჩეხე კარტი...
კართან დგას მარტი!

31.03.2022 წ

გაჰქრა

მყუდროებაა...
ბნელ ოთახში,
მბჟუტავი ლამფა,
თავისთვის ბჟუტავს.
აქ შავ როიალს დასდებია,
უსულო განცდა.
საუკუნეა აღარ ისმის,
ვალსი და კანკა,
დრომ მიივიწყა პატრონი და
კლავიშთა გამა.
მბჟუტავი ლამფაც, საცაა ჩაქრა,
მოგონებები უკვალოდ გაქრა.

აქ შავ როიალს დასდებია
უსიტყვო განცდა...
სიცოცხლე გაქრა...
სიცოცხლე ჩაქრა...

03.10.1998 წ.

მერე რა თუ...

სახურავზე ჯაზს ცეკვავენ წვეთები,
იდუმალ ხმას აყოლია ვნებები,
სულსაც მძიმედ დასტყობია იარა,
ჯაზს ვუსმენ და ველარ გამოიდარა.

გადაიხსნა ცამ ცისფერი ვენები,
შხაპუნობს და ჩუმად ვეჩურჩულები.
ამინდი და ხასიათი შებმულან,
ცა ტირის და გულის ცემას ვნებდები.

(ღრუბლები და მზის სხივები შერწყმულან,
გონი, ფიქრი ავ-ზრახვებთან გაბმულა).

მზის სხივიც ვერ მომიშუშებს იარას,
თითქოს ყველამ გულზე გადამიარა,
ველარ მშველის შავბალახას აბები,
წვიმის წვეთებს შერევია დარდები.

წვიმაც შეწყდა, ქარიც ჩადგა, ვერ ვხვდები,
ხეზე რატომ ქანაობენ თოკები,
ან გიტარას რად გაუწყდა სიმები,
თქვენ იცეკვეთ,
მერე რა თუ გშორდებით...

22.09.2022 წ.

დგნ-დგნ...

ხუჭავ თვალებს და
თიშავ ცდომილ ნერვს,
ავისფერ ფიქრებს,
შიმშილს უცხადებ,
რომ უნებურად
არ შემოგაკვდეს,
მარჯნის ეშვიდან,
ცეცხლის ალები.
გველეშაპის წინ
მარტო შემორჩი,
ფიქრში დაკარგე
საფიქრებელი,
შორით უმზერ და
აღარ განიცდი,
ლიანდაგიდან,
გზას რომ გადასცდი...
ფიქრები,
როგორც მატარებელი,
ხეებს ითვლიან
შორით დარჩენილს.
ქიმზე დგახარ და
თავბრუ გეხვევა,
მზე გადარჩენის
ბინდში ეხვევა...
შიშველ ხეებში
შენიშნე ბავშვი,
მარჯნისფერ ეშვზე,
შეგრჩა ღიმილი.
ხუჭავ თვალებს და

თიშავ,
ცდომილ ნერვს,
აღარ იღიმი...
დგნ-დგნ,
            დგნ-დგნ,
                        დგნ...

29.07.1999 წ.

მხოლოდ გწამდეს!

მე მინახავს სავსე მთვარე, გახლეჩილი,
წვიმა, ელვა, ვარსკვლავიან ღამის ცაზე,
მე მინახავს ქალი, ველად მოცეკვავე,
დარჩენილი ეული და მოელვარე.
შეიძლება, გაგხლიჩონ და ერთდებოდე,
შეიძლება, წვიმაშიც არ სველდებოდე,
გველი გკბენდეს, ვერ გშხამავდეს, ვერ გწამლავდეს,
ტკბილი სიტყვით ხვრელიდანაც ამოგყავდეს.
შეიძლება, ბედი გზაზე კვანტს გიდებდეს,
დგებოდე და ბედს არას გზით ნებდებოდე,
შეიძლება, თვალის ჩინი არა გქონდეს,
მაგრამ გული თვალსაჩინოს გუმან გრძნობდეს.
შეიძლება, ჯიბე გქონდეს ცარიელი,
მიზანი კი დაისახო გონიერი,
შეიძლება, ველად დარჩე ეული და
თუ იწამე, მაინც იყო ბედნიერი!

22.06.2002 წ.

ვინა სთქვა?!

ვინა სთქვა ფერებს კარგავს ასაკში...
გულში ალმურის გახუნება ვის გაუგია?!
ან თავად სიტყვა სიყვარული,
ათასჯერ რომ სთქვა,
(გაიმეორო ათასი წელი,
ასი ათასჯერ),
რა გაახუნებს ან რა გახდის ბანალურს, ლოცვას...
სიყვარულიც ხომ მირონივით შუბლცხებულია?!
თავად ლოცვაა,
დალოცვაზე მეტი ძალა აქვს,
უღელშებმული ხარებივით აღმართსაცა ხნავს!
ეკლესიაა,
საყდარია მეუღლეების!
შეუღლებაა,
ერთად ხვნა და ერთად თესვაა!
წირვაა და შეწირვაა სულის და ხორცის!
მარხვაა და შენახვაა სულის სიწმინდის!
კანდელია და კანდელივით წმინდად ანთია,
იფერფლება და ფენიქსივით, ფერფლიდან ღდგება!
სიცოცხლეშივე,
სიკვდილი და დაბადებაა!
სულ სხვა ნოტია, ბუნებაში არარსებული!
ღამით მზეა და უფრო მწველი,
ვიდრე მზე არის,
დღისით მთვარეა,
ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ჰგავს...
ბეწვის ხიდია,
ბეწვის ხიდზე ბევრჯერ განვლილი,
მოაჯირია,

ბეწვის ხიდზე დასაყრდნობელი!
გაზაფხულია,
სამაისო ვარდზე ლამაზი.
აპრილის თვეა,
შემოფეთება იასამანის!
შემოდგომაა,
ბარაქა და იღბალი ბედის,
ვაზის ფესვია
და ხანდახან წყლის დასხმას ელის!
ყურძნის წვენია,
დამაჭრება-დაღვინებამდე.
დაზამთრებაა,
დაღვინება, სულის სიმშვიდე.
(როცა გიყვარს და როცა უყვარხარ,
სიბერეც არის გაუხუნარი)!
ვინა სთქვა ფერებს კარგავს ასაკში,
ან სიყვარულის გახუნება ვის გაუგია?!
P.S.
დაბერებამდე სულს მიიტან არწივის ფრთებით,
როცა გადათვლი მართვეთა ბუმბულს,
რა გაახუნებს ალმოდებულ გულს,
როცა ისმენ მომავლის ღუღუნს!..

24.11.2022 წ

ნურაფერს დამპირდები

მხოლოდ ერთი დღით არ გახსნა დარაბები,
მხოლოდ ერთი დღით,
არ...
ერთხელ არ ავდგები.
ერთი დღე, რომ ჰგავდეს ღამეს,
რა იქნება,
სულ ერთი დღით,
სულ არაფერს გავიგებდი.
დაღლილ სულმა დაიზაროს წამოდგომა,
შენს სასთუმალს,
ჩემს სასთუმლად დავიგებდი.
სარეცელზე გავატარო მთელი დღე და
არ მოუნდეს სხეულს სულთან შეწებება.
არ აკრიფოს გაბნეული ფალანგები,
აკოწიწოს ოცნებათა ლარნაკები.
არ შეკრიბოს გაფანტული აზრთა კონა,
სულ ერთი დღით,
ღამე იდგეს დღის გაზონად.
ხოდა,
ერთი დღით არ გახსნა დარაბები,
ავიკრათ პირები,
ნურას დამპირდები.
ვიმარხულოთ შუბლზე ცხების გარეშედაც,
საზიარებს ვეზიაროთ უღვინოდაც.
მხოლოდ ერთი დღით,
                    არ გახსნა დარაბები,
მხოლოდ ერთი დღით,
                    არაფერზე ვიდარდებდი.

23.02.2023 წ.

მუზას...

(დამტოვე)
ლექსი იკითხება ორნაირად,
ფრჩხილებში მოთავსებული სტროფების გარეშე,
ლექსს ჰქვია (დამტოვე)

არ წვიმს,
მე მაინც მაწვიმს.
არ თოვს,
მე მაინც მათოვს.
მზეა და მაინც სიცივე
მაკრთობს,
ფიქრებში ფიქრი
ფიქრებად მათოვს,
ამინდი წყნარი, უქარო, უტყვი.
გულში ქარია,
რატომ ვინ მეტყვის?!
რად მელეწება გულის ფიცარი?
მჩხვლეტს,
როგორც ზვინს ორწვერა ფიწალი.
ირეკლავს მინა მზის
ათინათინს,
ვიტრაჟში ვხედავ
ორეულს,
როგორ წუხს,
ტუჩებიც როგორ
გალურჯებია,
ვისვამ „პომადას“,
დამალავს ვითომ?!
გაცრეცილ სევდას...
პრინციპში ახლა

ეს სულერთია!
ხელის კანკალით
ვუკიდებ „ქემელს“,
ერთი, ორი, სამი
და...
ეს სანთებელაც
ჩემს ნერვებს წამლავს,
მე კიდევ ჟანგბადს...
სულ ერთი ყლუპი
ვისკიც რომ იყოს,
გავიქარწყლებდი
სევდას ნაღამურს,
მაგრამ არ არის...
ვიცვლი საღამურს...
ფხიზელმა როგორ
გავძლო ხვალამდის?!
ვგრძნობ, რომ მყიდიან,
როგორც იებს რვა მარტის
დილას...
ჩემს ემბაზიდან სვამენ და
მცლიან...
რამდენი რამის
თქმა მსურდა და...
(არ გეგონოს ვერ მოვუყარე
თავი,
სათქმელს...)
უბრალოდ ვატან ქარს,
როგორც ქნარს!
-მიზიარებ,
მაგრამ ვერ იზიარებ...
მტოვებ ალბათ,

კარგი, ნახვამდის...
ზიარება არც მითხოვია!
„ქემელს“ ვკლავ
და ვშლი კვალს...
ცოცხლადა მკლავ,
მაგრამ გერევი,
რადგან ჩხვლეტას და
სიცივეს ვგრძნობ,
ვსუნთქავ კვლავ...
მივყვები ქუჩებს,
გზა არეული
და სულერთია
სად შევჩერდები!
(აქ ხუნდებია
ათასი ფერის
მელანს კი ფერი
გახუნებია,
გიბრუნებ კალამს
წვერთან მოვერცხლილს,)
ვკრავ ყულფებს...
არ მაქვს უფლება
და არც იფიქრო,
სიკვდილზე ადრე
ვტოვებ სიცოცხლეს.
არა!...
თვითმკვლელობაზე
არც მიფიქრია,
ქისას ვკრავ ფსკვნილებად,
განა თავს გავყოფ...
არ მსურს მეორედ
არდაბადება...

-ხედავ?
იღიმი!
არ გაქვს პასუხი,
ისევ სიჩუმე...
მე დავილეწე...
როგორც ქარისგან
ის ლარნაკი,
ფარდის ფრიალით,
რომ გადმოვარდა;
აშარი ქარი ისევ
დარაბ-დარაბ დაეხეტება,
როგორც მაშინ...
-არც კი იფიქრო
შემორიგება,
შენ მეგობარი ჩემნაირი
არ დაგჭირდება,
(სულ რომ ტერენტის მუზა მეწვიოს
ან გალასავით ავლაპარაკდე,
მე მაინც გტოვებ, მძიმე ლოდი ხარ,
გულზე ხარი-ხარ ვეღარ გიტვირთავ,
არ მიხარიხარ)
წადი, დამტოვე!
აბა, რად გინდა
შენ მეგობარი,
რომელიც ღამის
ქუჩებში გაგცემს,
ჯერ დაგწერს
მერე გადაგხევს
მტვერში გაგახვევს...
მე გამოგაკლდი
და პრინციპში

არც რა დაგაკლდა,
მხოლოდ მოგაკლდა
საზრუნავი
მსუყე ულუფის,
ყოველ ღამე რომ
მიმზადებდი
მე უმადურს და
ასე გემდური.
გტოვებ, გშორდები...
ამ საღამოს,
ვიცვლი საღამურს...
-და თუ მეორედ დავიბადები,
აღარ შემომხვდე
ეკალბარდებთან...

10.10.2021 წ.

ქარს გავყვები...

ღრუბელი ტიკივით დაბერილა,
როგორც გიორგობის სამაჭრეთი,
ჭრაქით გამინათე ოცნებები,
სანამ ზეცაში არ ავიჭრები...
დღეს მაქვს ნირწამხდარი ხასიათი,
როგორც სანოემბრე ამინდები.
ოდეს ქარს გავყვე და დავიკარგო,
ინანებ, რომ აღარ გეყოლები...

06.11.2019 წ.

ვიცინეთ

ვღალატობ პრინციპებს!
საყვედურს ვიცილებ,
თავს ვხრი და
ვიცი მე,
შენ, ალბათ, ამაზე რამდენი იცინე...
ვღალატობ პრინციპებს!
გპატიობ სიყვითლეს...
ვყლაპავ, თვალიდან
წამოსულ, სიცივეს.
მეორე დღეს კი
დავლიეთ ორივემ
და მერე ამაზე,
ორივემ ვიცინეთ...

23.03.2023 წ.

მაშო-ს

ჩემი სიცოცხლე შენსას დაჰყვება,
გულში საუნჯედ ამოყვავილდი,
შენი თვალებით ვუმზერ სამყაროს,
შენთვის ვკვდები და შენთვის გადავრჩი.
ჩემი ცხოვრების კელაპტარი ხარ,
ჩემი ოცნების ფიქრი ფრთიანი,
ჩემი საყდარის გასაღები ხარ,
ჩემი ბილიკის წმინდა ლამპარი.
სადარდელიდან დღე ხარ ნათელი,
სანატრელიდან ნატვრის ამხდენი,
შენა ხარ ჩემი სუნთქვის მიზეზი,
შენით ვცოცხლობ და შენით გადავრჩი.

28.08.2021 წ.

Contents

რით ვანუგეშო?!

წუთისოფელის საჭვრეტელიდან,
ჩამორღვევია ცას კაბის კალთა,
ჩამოიღვარა ცოდვისგან ღვართქად,
ღამემ სიმძიმე ცის ვეღარ მართა.
ჩამოუარა წვიმამ წყვდიადში,
მარმარილოებს, დადუმებულებს,
მიუსამძიმრა ფოთლებს, ბალახებს,
ჩაუმწვარ სანთლებს, დაღარულ ხეებს.
დახეთქა მიწა, ძვალსალაგს მისწვდა,
ბალზამის სუნი ასდის ჯერ იმ წამს...
სამარადისოდ ქცეული ჟამის,
სიჩუმეში რომ გოდებით არის.
ჯერ ისევ ისმის წივილი ქარის,
საფლავებს შორის გიჟივით დაჰქრის,
რით ანუგეშოს...
ობოლი,
ქვრივი,
დედა...?!
დედა, რომელიც ძაძებში დადის...
რით ვანუგეშო...?!

19.04.2023 წ.

ვიხდი ტკივილებს...

მოვედი, ღმერთო,
ისევ მოვედი.
და ისევ ისე იმ სკამზე ვზივარ,
ტაძრის ეზოში უცვლელად რომ დგას.
უძლებს წვიმებს და უძლებს ქარიშხლებს,
მერამდენეჯერ დაუთოვია...
ვერ წაუშლია წლების სიბევრეს
ამოტვიფრული სკამზე ფიცრები,
რამდენი მრევლის მესაიდუმლე...
                მეც ვესაუბრე...
მხოლოდ შენ და ამ სკამს
გაქვთ ძალა,
სიტყვების ნაცვლად ფიქრების გაცვლა...
არ გაცემა...
        არ გადაცემა...
მხოლოდ აქ არის სულის სიმშვიდე,
წავალ და სულიც აილეწება.
...და როგორც წინათ, ვზივარ, მოგელი,
შენი იმედი არ მეკარგება.
სხვა დანარჩენი არც ღირს სათქმელად.
როგორც კი ჭიშკრის ზღურბლს გადავცდები,
ბიჯზეც ვერ ვცდები ცოდვათა ყოფას.
დაცლილი ვდგავარ,
                სული მიწივის,
ამ შემოდგომის ფოთოლსა ვგავარ;
დღეს ყველა ეტრფის ფოთოლთა ცვენას,
ხვალ მეეზოვე გადაგვის ალბათ,
გაზაფხულდება,
                ნეშომპალდება,

ზაფხულში არვის ემახსოვრება,
მზეც კი ნორჩ ფოთლებს
ეკეკლუცება...
-ვცდილობ, ავავსო სიცარიელე,
ვიგონებ წარსულს,
გადავიმღერე,
იქაც რამდენი ჭრილობა დამხვდა,
ალბათ, ბედად მხვდა
სიცარიელე...
გასაღიმებლად მაინც მეყო ქილა დაცლილი.
ბებოს მოვპარეთ კაკლის მურაბა,
-საზამთროაო
და ჩვენ დავცალეთ,
დაზამთრება არ დავაცადეთ...
ბავშვობა მერგო გასაღიმებლად,
საამებლად ის დღე,
დღეს აღსარებად რომ ვაღიარე.
შენ რომ მპატიობ, მეც ვაპატიებ
და ასე მაინც ხომ გაღიარებ,
თუ სხვანაირად არ შემწევს ძალა,
ამით ვიმშვიდებ სულის იარებს.
როგორ ახერხებ, რომ
არასდროს კარგავ სიმშვიდეს,
როცა გეტყვი,
მოვიპარე...
ვარღვევ მცნებებს,
შენ კი შემინდე.
-მოვედი, ღმერთო,
შენ განდობ პიზას ორ პირას,
გენდობი, მისხალს არ გიმალავ არც რას,
ვჭამ ჭიან ვაშლს,

მიწას რომ ძრავს,
მძრავს სურვილი, მოვშორდე ურვას,
თავში ვიკლავ თავს,
ვითვლი სარკმელს რვას,
ოთახი ჩემსას ჰგავს.
ვიხდი ტკივილებს,
იქამდე მაინც,
სანამ მეორედ ავილეწები,
სანამ ყურები ამიწუილებს...

05.10.2021 წ.

მე მინდა ვიყო...

როდესაც ძლიერ მომენატრები
და მონატრება ამიშფოთდება,
როდესაც მთვარე ღამეს შორდება,
სანამ ახალი დღე დაიწყება.
მუხლებს მივიტან გულის ფიცართან,
დავხუჭავ თვალებს, მოგიხმობ ჩემთან
და შენს წიაღში,
ხოო, შენს წიაღში,
თავს წარმოვიდგენ მე ემბრიონად.
როდესაც მთვარე გარდაიცვლება,
სანამ ცა წითლად შეიღებება,
შენს წიაღიდან ვიწყო დუღება
და ლოცვად, ბევრჯერ განმეორება,
მე მინდა ვიყო სიკეთის მონა.
მონათესავე ჩუმი სიკეთე,
ოდესღაც შენც რომ კრძალვით აკეთე,

ვდიოდე ჩუმ და უხვ ნაკადულად,
ან ვიყო ყანა, მოსავლიანი,
ანდა ვენახი, ბარაქიანი,
თუნდაც ქვის ლოდი, ოღონდ წყაროსთან,
მცირედით მაინც შემეძლოს შველა,
გზად ყველა მწყურვალს წყურვილს ვუკლავდე
და ვაპურებდე მშიერს,
დამაშვრალს.
მოვდიოდე და გზად ნადებ სილას
მდინარის კედლებს მივალესავდე,
ელიას მთიდან წვიმად მოვიდე,
ვაწვიმდე ყანებს, თესლს ვაღვივებდე.
ჩამოვრეცხავდე სულ ყველას ნაღველს,
ბოროტის კარებს ამოვლესავდე.
-ხო, სანამ მთვარე იმშობიარებს,
სანამ ცა წითლად შეიღებება,
მუხლებს მივიტან გულის ფიცართან,
მე ემბრიონად გადავიქცევი,
დედის წიაღში ჩავსახლდები და
ლოცვას წარმოვთქვამ,
შენ სადიდებლად!

02.08.2012 წ.

დედას

...და როცა დედა მომენატრება,
თავსხმა წვიმაში
იებსა ვხატავ...

03.03.2023 წ.

აქ ხართ

ყველა ამბობდა, რომ ვგავდი დედას,
ვიარებოდი მამის ზნე-ჩვევით,
მე სიამაყით თავს ვწევდი ზევით,
მამას ვგავარო, ვამბობდი რწმენით.

მამა ძალიან მენატრებოდა,
მონატრება კი შემრჩა დედ-მამის,
ჩემში ჩასახლდა ორივეს სული,
დავშორიშორდით კი არ დავშორდით.

08.04.2023 წ.

ადიოს, ნახვამდის!

ციურ-ზმანების ნაგლეჯი ფრთა ვარ,
მთვარეული ვარ, უმთვაროდ დავალ,
სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე ვდგავარ,
ნუ დარდობ, დედი,
მე თქვენთან
მოვალ...
და როცა მოვალ და როცა გნახავთ,
ველარასოდეს დაგვაშორებენ,
მარადიულის ყოფა სჯობია,
მაგრამ ჯერ მაინც
ვრჩები მიწაზე.
მე, რომ ვიცოდე, მართლა გნახავდით,
თავს მოვიკლავდი ალბათ, ხვალამდის,
ამინდისფერი დამდევს ფიქრები...
სანამ ვარ, ვიქნები,
ადიოს, ნახვამდის...

02.03.2023 წ.

ლეგენდარული

(ზურა და გოგა ბზიკაძეებს)

მეორედ ვნახე ჩინს, გულწრფელი ცრემლები მამრის,
ვაჟკაცმა როგორ დაიტირა ღრმა ორმო მამის.
გადმოადინა ცხარე ცრემლი,
ვით ახალ გასხლულ ვენახსა სდის,
წვეთ-წვეთ კურპლები.
ღონემიხდილი შემეკუმშა მე გულის კუნთი,
ამოვისუნთქე და ჩასუნთქვა ძლიერ გაჭირდა.
ცეცხლანთებული მისი თვალები მიაგავდა...
მუჭში შერჩენილ, გაწურული ბროწეულის წვენს.
მეორედ ვნახე სამართლიანი ღრიალი მამრის,
დაიღრიალა, ამოჭრილი მიწა დახეთქა.
მაგრამ სიკვდილი ბრმა არის და თანაც უგულო,
ოხ, როგორ მინდა, მკვლელი გავხდე...
შენი, სიკვდილო...

02.06.1994 წ.

დასასრული უკეთესი იქნება

ნინო ხომასურიძეს

იყო დღე და იყო ღამე,
ჩანაცვლება სიმფონიის,
მაჟორები მინორს სცვლიდნენ,
დო, სი, ლა, სოლ,
სი'ლა,
რე'მი...
    რემა, რემა,
            ნება, ნება...

თავბრუს ხვევა,
მიაჭენებს ღრუბელს ველად.
ხან დღე იყო ნათელი და
ხან დღე-ღამე უფრო ღამე,
ზოგჯერ ღამეს ახლდა სხივი,
სდარაჯობდა დღეც და ღამეც.
სიტყვად ავი, ანაზდ-კუპრი,
იდუმალი არემარე,
ყველა ვნებებს აშლის ღამე.
ყველა ეტრფის, დღეც და ღამეც.
იშვილა და მიიკედლა,
ვარსკვლავები, მზე და მთვარე.
დასაბამი იყო ღამე,
დასაბამი იყო მთვარე.
უფლის სიტყვით ინათა და
რიჟრაჟი სცვლის მუდამ ღამეს...
უფლის სიტყვით ინათა და
მზე ამოვა, შეცვლის მთვარეს...
დო, სი, ლა, სოლ...
სი'ლა,
რე'მი...
    რემა, რემა,
        ნება, ნება...
გაიტაცებს სიო ნელა...
გააჭენებს,
        ღრუბელს ველად...

22.07.2022 წ.

მრუდე ფიქრები

დეკემბერია,
ზამთარი მკაცრობს,
ნაკადულები
ველარ რაკრაკობს,
ალბათ,
ძალიან სცივათ ბელურებს,
ღამე,
ძაღლიც კი აღარ გუშაგობს.
კაცი,
მშიერი გაჰყურებს ქუჩას,
ქუჩა,
სავსეა და ცარიელი,
ხანდახან,
ვილაც ჩაუგდებს ხურდას,
თვის ბოლო მოდის,
ეყოფა ქირას...?
ჩაიქნევს ხელს და
                გაჰყვება შუკას,
არ ეყოფა და...
გადაჰკრავს ას გრამს...
მრუდე
ფიქრები აეკვიატა...
იქნება ხვალე...?
            ტუჩზე იკვნიტავს...

27.12.2014 წ.

ჩემი ხომ გჯერა...

ბავშვობის მერე დღეს პირველად ვინატრე წვიმა.
მინდა ვიხილო ცის კაბადონზე ჭექა და ელვა.
მე ხომ ვერ ვხედავ, როცა დარდობ,
გულის კარდიოს.
მინდა იწვიმოს,
როგორც გული ცა დაიბზაროს.
ავხედავ ცას და
ნაფლეთ-ნაფლეთ დაგლეჯილ ღრუბლებს
სანუგეშოს ვერაფერს ვეტყვი.
ვეტყვი, იწვიმე,
იწვიმე, ცაო,
ერთად ვიტიროთ...
ან დავიცალო...
ან გავეცალო...
მე ასე მინდა,
მე დღეს ასე მსურს,
შენი და ჩემი ცრემლები რომ ერთად ვიხილო...
გიყურებ შენ და წარმოდგენაში ვუყურებ ჩემს გულს.
ჭირისუფალი არა მყავს,
ცაო...
უფალთან უნდა მიშუამდგომლო.
მინდა, ღრიალით გავაპო ზეცა...
ვფორთხავ და ფორთხვით,
მინდა მივიდე უფლის კარამდე.
-ბრალს არვის ვადებ-
მე დავივიწყე შენი კარები
და მხოლოდ მაშინ მახსენდებოდი,
გულს რომ მაცლიდნენ შავი ყორნები.
ახლა ცუდად ვარ,
შენთან მოვედი,

გთხოვ, პატიება წვიმით მანიშნო,
გთხოვ, მიმანიშნო.
                    გთხოვ, მაპატიო...
                                        გთხოვ, მაპატიო...
ჩემი გული თუ დახურულია,
შენი გული ხომ მარად ხსნილია...
ხოდა, მეწვიე,
                    წვიმად მეწვიე,
მერე ისევ მზე გამოიწვიე,
ამოანათე გულის სარქველი,
ჯერ დამასველე,
                    მერე გამაშრე,
                                ასე მანიშნე...
                                                ხსნა მიმანიშნე...
-ბავშვობის მერე დღეს პირველად ვინატრე წვიმა.
მინდა, იწვიმოს,
ცხელ ღაწვებზე წვიმა მეწვიოს...
ჯერ დამასველოს,
                    მერე ისევ მზეზე
                                        გავაშრობ...

31.10.2022 წ.

არაااა

(ლადო ბერიძეს)

ზარია...
რატომღაც დამაფრთხო,
არ ველი არსაით სიკარგეს,
ეს ყური რატომ არ დამეხშო,
ან გონი რატომ არ დავკარგე.
არა,
არ იქნება სიმართლე,
არ ვუშვებ,
არ ვუშვებ აზრამდე,
ამბავი დავიდა სიზმრამდე,
მაცადეთ - გამოღვიძებამდე.
მითხარით,
მითხარით, რომ მძინავს...
სიზმრად ვარ, ღრუბლებში მივცურავ.
ვხავივარ,
ძარღვები ძრძვინავენ...
გეძახი,
გულ-ღვიძლი გმინავს...
დაგეძებ,
უკუნეთ სიზმარში,
შენ კი გაფრენილხარ ცის-მარშში,
სად მიგაცილებენ დემარშით,
ცივ...
ღამეში,
წვიმაში,
ქარში.

10.04.2023 წ.

გაავდრდა

(სანდრო ბარნაბიშვილს)

გაზაფხულია, ტყემალიც ჰყვავის,
რად ჩამოყარა ვაზმა ფურცელი,
გააპრილებას რად აღარ ელი,
რად შეგიმოკლდა გზა,
გზად სავალი.
ეს მერამდენედ იქუხა უკვე,
მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა.
როგორ გაუძლოს ადამის მოდგმამ,
დღის გარიჟრაჟზე, როცა გაავდრდა.
წამოგახედა, როგორ გმინავენ,
მახათას მთაზე შენი ფესვები,
როგორ წაიქცა, ბებერი ვაზი,
ჭიგოგამოცლილ დედაბოძივით.
როგორ ძლიერად მინდა გაწვიმდეს,
შემოღამება იყოს სიზმარი,
დედის ცრემლები მიწას არ რწყავდეს,
არ უხმებოდეს ვაზებს მტევანი.

26.03.2023 წ.

სულის აფრენა

(სანდრო ბარნაბიშვილს)

მერვე დღე არის მეოთხე თვეში,
ცას ჩაუცვია მგლისფერი ქურქი,
წვიმს,
დედამიწა ჩაფლულა თქეშში,
წვიმს,
დედის გული ბზარამდე ხვნეშის.
მიაცილებენ ქარტეხილები,
წვიმას და თავშალს თავზე წამოკრულს,
კვირტები ყრია დატეხილები,
რა მოაშუშებს ტკივილს მოარულს.
წვიმს,
ალუბლებიც ტირის ფიფქებად,
წვიმას კვირტები ჩამოურეცხავს,
დაჭრილი კადრი კვნესს და იქნებდა,
ჩამო!
    უარე,
არე-ურიცხვ-ხავსს.

08.04.2023 წ.

პროცესია...

(ბელა ალანიას მულის დაკრძალვაზე)

ზეცა ტირის ბაზალეთის თავზე,
მესმის, მიხმობს შორით გლოვის ზარი,
ვხედავ, მთებსაც დაუხრიათ თავი...
მდუმარებით მიმაცილებს ჯვარი...
დღესაც გავხდი მგლოვიარის სწორი,
ზეცამ ისევ დაიფარა თალხი,
დღეში ოთხჯერ შეიცვალა ნირი,
მზე ქარს სცვლიდა, ნიავქარი წვიმას.
მადლმოსილი უნდა იყო, როგორ?
ზეცამაც რომ დაგიტიროს ბორგვით,
წმინდა ცრემლით გაცილებდნენ გლოვის,
დიდ-პატარა, სოფელი თუ რძალი.
მდუმარებით გავაცილეთ მგზავრი,
უკანასკნელ ბილიკებზე მწყრალი,
თავს უხრიდა ხე ტირიფის, ფიჭვის,
პროცესიას,
ნაადრევად გაწყვეტილი ჯაჭვის...

07.08.2022 წ.

მარიდე

დავკარგე სახე, ვიქეც მაქციად,
არ მომეკაროთ, სისხლი მაცვია.
ქაცვის ტოტების დგება აქცია,
შემოგაძარცვეთ, რაც კი გაცვია.
ღამე გახლეჩილ მთვარეს აწყნარებს,

მთვარე სიმთელეს ხვალ დაამთავრებს,
უდღეურ დღეებს რა გაამთელებს,
უნდა მოვუხმო სულის სიმთელეს.
ვკითხულობ აღთქმის ამონარიდებს,
მზეო, ამოდი, სეტყვა მარიდე,
შემომახვიე მირქმისა რიდე,
ბრძოლასა შინა ამო–მარიდე.

15.02.2023 წ.

გამძარცვეს!

მაღაზიაში ვყიდულობ: კოკას,
ორ პურს და ყავას (ხსნადს).
მოლარე: ითვლის...
ოცდაჩვიდმეტი...
ხსნის სალაროს და მაწვდის სამ ბილეთს.
-ინებეთ,
იქნებ მოიგოთ...
მეტი არაა ჩემი მტერი, მე ვინ რას მომცემს,
თუ არ წამართვეს...
ვავსებ ბილეთს და მეღიმება...
(დღეს კაბა მაჩუქეს).
ამართვეს,
            წუხელ ფიქრი...
ამათ ვერ, მაგრამ სხვებმა
წამართვეს...
-შარშან რომ სხვენში გადავმალე ნაცოდვილარი,
ლარი კი არა,
(არც დოლარი)...

ცოდვა ვინ არი?
მე თუ ქურდი,
რომელმაც ურცხვად ჩამოიფხატა ცხვირზე ქუდი.
-მოლარე:
ნაღდით თუ...
-არა „კარტით“,
ვიხდი და ვხვდები სამ რამეს...
რაც არის არის...
მე ის გზა უკვე გავიარე, რომ მეშინოდა,
შიშისგან ფურცელს რომ ვხევდი და
ან, რომ ვმალავდი.
სხვენის კუნჭულში გადავმალავდი.
ლავას, ეგ დრო,
                    გავა რომ?
(უკვე ეგ წლები ჩემზე არ ვრცელდება).
მოვტყუვდი...
აუგი არ მცდება,
                    გაკვეთილია,
მაგრამ ჩვენი გზები აცდება,
                    გან'კვეთილია.
-სადაც ილია არ დაინდეს, იქ ცად მღერიან,
ნაგავს ყრიან და დაცლილია...
ნაგვის ბუნკერში ყროლდებიან
დიდი ცოდვები,
მეცოტავები...
                (ან მებევრები)
კერიის ჭერში მედო...
-ფული?
-არა, ფურცლები,
გამძარცვეს...!
ო, მომპარეს ტაში!

-იქნებ უჯრაში...?
-რაში? არა!
სკვერშია რაში,
ჰამაკში ბავშვი.
ნეტავი ვიყო გახვეული თრიაქის კვამლში...

31.07.2022 წ.

მურია

ღამის წყვდიადში წვიმა თქეშით აპობდა მიწას,
ცა ჩამოიქცა,
თითქოს ქვრივი ტიროდა ობლებს.
წამოვიფარე წვიმის ლაბადა,
წვიმის კაცივით ვაბოტებდი დიდ გუბეებში.
თითქოს მინდოდა ბავშვობაში დაბრუნება და
წვიმის ოხშივარს ვისუნთქავდი,
ვით თოთო ბავშვი.
სადღაც შორს კრთოდა ლამპიონის მკრთალი ნათება,
მძინარე ქუჩას,
თითქოს რაღაც იმედს აძლევდა
და შუქის სხივში გაწუწული მურა დარბოდა,
რეტდასხმულივით თამაშობდა შუქის ციალთან.
მივუახლოვდი,
შემეგება შავი მურია,
დავუძახე და შევეფარეთ კიბეს უჯრაში.
კაცი ვერ გიძმობს ისე ძმურად მომიჯდა გვერდზე.
ყურები ცქვიტა,
თითქოს,
-გისმენ, რა გინდა მითხრა?
დღეს მე ვიქნები მსმენელი და შენ მოსაუბრე,
თათი კაცურად ჩამომკრა და გავესაუბრე....

შოთის ნაჭერი მოვუტეხე, მივეალერსე,
წინა თათებით დამილოცა თითქოს მარჯვენა.
თვალები ჰქონდა მადლიანი,
ისეთი სავსე,
კაცს ვერ ექნება ასე თბილი, ასე აღსავსე.
თქვენ დაუძახეთ პირუტყვი და მე კი თვალები...
მესაუბრა მისი, წყლით სავსე....
ხან აცქმუტავდა ცალ ყურს „სმირნაზე“,
ხან თითქოს,
-ვწუხვარ...
მოწყენილი ჩამოკეცავდა.
-რაო, მურია,
შენც ჩემსავით დარჩი ობოლი?
შენი მშობლებიც, ვით ჩემები, ზეცად არიან?
შენც კეთილი ხარ,
არ გასწავლეს ჩემსავით კბენა?
შენც მიუტევებ,
გადაგაჩვია ცხოვრებამ ღრენას?
დაიმორცხვა და ძირს დახარა შავი თვალები,
ბოლოს გაბედა, ჩამომადო კალთაზე თავი,
გადავაფარე ჩემი ლაბადა
და სანამ წვიმდა, კიბის ძირში ვისხედით ერთად.
გამოიდარა,
ჩამომართვა თათი კაცურად,
კუდის ქიცინით მაგრძნობინა,
კარგად, ნახვამდის.
მეც ხელის ქნევით გავაცილე,
თვალს მოეფარა.
წამოვედი და გულში რაღაც სიმივით ჩამწყდა.
მას მერე ბევრჯერ ჩავიარე იმ კიბის ახლოს
და დათქმულივით,
ჩემი მურა ადგილზე დამხვდა.

12.11.2022 წ.

რუტინა

მორჩა,
დღეც ამოიწურა,
ჩვეული რიტმით, რუტინით,
იმედი გადამეწურა,
ცამ მიიძინა რუდინით,
ღრუბელმა ცური დაწურა.
ვისთვის წვიმდა, ვისთვის ქუხდა,
ზოგს ოქრო ხვდა, ზოგს კი ხურდა,
იუდა კი ვერცხლზე წუხდა.
მორჩა,
დღეც ამოიწურა,
ღამემ მზის სხივი მიწურა,
ვისთვის ვაშა, ვისთვის „ურა“,
ვისთვის მტკვარი, ვისთვის „კურა“,
ზოგმა ქართული იწუნა,
თავზე ქუდიც არ ეხურა,
ზოგმა კი ალბათ იხუმრა,
წავალ, ერთ ღერსაც „მოვკურავ“,
მორჩა,
დღეც ამოიწურა,
ყველამ კარები მიხურა,
მურიამ დიდხანს იყურა,
დარდისგან ამოიყმუვლა.
მთვარემ სხივი გადახურა,
დღეს ვჭამე ვაშლი კეხურა,
გადავაგორე გლეხურად,
თავზე კი ქუდი მეხურა.
ხვალ,
ისევ რა ვჭამოთ,

რა ვსვათ,
ვილაცამ ვისკი მოსვა,
ვილაც ჩაისაც ვერ სვამს,
„რულეტკამ ზეროზე“ დასვა.
ნაღველს თუთუნით იქრობს,
ჯიბეგაფხეკილი ფიქრობს...
ეყოფა ხვალისთვის, რაც აქვს...
ზეგ,
ისევ რა ვჭამოთ,
                  რა ვსვათ...

20.04.2023 წ.

ვილაც კი...

მთვარე სიმთელეს დააწანწალებს,
რა ეშველება ვარსკვლავს ნაწამებს,
ღამე ავ-სიზმრებს ააწკავწკავებს,
ყელზე შემოხვევს მჭიდროდ ნაწნავებს.
ვილაც,
მთვარესთან ერთად ივახშმებს,
სიტყვას მოქარგავს მლიქვნელ-საამებს,
ვილაცა,
ახლაც სულით ივახშებს,
სხვისი ცხოვრების გზას ააშრევებს.
ვილაცა,
ახლაც მტკვარზე ნადიმობს,
მდიდრულ სუფრაზე ძმაკაცებს უხმობს,
ვილაცა,
დარჩა დღეს უნადიმოდ,

ვილაცის,
ტირის ცოლ-შვილი, უხმოდ.
მთვარე კი ისევ დააწანწალებს,
ვილაცის ლანდებს, სულს განაწამებს,
ვილაცას,
ძველი „ტუფლი“ აწამებს,
ვილაცა,
ისევ ითვლის სხვის წამებს.

03.03.2023 წ.

ვხარხარებ...

საკუთარი ჩრდილი რომ შეგაშინებს,
არ ხარ მართალი.
გულის ხმას ფეხის ხმა თუ არ აუწყე,
არ ხარ მართალი.
უფლის შესაწირი მაშვრალს წაართვი,
არ ხარ მართალი.
შენი არ გქონდეს, სხვისი მოგვასყიდო,
არ ხარ მართალი.
ეჰ, ჰყიდი თავსაც და ჰყიდი მოყვასსაც,
არ ხარ მართალი.
ხო,
თავთან თუ სხვასთან, ავად თუ კარგად,
არ ხარ მართალი.
ნაკითხი?!
მაგრამ მაინც უგუნური,
არ ხარ მართალი.
სიტყვა წართმეული სანთლის ანათალი,

არ ხარ მართალი.
აისს მლოცველი, დაისს შემლოცველი,
არ ხარ მართალი.
უკვე აღარც მწყინს,
„ცამდე მართალნი“...
არავის ახარებთ...
უბრალოდ ვხარხარებ...

02.08.2022 წ.

ერთადერთი...

ბედნიერებას ვერ იყიდი,
თუ არ განიცდი,
ბედნიერება უნდა გწამდეს,
მხოლოდ ეს ვიცი.
სხვას რომ გახდი
და შენ ჩაიცმევ,
არ მოგერგება.
რომც მოირგო,
არ შეგერგება
და რომც შეირგო...
რას განიცდი?!
ბედნიერებას?!
აბა, დაფიქრდი!
-რომ გაიხდი და
სხვას ჩააცმევ,
მაშინ ხარ კაცი.
შეგნებულად,
ნუ,

ნუ წაართმევ!
სულს ნურვის გახდი!
-წამირთმევია იქნებ სხვისთვის,
ამას განვიცდი!
გიცდით,
მითხარით,
ცოდვას დავიხსნი.
კართან დავიცდი,
ბოდიშს გადვიხდი,
ლოცვად აგიხსნით...
აპატიე და გაპატიებს,
მაღლაა ღმერთი!
მიუტევე-მოგეტევება,
გვარიგებს ღმერთი!
თუ არ ვისწავლეთ მიტევება,
დავრჩებით კენტი!
სიყვარულია
სამყაროში გადამრჩენელი.
სულის სარჩენი,
მართალია,
ის ერთადერთი!

01.08.2022 წ.

ზღვის ზღაპარი

ჰამაკში ვარწევ ღამეს და მთვარეს,
ვკითხულობ თიკო ჭედიას ამბებს,
როიალს თავზე მუნდშტუკი ადევს,
საქსოფონი კი ამშვენებს ყდაზე,

(რომანს)
„მულტიკულტურულ უბნიდან ქალზე“.
სიო სიანცით არხევდა ფოთლებს,
მეზობლის ძაღლი მესტუმრა გვიან,
სუ...
ჭორაობენ თოკზე ვაზები,
მარტო დარჩენილ მსახიობ ქალზე.
მგონი შვიდია, იძინებს მთვარე,
პირველი სხივი დაეცა ზღვაზე
და მთვარემ თვალი მილულა ცაზე,
(მაგარი ყავით ვაფხიზლე ძილი)
მეზობლის მურა გამომყვა ზღვაზე.
ჯერ ისევ სძინავს ნახევრად ქალაქს,
სიო კი ტალღებს ეალერსება,
სანაპიროზე დადის ობოლი,
ვიღაც აგროვებს ტარას დაფანტულს.
მე და მთვარე რომ წიგნს ვკითხულობდით,
აქ ვიღაც ძლიერ...
-ძლიერ გამოთვრა,
ბოთლები იქვე ზღვასთან დაყარა,
სინდის-ნამუსი ქვას მიაყარა.
-მაშველმა მაინც დაასწრო ყველას,
ვხედავ ტალღებში შორს-
-შორს მიცურავს,
მისდევს ჰორიზონტს მზის სხივის კვალზე,
რაღაც უელავს მოქნეულ მკლავზე.
-მომაგონდება მამის მკლავური,
კისერზე უზის პატარა „მე“ და
ეს „მე“ კისკისით ზღვას ეფერება,
დედა ღელავდა სანაპიროსთან,
ხელის დაქნევით ნიშანს გვაძლევდა.

რას არ მივცემდი, ახლა გაგრაში,
მე და წარსული წამით ჩამოგვსვა,
სულ სხვა სუნი სდევს წარსულის ტალღებს,
მოგონებებმა თვალი დანამა...
ვაგრძელებ ისევ რომანის კითხვას,
„მულტიკულტურულ უბნიდან ქალზე“.
სიო სიანცით კვლავ არხევს ფოთლებს,
ბინდდება, მზე ღრუბელს ამოეფარა...

25.08.2022 წ.

ჩამოდი, ღმერთო...

მე ყოველ დილით მახათიდან ვხედავ სამებას,
ბარზე დაყრდნობილ მესაფლავეს და გაჭრილ მიწას.
მე ყოველ დილით მივუყვები სასაფლაოს გზას,
გადაღმა გზიდან მიმზერს ცივი ქვა.
დღეგამოშვებით ვისმენ გლოვის ზარს,
ცაში ავხედავ და ვიწერ პირჯვარს.
ღმერთო, რად შეჰქმენ ადამიანი?
ვფიქრობ და დღემდე ვერ გამიგია.
თუნდაც შეხედე ჯერ ამ მოკვდავს,
და მერე მის ხავსს.
ქუჩაში მოდის განა ქალი, მართლაც ქალღმერთი,
თითქოსდა გუშინ დაიწერა მხევალთან ჯვარი.
დღეს კი ახურავს თავზე თალხი და მოსავს ძაძი.
ღმერთო, რად არის ეს ცხოვრება, ასეთი მკაცრი...?
თუნდაც შეხედე ამ პატარას, ცრემლი რომ დასდის,
გუშინ ხომ ზურგით ჭენაობდა პატარა, მამის,
უმისამართოდ დღეს რატომ დადის?

მეტყვი, რომ ყველა თავის გზით დადის...
უმანკო თვალზე ცრემლი რად დასდის?
ღმერთო, რად არის ეს ცხოვრება ასეთი მკაცრი...?
ჩამოდი, ღმერთო...
შენს იმედად დადის აქ ხალხი.
გადაუფანტე ღრუბლები და მოჰფინე მადლი.

19.07.2022 წ.

ჩვენ ვისაუბრეთ

ჩვენ ვისაუბრეთ უსანთლ, უტაძროდ,
რადგან არ დავალ მუდამ კაბაში,
გამონაკლისი არც ეს დღე იყო,
დაგლანდე იქვე, ტაძრის ბოლოში.
მე ვერ გკითხულობ ვიცი ყოველდღე,
შენ მაინც მუდამ კალთით მფარველობ,
მე ყოველ დილით სანთელს არ გინთებ,
შენ ყოველ დილას მაინც მითენებ.
დღეს როგორც ვიცი ოთხშაბათია,
არც პარასკევი გამხსენებია.
მაშინაცა გრძნობ, როცა არ გიხმობ
და საყვედური ერთხელ არ გითქვამს.
განა არ მინდა, მოვიდე შენთან,
განა ლოცვები დამვიწყებია,
რამდენჯერ მოსვლა გადავიფიქრე,
კარზე მომდგარი გავბრუნდი უკან.
იმდენი მგზავრის დარდები დაგაქვს,
ველარ გიბედავ მე დამძიმებას,
(შენ ჩვენი ჯვარი ზიდე გოლგოთას,

მე ჩემი ჯვარიც ვერ მიზიდია).
რომ მახსენდება, როგორ გაგწირეთ,
ახლა პირშავი ველარ გთხოვ შველას.
შენ ამბობ,
-რომ არ ჩვენი ღალატი,
არ იქმნებოდა ასრულებული,
ჩემზედ დაწერილ, სამსჯავროს ნება.
ისევ გვამართლებ, არ გვადებ ცოდვას.
-რადგან უფალმა ასე ინება,
შვილი შესწირა დაწერილ მსჯავრსა,
რომ არ იუდა არ მოვკვდებოდი,
ვერ მიხილავდით მემრედ აღმსდგარსა.
ნეტარ არიან, ვინც ვერ მიხილა
და გულზე ჩემი ჯავრი ჰკიდიათ.
ჰოდა, შენც მოდი, ნუღარ აყოვნებ,
მე მივუტევე თავად იუდას!
ისეთი ცოდვა ჯერ არ გიქმნია,
რომ არ გეთქმოდეს, „დიდება უფალს“.
-დაგპირდი,
 მოვალ, ცოტაც მაცადე,
არ დამიხურო ოღონდ ცის’კარი.
-მაშ, შეხვედრამდე, ჩემო მეგზურო,
იქამდე ლოცვას მიწად ვისწავლი.
...და ვინძლო ისევ შემომხვდე სადმე,
უარს ნუ მეტყვი, გავისაუბროთ.
ჩვენ ვისაუბროთ უტაძრ, უსანთლოდ,
შუამავლის და მოწმის გარეშე.

20.05.2020 წ.

ლუკმაა ჯამში...

იმ დღესაც წვიმდა,
დღესაც გაწვიმდა,
იმ დღესაც ვწუხდი
და დღესაც ვწუხვარ.
მივყვები ქუჩას, გადარეული,
გზააბნეული, ბეცი კაცივით.
ვირწმუნე ყველა,
შევმცდარვარ ბევრჯერ,
ათასმეერთედ მაინც ვირწმუნებ.
წვიმაში მაინც ვხედავ მზის სხივებს,
რაც მთავარია, მე ეს ვირწმუნე.
მე დღესაც მაინც უქოლგოდ დავალ,
ისევ ბავშვივით მჯერა ზღაპრების.
კაბა დასველდა,
გული კი არა,
არ ვილუმპები ბოროტ ზრახვებით.
რადგან უქოლგოდ დავიარები,
განა ვერ ვარჩევ დარსა და ავდარს.
ზეციერს ვანდობ მე ბოლო სიტყვას,
დაველოდები ურემის ჭრიალს.
ეჰ, ღმერთო, კიდევ რამდენი დამრჩა,
შენთვის სათქმელი გულის დარდები.
ხვალისთვის იყოს,
დღეს ესაც კმარა,
ხვალ დათქმულ ადგილს დაგელოდები...
შენ ჩემზე ადრე მოსულხარ დღესაც,
არც დღეს არა მაქვს კარგი ამბები.
დღეს იყო ქარი,
თუ ქარიშხალი?

დღეს უქურთუკოდ გავედი ქარში.
შორიდან ვხედავ, წაიქცა ბავშვი,
მე რას ვიზამდი?
თავქვე დავეშვი.
სულზე მივუსწარ,
ჩამოვუბანე,
გადაყვლეფილი მუხლის თავები.
ისე გაიქცა,
აღმართის ბოლოს,
ძვლივს მოვასწარი მეთქვა, მშვიდობით.
ეხ, კიდევ ვიტყვი, მერე რა მოხდა,
ზოგს სამუდამოდ ვემშვიდობებით...
შენღა შემომრჩი წვიმაში, ქარში,
ქოლგად, ქურთუკად...
ლუკმაა
ჯამში.
დღეისთვის კმარა,
საკმარისია,
ხვალ დათქმულ ადგილს,
დაგელოდები.

22.05.2020 წ.

ფერიცვალებით...

ნისლი წვებოდა ლეღვიანში თაბორის თავზე
და ყორჩი-ყალა კვლავ იცავდა სამხრეთის კარებს.
ამ ღამით მთვარე ჩემთან ერთად ცეკვავდა დავლურს,
ვარკვლავები კი მოგვყვებოდნენ მაყრიონებად.
ჭირისუფლებად ჩამოუსხდნენ ჩემს სულს, დაღალულს,

მოყვასისაგან უშურველად დაჭრილ, დაბაკრულს.
დათალხულები,
დაბერილი იწვნენ ღრუბლები,
ვერ უბედავდნენ მთვარეულებს სიტყვას გადაკრულს.
თავდახრილები,
                    დატორილნი,
                                        იდგნენ ვერხვები,
ცრემლად სცვიოდათ არშემხმარი, თოთო ფოთლები.
ამ ღამით თითქოს ვერ ბედავდა მტკვარი დინებას,
იდგა მეტეხთან და ზარების რეკვას ელოდა.
გვაშტერდებოდნენ ღიმნარევი ცრუ-ყრუ თვალები,
ნაშურდულარი,
                    ნამთვარები,
                                        გადამთვრალები...
შენს
    სადიდებლად,
ფერიცვალებას-ფერნაცვალნი,
მე და მთვარე,
ნეტარებისგან როგორ ვცეკვავდით...
მოგვჩერებოდა ათას ერთი ურწმუნო თვალნი...
სამსა ტალავერს მოეფინა ღრუბლით ნათელი!

19.08.2022 წ.

ის არის თუ, მინდოდა ის ყოფილიყო?!...

რატომ მეცნობა ეს ჭიშკარი,
ან ეს ვაშლის ხე...
რატომ მახსენებს ბავშვობას,
ან მე ვიხსენებ...
არა და მართლა მწვანე იყო იქაც ჭიშკარი
და იმ ეზოშიც საზაფხულო ვაშლის ხე იყო.
ვიპარებოდით ვაშლის ხეზე მარილით ხელში,
თითზე ფერადი სინის ბეჭდით
და მკვახე ვაშლებს კბილის მოჭრამდე დაჯღანვით ვკბეჩდით.
(ჰო, დაჯღანვა და კბილის მოჭრა ხომ კარგად გახსოვს)...?
მართლა ის არის
თუ ძალიან ჰგავს ეზოც და კარიც?
(მინდა ის იყოს)
და ეს კაკლის ხე...
დაწენგოებულ ტუჩებს მახსენებს...
(რა კარგი იყო)
-და დედის სახრე...?
ნაწვიმარზე ფეხი, რომ ამიცდა
თუ ფეხი ამცდა...
ხო მართლაც ამცდა ფეხი,
ჩემთან ერთად რომ აგიცდა.
მერე რამდენი ვიცინეთ და არ გვიტირია,
ტალახიანი ბავშვები რომ თვალებით ვცნობდით
ერთმანეთს და შიშს,
რომ გვეშინოდა სახლში ასვლის და
ტლაპტალახით გალუმპულნი,
წყაროს წყალით რომ გავილუმპეთ.
მერე იმ ღამეს სიცხე მომცა,
დედამ მითხრა „ანგინა“ გაქვსო,

მე ვერ ვხვდებოდი ეს „ანგინა“ რა იყო და...
ყელი მტკიოდა.
დედა მახვევდა ძმრიან სახვევს...
ცრემლი მდიოდა,
შენ არ გიშვებდნენ ჩემს ოთახში,
მე - ოთახიდან...
- დედა ამბობდა, გადაედება...
ანგინაო!
რაღაც უღმერთო მაღეჭინა მწარე ფოთოლი და
მესამე დღეს, დაჯღანულ სახით, მჟავე ვაშლს ვჭამდით,
მარილს ვაყრიდით...
ნეტავ ის არის ეს ვაშლის ხე ან ეს ჭიშკარი...
ის ჭიშკარიც ხომ მწვანე იყო?
ალაგ-ალაგ დაჟანგულიყო...
და ეს კაკლის ხე...?
ნეტავ ის არის თუ მინდოდა ის ყოფილიყო,
რომ მოგონება დალექილი წამოშლილიყო!

09.09.2022წ.

კალოში...

დედა მომენატრა,
ავდექი და კალოში ვიყიდე.
არაფერში მჭირდებოდა,
მაგრამ ვიყიდე,
წავედი და შავი კალოში ვიყიდე.
დიდხანს ვარჩიე,
შიდა გული წითელი, რომ ჰქონოდა.
ბოლოს სოფელში წასვლის წინ,

კალოში მთხოვა,
მაგრამ...
ხოდა, ახლა ვიყიდე.
ვიყიდე და ძირები დავუხვრიტე,
როგორც ქოთანს.
დედა მომენატრა,
ავდექი და სასაფლაოზე ავედი,
ვიცოდი იქ ცივი ქვა იყო,
უფრო ღრმად კი, ან იყო ან არა...
მაგრამ მაინც ავედი.
კალოში მიწით ავავსე,
ავავსე და სახლში წამოვიღე.
იის ბოლქვი ჩავრგე...
დედას უყვარდა ია.
ჩავრგე და იხარა.
ცალი კალოში ლოგინის ქვეშ შევაცურე,
კარგია იმედები, რომ არ გამიცრუე...
ახლა, დედა რომ მომენატრება,
კალოშში ჩარგულ იას ვესაუბრები...
საფლავზე ასვლაზე გული ავიცრუე,
თქვენ უბრები ხართ და არ მესაუბრებით,
მალე მოვალ,
მე გეუბნებით...
მერე ხომ გამესაუბრებით?!..

09.11.2022 წ.

ჩავიფერფლები...

გადმოგრეხილან ტოტები,
მტკვართან საუბრობს ჭადარი,
მთვარე მოადგა ჯებირებს,
ასინათობდა მთაბარი.
ქარები ქრიან სამხრეთის,
მედიდურობენ ვერხვები,
ექიშპებიან ერთურთს და
ტოტებს იკვეთენ ქიშპობით.
საით მიდიან დღეები,
უიმედობით მთვრალები.
სად შეჩერდება, შეწყდება,
დღეები ფეტვით ნაშენი,
სად გპოვო ან დღე, ან ღამე,
სულის სიმშვიდის საკმევო!
არც დღე მაქვს მზისგან გამთბარი,
არც ღამე გამოსაბარი,
მზესთან თამაშობს აფთარი,
მთვარესთან დედინაცვალი.
მიწის ცოდვილი გერი ვარ,
რად არ მინათებ, მთვარეო,
ღამევ!
რას მერჩი, ღამეო?!
წამოგცდეს ტკბილი ბგერები!
გადაივლიან სარკმელთან,
მზისა და მთვარის ლანდები,
ფიქრებში ავიბლანდები,
ფარდებში დავიმალები.
გადაივლიან ქარები,
გადაივლიან ზვავები,

დამშვიდდებიან სვავები,
როცა სალეშე გავხდები.
ათეულ წლებსაც ჩამოთვლის,
სულის ტკივილის წამები.
ველარც ძარღვებში ეტევა,
მარჯნები, გულის ჭვალები.
არც სისხლად არ იცლებიან,
ფხად გაჩხერილი დარდები.
მომავლის კარებს ვიხურავ,
სილით მევსება თვალები,
ბორკილები მაქვს მაჯებზე,
ბაგეს აკვდება სათქმელი.
შევიმოკლებდი სავალ გზას,
შენ რომ არ მყავდე, უფალო...
შემომეშველე სანამდის,
ცრემლი დაშრება წვეთებით.
სანამ ხარაკირს გამოვკრავ,
ჭაობებს დავეწვეთები.
როდემდის უნდა ვუცადო,
გასვლას ტყავკრული ძვალიდან,
თუ თვითონ დაიგვიანებს,
მე ვეახლები სარკმლიდან.
როდემდე ვზიდო მუნჯივით,
სევდანარევი დღეები,
ველები გათელილები,
ბინდით მოსილი დღეები.
უნდა ჩავაცვა მტერ-მოყვასს,
შავ-თეთრი საღამურები.
სულის სიმშვიდეს ვიპოვი,
ამ ქვეყნად რომ არ ვიქნები.
სულის კამარა შევკარი,

ზეცას დავუწყე ბაასი,
ასიათასჯერ გიწამე,
მიწაზე მაინც ვეწამე.
-ჩემი ძაძებით სიარულს,
ვერაფრით შევეგუები,
ამბობენ მიწა გრილია,
შენ გახდი მიწის მომყრელი.
თალხი გინდაც არ ჩაიცვა,
რა მნიშვნელი აქვს სამოსელს,
(მაინც გერქმევა ნაქვრივი).
სიკვდილის მერე ჩავიცვამ,
ფერიცვალების სამოსელს.
დედამიწისთვის დავმძიმდი,
მიწაში ჩავიფერფლები!...
იქნებ დამშვიდდეს ეს სული,
მიწაზე განაწამები!

05.11.2022 წ.

ეგოისტი ვარ...

ეგოისტი ვარ,
არ მაშინებს,
ლურჯ-წითელი ელვების ხილვა.
სისხლით მოველ
და
უსისხლოდ წავალ.
მე გადავისხი,
პლაცენტიდან დედ-მამის სისხლი,
ისე დავცალე

სამუდამოდ, რომ ამოვცალე.
ეგოისტი ვარ,
კაენი ვარ, გაუაზრებლად,
მესამე ვიყავ
და მეოთხეს აღარ ვაცადე.
სულ გამოვცალე,
ამოვშრიტე, როგორც წურბელა,
დედმამისშვილის სამყოფელი თავკომბალები.
და ახლა,
ალბათ,
ამ ცოდვასაც, ღმერთებს ავკიდებ...
თავს გავიმართლებ უგუნური, შეუმეცრებით.
ეგოისტი ვარ...
არ მაშინებს ლურჯ-წითელი ცაზე ელვები,
ეგოისტი ვარ...
სისხლით მოველ
და
უსისხლოდ წავალ...

31.10.2020 წ.

იანვარს ვუცდი დღეს

ოლალ-ლალ,
ვხუჭავ თვალს,
ალ-ჭვალი ადგას გერს,
გერისას ჰგავდა დღე,
ღერღს უნაყოფოდ დღე,
მღერს...
სოლ, რე-რე...

როგორ ბერწია დღე.
ღელეს არ მოჰყვა რაკრაკით,
არაკის მთქმელი,
მხნე...
დღეს წყაროს თავზე გამტყდარა,
დარად საქცევი დღე.
ღელედან პეშვით წყალი ვსვი,
სვე ვერ ვაგრილე, ვერ.
ვერ მოგაწვდინე, უფალო,
ლოცვით მხოხავი დღე.
მღეროდა მეხრე ურმულს და
სახრეს უღერდა მზეს,
ეს დასაწვავი ურემიც
უზვინობითა დევს.
დევების სამფლობელოში
ოჩი არღვევდა წნელს,
ნედლი წნელების გოდორი,
ორღობეებში წევს.
წელს ისე ჩაუქროლია,
თოლიაც არღარ ფრენს.
რია-რიაა საწუთრო,
თრობით თუ გალევ დღეს,
(ისე რა გალევს დღეს).
ეს დალოცვილი ნაჟურიც,
ჟუჟუნასავით წვეთს,
ერთ წვეთს გასინჯავ გგონია,
ნიბლიასავით ფრენ,
ფრენას უფრთებოდ გასწავლის,
ლიცლიცით ჩაცლი ქვევრს.
ტევრს მაინც იქნევ მტრულადა,
ადამიანი ზღვევს,
ევას ჩადენილ ცოდვებზე
ზეცა დღესაცა კვნესს.

ეს დღეც ისევე გაბერწდა...
წრეზე ტრიალებს მზე,
წევს უნაყოფო დღე.
მე ხვალის იმედს ვიტოვებ,
ვტოვებ ამ წელში ბნელს,
ელვის სისწრაფით მიჰქრიან...
იანვარს ვუცდი დღეს!

24.10.2022 წ.

გზაგასაყარზე...

უკუღმა ბრუნავს ბედის ბორბალი,
ხორბალი წმინდად არ იღერღება.
დოლაბი ცვდება ღერღილის ფქვაში,
მეტირება და თან მეღიმება.
ვით „კარუსელი“ ისე ტრიალებს,
ცოდვა-ბრალისგან თავბრუ მეხვევა.
სულ თალხი, თალხი,
აღარ დამთავრდა,
ბედის მწერალის გამოღვიძება.
ფეხდაფეხ მომდევს,
ისარს ღრმად ტოვებს,
ვით მონადირე შავი ბიზონის.
მიზანში ერთხელ არ ააცილა,
ვომობდით მე და ბედის საზომი.
მე ყველა გზები ხოხვით გავლიე,
დაუჩივლელად ვეძებდი ძალას.
მინდი ყოველთვის მიტოვებია,
ვერ გადვიხადე ცხოვრების ღალა.
როდემდე ვძერწო სულის სიმშვიდე,
გამოგონილი სიმშვიდის ფარსად.

ძეწნა მეხვევა სამაჯურებად,
ვხუჭავ თვალებს და ვეხვევი წნელად.
მე და ტირიფი ერთად ვტიროდით,
მდინარე ჩქეფვით გვაყრიდა შხეფებს.
თითქოს მოგვძახის გამოიღვიძეთ,
ბობოქრად სდიეთ ჟამთა მდინარეს.
რა ვქნა, რომ არ მსურს გამოღვიძება,
მინდა სიზმარი იყოს ყოველი,
ამ ცხოვრებისგან კარგს რას მოველი.
ვარჩევ მეძინოს საღათას ძილით,
ვიდრე ვდიოდე ბედს მგლოვიარე.
როდის მეღირსოს სულის სიმშვიდე,
ეკალბარდები შემოვიარე.
არ მსურს დანახვა ეკლიან ბარდის,
ვინც ეკალს ამყრის ვუგზანი ვარდებს...
ვუგზავნი ლოცვას, მადლიან მაყრის,
მეინახეებს გზაგასაყარის.
მაყრიონებად მეყოფა ძმანი,
ვინც შემომრჩება ჭირგადამტანი.
ცხოვრება ბარდნის ეკალბარდებად,
ბარდნის და ბარდნის,
მეგობრებს გვაცლის,
ათას საცერში გაცხრილულ ქვიშას,
მცირედი მაინც დარჩება ღორღი.
თუ გალავანის გინდა შენება,
არ იზილება უღორღოდ ქვიშა.
თუ საურვეში შემოვრჩით ორნი,
ნაღდი და სწორნი, არ ვუმზერთ ქისას,
ცარიელიც და სავსეც სავსეა,
ვით მზე და მთვარე
დღის და ღამისა!

17.10.2022 წ.

ბოლო მაკვირვებს

სეველიელი დალაქი,
ჭორებს ავრცელებს ქალაქში,
ვიღაცას უყვარს მალაქი,
ვიღაცას პურზე კარაქი.
-აჰა, გამოვცდი
ასტორიას,
ვწერ ისტორიას,
ცხოვრების ირონია...
შენ ცრუობ,
მე ვდუმვარ, არ ვიმჩნევ.
დუმილსაც ვურჩევ დადუმდეს,
ცრემლი არ გაბედო
მე გირჩევ,
არავის არ სჯერავს მალაყის...
კარავი დაშალე ფარვანის...
ვიცი, რომ დუმილი შეიმჩნევს,
გაარჩევს,
სიმართლეს აირჩევს,
აღმა ფრენს,
ვინც აფრენს ის ფანტავს ოქროს ფეტვს,
მყარად ვერ გაიდგავს ქატო ფესვს...
ატლასს იხვევ და ფარჩას ხევ...
მარჯვნივ კარებია,
მარცხნივ ხიდები,
გულაღმა ჰყრია აქ მედუზები,
ცრუ მედალაქეს ვერ ვუერთდები!
მიწაზე მარცხდება,
ზეცაში იმარჯვებს,
სიმართლე!

დალაქი მაკრატელს
იმარჯვებს...
მაინც ნუ გადაჰყრი ნარჩენებს...
სიმართლე იმარჯვებს!

24.08.2022 წ.

ის-იგი...

(ჯერ)...
ვაქრობ, ვუკიდებ,
უკრავენ ჩელოს...
(შორს)...
-გადანამულა წამწამთა ჩერო...
არც მსურს ვაჩერო...
-უკვე არ ვიცი, რაა სიმართლე,
სად ჩამისაფრდა...
ის-იგი,
დალი.
მარწუხებსა ვგრძნობ,
აიმღვრა თარი...
ალბათ მღალატობს
ის-იგი,
მხდალი...
ვთავისუფლდები,
სხეულს ვეღარ ვგრძნობ,
ვგრძნობ ეს ცრემლებიც,
უკვე როგორ მძულს.
მინდა გავქრე და
ღრმად ჩავიძირე...

ღამეს ვეწამე,
წამიც არ მაქვს მე...
ღამეს შევყურებ, უმთვარო ღამეს,
ვესაუბრები, უშფოთველად
„მეს“...
რუხი ფერფლებით სავსე საფერფლე,
მაგრამ ფიქრები ჯერ ვერ ჩავფერფლე.
ცაზე ფერები...
ჩემი ფიქრებიც,
ახლა,
ბურუსში არის ჩაფლული...
მოვეფერები ბოლოს დავლულით.
-დაუკითხავი მლაშე წვეთები,
სიამოვნებით არ დამალული,
თვალებს არ ლული,
მთვარეც მალული.
(რად გადავმალო ან ვის ვუმალო).
ვაქრობ,
ვუკიდებ,
უკრავენ ჩელოს...
(ერო)...
გადანამული წამწამთა ჩერო,
არც მსურს ვაჩერო.
ვაქრობ, ვუკიდებ,
უკრავენ ჩელოს...
(ლელო)...
ყველა დავტოვებთ
ბოლოს სამყაროს!
არ გამეყარო!

09.08.2022 წ.

შემმოსე...

დამდაბლდი, თავო,
მოიპოვე,
თვით'გადარჩენა.
ამაღლდი, სულო,
არ გაბედო, მარტო დარჩენა.
ღამის წყვდიადში,
ლანდმა შენმა არ შეგაშინოს.
უერთგულე და გიერთგულებს,
ზეცით სამება.
მიწა ვიყავ და მიწად ვტოვებ,
მე ჩემს სამოსელს.
...და სიმდაბლითა მოველ,
ღმერთო,
რათა ვცხონდე მე..
შენს, სადიდებლად მაღლდებოდეს,
სული ცოდვილი.
მომიტევე და სული ჩემი,
ნათლით შემოსე.

12.06.2022 წ.

მინდა ვიყო გიჟი

ახლა რასაც დავწერ...
ან იქნება ადრე,
ან ძალიან გვიან...
ან ამინდის ბრალი,
ან ამ სავსე მთვარის...

არ გეგონოთ მთვრალი
და არც გადამწვარი...
დილით ამყვა ჯავრი,
წინა ღამის ბზარი...
ვიტყვი გიჟად მთვლიან,
არ ვიტყვი და ბრიყვად...
რა ვქნა...?
ვთქვა...
თუ არ ვთქვა...?
ეჰ, ბრიყვობას მიჯობს,
შეშლილი და გიჟი
დამიძახოს ხალხმა.
მაინც ვიტყვი მართალს...
მინდა, ვიყო გიჟი
 და ვერ ვცნობდე
                    მზაკვრალს...
მინდა, ვიყო გიჟი,
ვერ ვარჩევდე ავ-კარგს...
მიჯობს, ვიყო გიჟი,
გავიხურავ ძნის კარს...
                    მშვიდობით, კარგად...
                    არ ვიტყვი ავს!

20.01.2022 წ.

რამდენჯერ გითქვამთ?!

-მერე რა, ლარი...?
სულ ერთი პური...
ქუჩაში ბავშვის დაძრწის ნაღველი,
ორი დღე ჰყოფნის ის ერთი
პური...
მაინც გიღიმით პირგამურული.
-რამდენჯერ გითქვამთ?
ესეც გადივლის...
სკვერის ბოლოში მიგორავს ეტლით,
ხედავთ იმ ყმაწვილს?
ის ვერ გაივლის...
ნუ განიკითხავთ, ის თქვენ
მოგელით.
-ან,
უსინათლო ყმაწვილის ურვას...?
ხედავთ?
ხელჯოხით მიიკვლევს შუკას...
ყელგამოწევით გვედრიდათ ხურდას,
სნეულ დედისთვის შველას ითხოვდა...
-იმ მოხუცს ხედავთ...?
ძაძები მოსავს...
იქნებ აფხაზეთს შესწირა
შვილი?!
ან სამაჩაბლოს მოუკლეს
გმირი?!
წვრილ ობლებისთვის წყალობას ელის.
-სად დაიკარგა ხსნა, თანაგრძნობა?
მიხატული გაქვთ გულზე-გულები?!
ასე ძნელია სულმოწყალება?!

რად გახდა კაცი უწყლო-უგრძნობი?!
P.S.
ქუჩაში დარბის ბავშვი მტირალი,
ეკლესიასთან ზის შავოსანი,
სამშობლოს ეტლი გადაუბრუნდა...
ბილიკს მიიკვლევს ხელჯოხიანი...

07.01.2003 წ.

ალილო...

ალილოზე ლამპარს ვანთებ,
შუკებს მოედება მრევლი,
ალილოოო...
ალილოოო..
მრევლს მიჰყვება ბავშვთა გუნდი.
მაგონდება ბებოს ხონჩა,
ჯვარდასმული კვერები,
ხსოვნად დარჩა მოგონება,
იმ წარსული დღეების.
ნამქერივით მაწევს სევდა
და ქერივით მეფანტება,
ის ბავშვობა სანატრელი,
გაპარული ნელა-ნელა.
ლამპრის ჩრდილის ანარეკლზე,
თვალებს დასტყობია წლები,
ალაგ-ალაგ დათოვლილა,
ნახშირივით კულულები.
მე ის წლები მენანება,
მილეული ნება, ნება,

ვით წალამი ჩანაცრული,
ჩემს თვალებზე მირულული.
ალილოოო...
ალილოოო...
ვარსკვლავს მიუყვება მოგვი,
ალილოოო...
ალილოოო...
ხეებს შეყინვია თოვლი,
ალილოოო...
ალილოოო...
ქუჩას მიუყვება მრევლი,
ალილოოო...
ალილოოო...
ბეთლემს იბადება მხსნელი!

25.12.2022 წ.

მიყვარს-არ მიყვარს!

მიყვარს,
ტირე და სამწერტილი,
არ მიყვარს,
მძიმე და წერტილი,
არც კითხვის ნიშანი მახარებს
და ძახილს საერთოდ ვერ ვიტან!
ტირეში,
განვლილი გზა მიყვარს,
სამწერტილს,
იმედით ვუყურებ...
მძიმე,

გულს მიმძიმებს რატომღაც,
წერტილი,
დასასრულს მაგონებს.
ვერ ვიტან ძახილს და ბრძანებას,
ორივე მიმრავლებს გულის დარდს!
სასვენი ნიშნები კი არა,
ცხოვრების ნიშნები არ მიყვარს!

09.07.2013 წ.

ანდერძი

ჩემი თხოვნაა, მისმენს თვით ღმერთიც,
თიბათვეს მინდა გარდაცვალება!
ვინც წაიკითხავთ, კიდევ ერთს გვედრით,
არ დამაყვედროთ იდუმალება,
არ ჩამოუშვათ გლოვის ფარდები,
არ შეიმოსოთ თალხი კაბებით,
გთხოვთ, არ შემოჰკრათ გლოვის ზარები.
არ დამაყაროთ გულზე ვარდები,
ჩემი სიცოცხლის გასაცილებლად,
ყვავილს სიცოცხლეს ნუ მოუსწრაფებთ,
საკმეველი და სანთელიც კმარა,
სულის გაყრისას სხეულს რომ დაფერს...
შარაზე ნუ დაყრით ყვავილებს,
ზამთრის ყინვამდე მინდვრად ხარობდნენ,
ყოველ აისზე იკმევდნენ თრთვილებს
და მზის არულზე გზნით მწყაზარობდნენ.
ჩემი სიცოცხლის გასაცილებლად
არ ვისურვებდი სხვის ურვას და ხარკს,

ყვავილის ფული ყველამ უკლებლივ,
ჩამოურიგეთ გზადაგზა გლახაკს.
ჩემი სიცოცხლის გასაცილებლად,
შესანდობარი და წირვაც კმარა.
მსუბუქ მიწასაც ნუღარ დამაყრით,
მე მინდა ფერფლად მოვედო ქალაქს,
სიკვდილის კიბეს ავყვე ამაყი,
იქროლოს ფერფლმა ღამის თბილისში
და ნიავს გაყვეს ხან დიდუბეში,
ხან კი აუყვეს მთაწმინდის აღმართს.
მუხრანს ვნახავდი და ვეტყოდი,
რომ საქართველოს ისევ ჰყიდიან!
 აღარ ღირს ქალაქს...
„გარონიება“.
გალასაც ვნახავ და მოვუყვები,
რომ მესაფლავის ვერ გაუგიათ,
მე კი გავუგე და მუდამ დავრჩი
გალაკტიონის ერთგულ მკითხველად!

11.05.2011 წ.

წაიღეთ, რაც მაგადია

ამ სამყაროში მოსული,
მტვერი ვარ,
მტვერზეც ნაკლები,
ნაწილაკი ვარ უფერო
და თავს მიწამდე დაგიხრით.
რომც ვიგრძნო თქვენგან ღალატი,
მე ვერ გავხდები ჯალათი.

ვთოხნო და ვმარგლო აღმართი...
რა ბედენაა კამათი.
მკლავს ძალა რად დავაყენო...
ვაყეფო ენა თავლაში.
მართალთ კელაპტარს დაგინთებთ,
ხატთან ვილოცებ, ადათით!
ამ სამყაროში მოსული,
მიწა ვარ,
მიწად დავრჩები.
ჩემი სისხლით, რომც იკვებოთ,
მაინც, სისხლსავსე დავრჩები...
წაიღეთ, რაც მაბადია,
ნაბდად სიყვარულს გაგიშლით...

28.07.2022 წ.

ვინ რა იცის...

„ძაღლი ჰყეფს და ქარავანი მიდის“,
ვინ რა იცის, სად წაგვიყვანს ბედი,
ზოგი ნატრობს პურს,
ერთი დღის სამყოფს,
ზოგი ფრთებს და აღმაფრენას ლამობს.
ვიღაცისთვის,
    არა კმარა თასი,
ვიღაცისთვის,
    დღე ყოფილა თარსი,
ვიღაც,
    არჩევს ხმაურიან ყოფნას,
ვიღაც სტირის გამჩენსა და ყოფას.

ახლა სადღაც, აფრინდება მტრედი
და ვინ იცის, სად იმღერის გედი,
ხოდა, სანამ ცოცხალი ვარ ვმღერი,
ხვალ რა ვიცი, რას მიმზადებს ბედი.

22.06.2000 წ.

მე ასეთი წარმოდგენა დამრჩა...

თებერვლის ცას დაუცლია ცური,
სავსე ქუჩას მოსდებია რული,
მოდის კაცი, ნამთვრალევი,
ღამის,
უქურთუკო, აბურდული თმებით.
(უმოწყალოდ დასთოვლია მხრები).
ბანცალ-ბანცალ,
მიუყვება ქუჩას,
შეესახლა ცის კიდეს და ცილინდრს,
განა შესვა,
ჩაუღეჭავს ღერი,
აუცურდა მოყინულზე ფეხი,
არც ეცადა მოაჯირის პოვნას.
მოისროლა გამოცლილი ბოთლი,
როგორც ძაღლის გასალახი სახრე,
თითქოს მიწას მიამსხვრია ჯავრი,
მიაკურთხა,
-ვინ დამიგო მახე?!
(იკურთხება, ვით უმწეო ბავშვი),
ღვინოს ანდო დაკარგული თავი,
არც უცდია წამოდგომა წამით,

სავსე ქუჩას დაუცლია გული,
აღარ იბრძვის,
ხიფათს ეძებს,
სული...

09.02.2002 წ.

ბ ო დ ი შ ი

ყველასთან ალალი
და
მაინც განკითხული...
სულ ყველას სალბუნი
და
თავად უჩაფული...
ყველასთვის საბურველი,
თავად
კი დაბაკვრული...
სულ ყველას მოზიარე,
თავად განძარცვული...
სულ ყველგან დრტვინვაა
და
ყველგან ვარამია,
მომბეზრდა...
წავედი...
მე
დ ი დ ი ბ ო დ ი შ ი...
აღარ ვარ ცოცხალი...
ყველანი იყავით ზეციდან ცხებულნი!

07.07.2007 წ.

P.S.
ძველქართული:
სალბუნი-მალამო
უჩაფული-უფეხსაცმლო
საბურველი-აქ-თავშესაფარი
დაბაკვრული-დაკონკილი
დრტვინვა-ბუზღუნი

ყოფნა-არყოფნა...

გადატენილი,
ცხრა გრამი მჭიდში,
ერთი გამოკვრა აკლია სასხლეტს,
არ გამოკრაო, მომძახის სიო,
არ გაბედოვო, მდარაჯობს მთვარე.
შენ გაგრძელება მითხარი თორემ,
სიკვდილს სჭირდება სულ ერთი,
ორი...
ძნელი ყოფილა ქვეყნად მოვლენა,
გარდაცვალება არის იოლი.
უფრო ძნელია არდაბადება,
რომ ვერ შეიგრძნო დედის იერი...
რომ არ ვიცოდე, ღმერთის შვილი ვარ,
რომ არა მქონდეს, რწმენის იმედი...
შენ გადარჩენა მითხარი, თორემ,
თითის გამოკვრა, არის იოლი.

10.07.1995 წ.

სულო, გამთელდი!

იყო დღეები
გადასატანი,
იყო ასატანიც,
ბეჭით სატარიც.
ვიდექ მარტო და
უფლის იმედად,
ველოდი აისებს...
თან მდევდა დაისი.
მუხლი არ ჩავხარე,
მაჯები დავლალე,
დრო თითქოს შეჩერდა,
გული არ გაჩერდა,
ცხოვრება მიმძიმდა,
სული არ დამძიმდა.
ნაბიჯი გავმართე,
გავცურე აღმა, მე...
წინ, წინ, იმედით,
მომავლის ხვედრით.
ვინც გზაზე მხვდებოდა,
რაც ფეხს ედებოდა,
მე რა მებადა და...
ღიმილი,
ღიმილი,
ყველას ვურიგებდი,
ქვასაც კი ვუგებდი.
არასდროს ვიტყოდი
მე რატომ,
შენ რატომ,
მას რატომ,
თქვენ რატომ.

ჩემი მადარდებდა,
სხვისი მახარებდა,
მჯეროდა,
                  მწამდა და
უფალიც არ მტოვებდა.
ლუკმას არ ვჩიოდი,
იყო გასატეხი,
მე სულს მივტიროდი,
სულს,
          სუუულს,
                    გადატეხილს.

16.12.2006 წ.

„ჭირი და ლხინი ძმები არიან“ ვიხილე...

დღეს ვიხილე, მოქვითინე ქალი ქვაზე,
სატრფო, როგორ მიაცილა ბოლო გზაზე.
ერთი მხრიდან მიმავალი შავოსანი
და შემხვდური მომავალი მაყრიონი.
ვნახე, როგორ შედგა ქალი შავოსანი
და დალოცა პირჯვრის სახვით მაყრიონი.
როგორ შედგა მყისვე მეფე-დედოფალი,
მდუმარებით გამოხატეს სამძიმარი.
სანამ ქვეყნად იარსებებს მიტევება,
სანამ ქვეყნად იარსებებს აღსარება,
სანამ ქვეყნად იარსებებს ზიარება,
კაცი კაცით იქნება და იარება!

24.06.2008 წ.

გარდაუვალი მდგომარეობა...

მივყვები ოცნების ბილიკებს,
მინდა შევიყვარო სიცოცხლე,
მაგრამ იდუმალი ხმა მომძახის,
შეჩერდი, სიკვდილი გაჯობებს!
სიკვდილო, ჩამომეხსენი,
მე უნდა ფერი ვიცვალო,
ჩემი ცხოვრების კვალდაკვალ,
არ გავქრე, გარდავიცვალო!

08.07.2012 წ.

ჯერ იყო სიტყვა

დანით დაჭრეს დათვიცა და კურდღელიც,
დღეს ორივე მიუყვება, იმღერის.
სიტყვით დაჭრეს, გადასერეს, მთა-ველი,
ვერ წაშალა, ვერა, წვიმამ ნაღველი.

***

ერთმა სიტყვამ, გაძარცვული მატარა,
ერთმა სიტყვამ, ჩამამსხვრია, ვით ტარო.
სიტყვავ, მკვლელო,
ხან მძარცველო,
ხან მხსნელო,
გაბზარული გული, რით გავამთელო?!

30.06.2023 წ.

ნაშალი*

არაფერი აღარ დამრჩა სათქმელი,
დამიკრიფავს ველად ყველა ურთხმელი,
ამაღამაც დარდისაგან დავთვერი,
შუაღამის ქარისავით გავქრები.
არ ყოფილა, თურმე, ალბათ საშველი,
ვერც ვშველი და აღარც საშველს არ ველი,
დაგრეხილა უსაშველო მთა-ველი,
ზვავს მოვყევი, ქართან ერთად წავედი.
კუდიანო, ქარო, იქნებ წაშალო,
გაგატანო, ცხრა მთას იქით გაშალო,
გუშინდელ დღეს წავაფარო თავშალი,
გადავთელო ან მოვთელო, ნაშალი.

01.07.2023 წ.

მინორული დღეები

მზემ ჩაიცვა ღრუბელი,
წყალი მოდის გუბელი,
გუბეს ვუვლი გვერდ-გვერდით,
ახლა რად გამიბევრდი.
ამინდია საჩემო,
მაგრამ მე ტყუილად ვჩემობ,
ვერც წვიმებმა მიშველეს,
ლამი შერჩა იქ, ღელეს.
მინორებმა მიმღერეს,

ნაშალი*- დარღვეული ქსოვილისგან დარჩენილი ძაფი.
აქ-ნარჩენი იარა.

სევდას წამოუქროლეს,
ველოდები მზიან დღეს,
ცრემლს შეუშრობს მტირალ ხეს.
სანამ მძიმე ტოტებით,
მიწას დავეტოლები,
ამო, ამოანათე,
ცას ნათელი აანთე.
ანათე და გამათბე,
დედამიწა, შენ, მართე.
დაწყვეტილი ნერვებით,
მაინც არ დავნებდები.
გულო, ნუ დაბერდები,
იმ დროს დაველოდები,
როს გადნება ლოდები,
ყინულის და გოდების.
დარდო, ნუ გაბევრდები,
გულზე ნუ დამებნევი,
თორემ შემომასკდება,
დაბერილი ვენები.
შროშანები აყვავდნენ,
დახალულან კლდეები,
შემოაცვდათ წინდები,
თეთრი-შევერცხლილები.
ქარებს ნუ უშინდები,
შეთვალულან თხილები.
ბრუნდებიან მერცხლები,
კლდეს გადმოსცდა კურცხლები...

05.05.2000 წ.

დედაჩემო!

მარტოობა ჩემი მხრებით საზიდარი,
წახვედი და უშენობის დამრჩა კვალი,
შენ მასწავლე დამსხვრეული, როგორ აღვდგე,
შენ შეძელი მეათასედ წამოდგომა,
შენ გამოდექ ძლიერებით სავსე ქალი,
მე კი სუსტი, ვერ გემგვანე,
დედაჩემო.
ავზიდავდი, გეფიცები, ავზიდავდი,
შენ რომ მყავდე,
შენ რომ მუხლებს მომიბანდე.

07.07.2022 წ.

უფალო, შემინდე...

ღმერთო...
რამდენჯერ გისაყვედურე,
რად არ მანიშნებ მეგობარს მზაკვრალს,
არა და როგორ გადამავიწყდა,
თვით მეგობარმა ამბორით გაგცა.
ღმერთო...
რამდენჯერ გისაყვედურე,
რატომ დაუშვი ჩემი დაცემა,
არა და როგორ გადამავიწყდა,
გოლგოთის გზაზე სამჯერ დაცემა.
ღმერთო...
რამდენჯერ გისაყვედურე,
რად არ მარიდე ეკლიან გზასა,
არა და როგორ გადამავიწყდა,
აღდგომამდეა ....

„ვია დოლოროსა“.
ღმერთო...
რამდენჯერ გისაყვედურე,
რად არ შემოსე ყველა შიშველი,
არა და როგორ გადამავიწყდა,
შემოგაფლითეთ ჩვენ სამოსელი.
ღმერთო...
რამდენჯერ გისაყვედურე,
რად არ აპურე ყველა მშიერი,
არა და როგორ გადამავიწყდა,
წყალი გვთხოვე და ძმარი გაპკურეთ.
ღმერთო...
რამდენჯერ გისაყვედურე,
რატომ გამრავლდნენ ავაზაკები,
არა და როგორ გადამავიწყდა,
ბარაბაში ხომ თავად გაგცვალეთ.
ღმერთო...
რამდენჯერ გისაყვედურე,
დედა არ უნდა სტიროდეს აკვანს.
არა და
როგორ გადამავიწყდა,
თვით მარიამი სტიროდა თვის ყმას.

22.04.2022 წ.

ნუ...

ალისფერი ეგ ტუჩები, ეგებება მზეს,
დილით პირჯვარს გადისახავ, ღამით შოლტავ ერს,
ლოცვასა და წყევლას ამბობ, ერთნაირად კვნეს,
ბაგეს ვარდი მოიფინე, ნუ განდევნი ღმერთს.

02.07.2023 წ.

ჟანგბადივით მჭირდები

რატომ დადის ჩემს სახლში,
ჩრდილები და ლანდები,
სადაც უნდა წავიდე,
ყველგან შენ, მელანდები.

დაუკარგავს გონი ჟამს,
მოეკიდა ობი ჟანგს,
აღარ უკრავს თარი ჰანგს,
სიტყვა სიტყვას არა ჰგავს.

რით ვერ გაგაგებინე,
ჟანგბადივით მჭირდები,
ცარიელი მჭიდივით,
უთქმელობით გიკვდები.

როცა სახლში არა ხარ,
ლანდებს დავდევ ოთახში,
დადუმება ვარჩიე,
საყვედურებს ორ ხმაში.

სულო, შენ, ნათესავო,
დარდებს ნუ დათესავო,
სევდის მონათესავო,
გვარჯილებს ნუ თესავო.

დარდი ლხენას ვერ იმკის,
აღარ შველის არც ვისკი,
შამპანიურის არ მოვსვამ,
არ მჩვევია მე “რისკი”.

17.07.2023წ

მე ვეცრეთი თბილისის და სამშობლოს

არაფერია დაფარული, რომ არ გაცხადდეს!

(12:2;3)

ჯერ ისევ უშობელია,
„ვისაც ნატრულობს ქართველი“.
ჯერ ისევ საბრძოლველია,
სამაჩაბლო და ცხუმ-ველი.
ტრამალით შემოპარული,
უხილავია მტერი.
გრანტებით გადაფარული,
რომ გადაკიდა ერია.
უცოდველივით კრავები,
შეწირულია, ვით ვაცი.
ბაზალეთიდან ტბის კაცი,
არტახებ აუხსნელია.
(ორ საუკუნისა წინათ,
რომ ჩააწვინა ილიამ).
ჯერ არსგზის დაბადებულან,
არტახის მგლეჯნი მართვენი,
რომ გამოზარდოს სამშობლომ,
თავისუფალი ქართველი.
მოწოდებები მგლურია,
შეისმინე შენ, „ურია“!
მტრის წისქვილზე წყალს ნუ ასხამ,
მტერს მუდამ სისხლი სწყურია.
ნიკოფსიიდან ხნულები,
დარუბანდამდე მწყურია.
ო, ღმერთო, შენ გაუნათე,
ერს გონი არეულია.

P.S
ვერას გვიშველის „ისტობა“,
გაიცა აფერისტობა.
არ მინდა არავისტობა,
სამშობლო მინდა,
ღვთისტოლა!

09.03.2023 წ.

ანგელოზებო!

რა ლამაზია თბილისი, მტკვარი,
შეღამებისას სხვაფერი არის.
მე შენს ქუჩებში დავიარები,
მინდა, გიწამლო ნაიარები.
აგედევნები ამაღამ ლანდად,
შებინდებულზე მტკვარში დაგლანდავ.
გავცოცხლდებოდი, მკვდარიც, რომ ვიყო,
მინდა სიცოცხლე ბევრჯერ გაგიყო.
ათასფერებად განათებულან,
ლამპიონები მტკვრის განაპირას
და მტკვრის მარცხენა სანაპიროდან,
თბილისი უფრო ლამაზად მოსჩანს.
ჩანს შორით ტივი, მეთევზეების,
როგორ ლამაზად ისვრიან ბადეს...
მოაჯირთან კი კაცი მარტო დგას,
ანკესით ხელში, მოტეხილ რტოს ჰგავს.
ვიღაცა ჩქარი ნაბიჯით მიდის,
ვიღაც ჩემსავით ეტრფოდა თბილისს,
ვისთვის უბრალოდ ქალაქად დარჩი,

ვისთვის ჩემსავით საფიცრად რჩები!
ეს ღამე ისე საოცარია,
ნოემბრის ღამემ ზეცაც არია...
თითქოს პირველად ვუყურებ თბილისს,
თოლია ჭყივის თუ ციცარია?!
რომ არ მიყვარდე, ჩემო თილისმავ,
ამ ღამით მაინც შეგიყვარებდი.
შენთვის ვიმღერებ ყველა არიას,
ჭადრებსაც მარტო აქ უხარიათ.
ვის არ მოხიბლავს შენი გულის ხმა,
მტკვართან ერთად რომ მოდის დუდუნით,
მოდით,
        მოფრინდით,
                ანგელოზებო,
შემოეშველეთ გულნატკენ თბილისს!

21.11.2022 წ.

წითელ პარასკევს

ასეთი დადუმებული,
ჯერ არ მინახავს მტკვარი,
თითქოს შეჩერდა მეტეხთან
და გარდისახა ჯვარი.
მთვარეს გამოსდო ხელკავი,
თითქოს შესჩივლა დარდი,
ჯვარცმის გალობას უსმენდა
ცოდვით დახარა თავი.
შაშვის გალობა შერწყმია,
მრევლის გალობას წამით,

ქრისტეს ვნებანი გაისმის,
ცამაც დაღვარა ნამი.
ძეს
გარდმოხსნამდის ელოდა,
მერე გაუყვა კრძალვით,
ასეთი დადუმებული,
ჯერ არ მინახავს მტკვარი.

14.04.2023 წ.

თაბორის მთაზე

მოდით,
ნახეთ,
ყელტიტველა ბაბუები,
ვით მხედარნი დაჯარულან,
თაბორის მთას,
„ცათა შინას“ დასძახიან ქარიანში,
წიუ-წიუ ბანს აძლევენ ღაბუები.
მოლოდინით უელავენ თავთავები,
ღეროები დანამვიათ დანანებით,
გარდამოსვლას მოელიან,
ცეცხლისა ალს,
თავდახრილნი,
გადიხდიან გოლგოთის ვალს!

15.04.2023 წ.

ემიგრანტული

წაველ და გულთან ვომობდი,
კარზე დადებულ კლიტესა,
მეგონა ვერასდროს დავთმობდი,
პაპის ნასახლარ კიდესა.

ვისთვის, ქოხო და ვისთვის ხევ,
ჩემთვის ამ სულსა ამაყევ,
პაპის დადგმულო სასახლევ,
ფესვებს ვფიცავარ გინაღვლე.

ნაღველი შეჭაღარავდა,
მოგონებები მდაღავდა,
ვერა, ვერ გამოვექეცი,
ამ ემიგრანტულ საწადელს.

კლდედ იქცა გული სალისა,
თვალს დასტყობია ბზარები,
„თავს ზემოთ ძალა არ არის“,
ვერ გადვიხადე ვალები.

ნეტავ ერთხელ კი გიხილო,
შემოვირბინო ბარები,
გითოხნო ვაზის ბწკარები,
თვალხილულ მოგებარები.

08.02.2023 წ.

ლაზარეს შაბათი

შიში მკლავს,
სიცოცხლის
და არა სიკვდილის,
სიცოცხლე როგორ მღლის,
ვიხსენებ კვლავ დილით...
-მოვდივარ, ძვირფასო,
გახსენი დარაბა,
გაფიცებ არასდროს,
არ ენდო ბარაბას,
არასდროს გამოჰკრა,
სასხლეტს ან ბარაბანს.
სანამდის რწმენაში,
იცოცხლებს ლაზარე,
არ მცდება ენაზე,
სიტყვების სიმწარე.
დღეს ყველა ცხონდება,
გვამცნობდა ცისმარე,
არ მოკვდი, იცოდე,
შენ ფერი იცვალე!
მარადიულობით,
სიკვდილი შეცვალე!
ნურვინ დაღონდება,
გარდაცვალებაზე!

08.04.2023 წ.

აფხაზეთო!

„დარაბებს მიღმა გაზაფხულია“,
ედუდუნება მიწას სოხუმი.
ჩემს სულში ისევ ყივის ზამთარი,
როგორც ბნელ ტყეში შავი აფთარი.

ამომაცალეს ბოლო სისხლძარღვი,
შემომასხლიპეს ბებერი ტოტი,
შეწირული ვარ, ვით კოჭლი ძაღლი,
ედუდუნება შავზღვას სოხუმი.

გუგული კვერცხს დებს ბუდეში გნოლის,
როგორ აყვავდნენ მაგნოლიები?
როგორ ვიხარო, ჩემო ენგურო,
უსაქართველო, საქართველოში?!...

27.02.2023 წ.

აქ თბილისს ისევ ეფერებიან...

მიყვარს თბილისის დღეცა და ღამეც,
ყოველი კენჭი მიყვარს თბილისის,
როგორ გავცვალო თეთრ ღამეებში,
ბუმბერაზი მთის „მთაწმინდის მთვარე“.
მიყვარს თბილისის შემოღამება,
მეტეხზე მდგარი გორგასალი და
ლამპიონების მკრთალი ნათება,
მტკვარზე რომ ტოვებს თავის ანარეკლს.
მე ამ ქალაქის ღრუბელიც მიყვარს,

ნისლებით მთვრალს რომ
ცრემლი სდის ღაწვზე,
ვით ტოლიბაში ყანწს ისე დაცლის,
გადმოაწვიმებს თბილისის თავზე.
თბილისს რომ აწვიმს ის წვიმა მიყვარს,
მინდა, შევიგრძნო ღრუბლის სიმთვრალე,
თავსხმა წვიმაში თავშალს მოვიხდი,
მირონივით რომ მდიოდეს თავზე!
მე ამ ქუჩების მტვერიც კი მიყვარს,
ფოთოლსაც ვეტრფი ქარის მოტანილს,
ამხედრებული მუზა ზის თითქოს,
მხედრის ჭენებით ყველა ფოთოლში.
მე მეეზოვეც მიყვარს თბილისის,
დილის საარზე არაგვთან რომ გვის,
გულმოსული და დოინჯშემოყრით:
„ვგვიო და მაინც წერენ არაგვი“!
მიყვარს თბილისის შემოთენება,
ხეტიალში რომ ცა გათეთრდება,
მტკვართან მომისწრებს ცისკრის ზარები,
ამ სილამაზეს ვეზიარები.
სიონის გავლით ვერცხლის ქუჩაზე,
ოდნავ ნაღველი შემომაწვება,
ველარ შეხვდებით
აქ ყარაჩოხლებს,
ჩოხები ღვინის ბოთლებს აცვიათ,
ძველი თბილისის სავაჭრო დახლზე,
ქამარ-ხანჯლებიც მუშტარს ელიან,
ტურისტი უფრო ფასობს თბილისში,
ძველი თბილისი
ევროპულია...
(ვერცხლის ქუჩაზე ოქროს ბიჭები აღარ დადიან).

მარცხნივ ავყვები მაჩაბლის ქუჩას,
სადაც მგოსნების სულები სახლობს,
ზოგი ეტრფოდა „თბილისის ჰავას“,
ზოგი თბილისთან ცხოვრებას ახლოს.
ზოგი ეტრფოდა „მთაწმინდის მთვარეს“,
ზოგი თბილისში „გარონიებას“.
კრძალვით შევაღებ დამტვერილ კარებს,
აქ განვიქარვებ თბილისის ნაღველს.
აქ თბილისს ისევ ლექსებს უძღვნიან,
აქ თბილისს ისევ ეფერებიან!

13.09.2022 წ.

ბარათი თბილისს
გნახავ!

მომნატრებია ჩემი თბილისი,
წუხელ სიზმარში მეზმანა ვერა,
ვხეტიალობდი ვერის უბანში
და მონატრება გადმომეღვარა.

ფიქრებით დავალ მე შენს ქუჩებში,
უცხო მხარეში ჩამძინებია,
ყველა სიმღერას გულში ვღიღინებ,
რაც ოდეს შენზე დაუწერიათ.

უცხო მხარეში მაინც გადავრჩი,
არ მაგრძნობინეს თავი ეულად,
მაგრამ სასთუმალს ნამად შემოვრჩი,
ღამით დაგიწერ ბარათს მალულად.

რამდენი ხანიც ვერ უნდა გნახო,
შენს იქით მე გზა არ მაბადია,
გნახავ და მიწას ვეამბორები,
ეს მიწა არის ჩემი გადია!

ნეტავ უჩემოდ როგორ მაისობ,
მანახა როგორ ჰყვავის ვარდები,
მითხარი, ხომ არ შემოგავიწყდი,
ხომ არ დააკლდა თბილისს ჰანგები.

ჩემს ბილიკებზე ნეტავ ვინ დადის,
შენით დატკბობას ახლა ვინ იწყებს,
ვისაც თბილისის მტვერი უგრძვნია,
ის ვერასოდეს გადაგივიწყებს!

01.05.1997 წ.

თბილისს

თბილისზე იმდენი რამ თქმულა,
მე რაღას ვიტყვი ახალს?!
მაინც გავბედავ, თბილისო,
ფეხით დავივლი ქალაქს.

მერე ავყვები მთაწმინდას,
იქედან გადმოგხედავ,
გიკოცნი თითოეულ ნასისხლარს,
მე შენი ტკივილი მტკივა.

იქნება შემომეგებონ,
სიყრმის ნაგროვი დები,
მერე დრომ ისე დაგვფანტა,
როგორც გამწყდარი მძივი.

(ოხ, ერთ დროს როგორ გვიყვარდა,
„შატალო“ რუსთაველი;
მთაწმინდა, „კარუსელი“,
ტკბილი და ანცი წლები.)

თბილისზე იმდენმა იმღერა,
მე რაღას ვიტყვი ახალს,
ამ სილამაზეს უმღერეს,
გოგიმ, გოგიმ და სხვამაც.

თბილისზე იმდენი რამ თქმულა,
მე რაღას ვიტყვი ახალს?!
აქ დაფრთიანდა ტერენტი,
ტატო და ჩემი გალა.

ვიტყვი, რომ თვალის ჩინი ხარ,
აქ ღამეს ნათელი ახლავს,
უშენოდ არ მინდა სუნთქვა,
ჩემთვის აქ ჟანგბადი კმარა!

თბილისზე იმდენი რამ თქმულა,
მე რაღას ვიტყვი ახალს?!
გიკოცნი თითოეულ ნასისხლარს
მე შენი ტკივილი მტკივა!

05.05.2005 წ.

„დროშები ჩქარა“...

(გალა)

იყო დღეები,
არ მქონდა გროში,
ჭიქა ყავა და
უხორცო ბორში,
ზამთარში მეცვა
ზაფხულის ქოში
და დავდიოდი
როგორც გავროში.
ქუჩაში იყო
ჭორი, როშვები,
სკვერს ედებოდნენ,
როგორც ბოშები,
რა საჭიროა
თუნდაც გროშები,
თუ მეგობრები
მყვანან ბროშები.
ჩქარა აღმართეთ
ყველამ დროშები,
თავისუფლებას
უფრო ვშორდები,
სულო, გაუძელ,
ნუ მეთოშები,
შენ იმოძრავე,
ნუ გამშორდები.
გაკვირვებული
ნუ მაშტერდები,
თორემ იცოდე
გამოშტერდები,

უკან დაგრჩება,
ნაძვის „როშები“,
როცა ცხოვრებას,
ჩამოშორდები.
უნავთო ლამფა,
უშეშო „ფეჩი“,
ვირთხა სოროში,
ლომები გვერდში,
გმირები ომში,
ლაჩრები სხვენში,
აბა, ცხოვრებავ,
დღეს მე რას გერჩი.
იყო დღეები,
არ მქონდა პური,
ქუჩაში იდგა
ქაოსის სუნი,
სახლში მიმქონდა
დაღლილი სული,
მაგრამ არასდროს
წამსვლია გული.
მაშინაც იყო
ბოღმა და შური,
მაშინაც ეცხოთ
სახეზე მური,
ზოგი მუნი და
ზოგი ამური,
ყველა ვიყავით,
ცხოვრების მდგმური.

12.05.1999 წ.

შარშან

...და ქარებს მოაქვთ ღამით ჭორები,
თბილისში შარშან მოსულა თოვლი,
შარშან ეს ღამე ყოფილა მშვიდი,
დაუთოვია მთები, გორები.

მე გადავეშვი ფიქრის მორევში,
რა გითხრათ, აბა, რომელი ერთი,
თბილისთან უფრო ახლოა ღმერთი,
ოხ, როგორ მიყვარს ქალაქი თოვლში.

მიმაჭენებენ მძაფრი ფიქრები...
შუა გზაშია მეტეხთან მტკვარი,
როგორ უხდება მთაწმინდას თოვლი,
როგორ უხდება თბილისს ფიფქები.

ჩამისახლდება ბავშვობის წლები,
არ დავიღლები, დავივლი თბილისს,
ნელა ავივლი მე მამადავითს
იქნებ ახალწელს მოვიდეს თოვლი.

თბილისის ძველი უბნებით ვტკბები,
მესალმებიან ჭადრის ხეები,
მტკვარს მოვუყვები მე დილით ჭორებს,
ქარის მოტანილს, უთოვლო ღამის.

ვიმეგობროთო, ღამის თბილისმა,
ვიმეგობროთო, მტკვარმა დილისმა,
უფრო მეტს ვითხოვ, რომ დავტკბე თქვენით,
გულში ჩაგიკრავთ, როგორც თილისმა!

და მე ვმეგობრობ მტკვართან, თბილისთან,
ცოტაა ჩემთვის სიცოცხლე ერთი,
მეტეხთან უფრო ახლოა ღმერთი!
შენ, დაიფარე ჩემი თილისმა!

21.12.2021წ.

წუთით მოსული

მე...
ტურისტი ვარ ამა ქვეყნის,
წუთით მოსული...
მინდა, მათბობდეს მზის სხივი
და
არ მჭრიდეს თვალებს!
შენც ტურისტი ხარ, მეგობარო,
დაიმახსოვრე,
გულს ნუღარ მატკენ,
ერთი წუთით როგორ ვერ მიტან!
მე...
ტურისტი ვარ ამა ქვეყნის
და
მიყვარს ღამე!
დავხეტიალობ,
მწუხრის თბილისს მინათებს მთვარე!
ვერ გავარკვიე,
მზე უფრო მწვავს
თუ
მწუხრის მთვარე!
ღამე ტკივილებს ვერ მიყუჩებს,

უფრო მიმწვავებს!
მზე და მზის სითბო კი მავიწყებს ღამის ტკივილებს!
მე ...
ტურისტი ვარ ამა ქვეყნის
და
მიყვარს თქეში!
წვიმის წვეთები მაგრილებს და
მიმალავს ცრემლებს!
ვერის აღმართის წვიმა მიყვარს!
მთაწმინდის მთვარე!
მამა-დავითზე თოვა
მიყვარს!
მთაწმინდის...
მთვარე!
გულს უხარია ამ ქალაქში
წვიმაც და თოვაც...
უთუოდ მოვა...
უთუოდ მოვა...
ოღონდ არასდროს
არ
მტკიოდეს...
                    არასდროს,
                                    მთვარევ!

08.08.2020 წ.

სხვა სიყვარულია...

თუ უპეს ცრემლი გადმოსცდა,
იცოდე, შენი ბრალია.
ყველა ცრემლს გულში ვინახავ,
შენი, ვერ დამიმალია.

თუ გული ცოცხლად იფერფლის,
ეს სულ სხვა სიყვარულია,
ყველა სადარდელს გაუძლო,
შენზე, დარდებით მკვდარია.

ლუკმა ბაგესთან უმწარდეს,
ვისაც ღალატი სწადია,
მარტო უგუნურს ძალუძს, რომ
ღალატში გაუხარია.

რომ დაიბადო ქართველად,
უნდა გწყალობდეს ღმერთია,
თუ მოკვდი საქართველოსთვის,
მაშინ ბედიცა გქონია.

იმზეოს შენმა პურ-ყანამ,
არ გაგჩენოდეს სენია,
შენ თუ იხარებ, სამშობლოვ,
მაშინ მეც გამიხარია.

13.05.2010 წ.

ქობულეთური ვოიაჟები...

ისევ ცრის...
წყალმა დანამა წყალი,
აჭარის თავზე ჩამოწვა ბინდი,
(იმამი მეჩეთს მაღრიბს აღავლენს)
ზეცად მინავალ ლოცვას აღვავლენ,
(„მრწამს ერთი ღმერთი“ ბუტბუტებს გონი)
სალოცავ ბაგეს მინამავს ღელვა.
წვეთები ბგერებს აცეკვებს კარმენს,
შანგლერობს ტალღა, ასველებს კაბებს,
ლაღად ამღერებს მოტანილ შხეფებს
და მონაბერი ფიქრებს აშხეფებს.
-მე არ მანაღვლებს ზღვაზე წვიმები,
გინდაც დასველდეს ჩემი ფიქრები,
ხვალ გავფენ მზეზე, გაირუჯება,
სულის სიმშვიდეს,
მოვკრეფ ბღუჯებად.
ჯუჯა ცოდვები ღუზას აიხსნის,
ჯებირს გაცდენილ საკინძეს შეხსნის,
ნისლი ჩამოწვა, იძინებს წვიმა...
სველი ფიქრები ხვალ თავს დაიხსნის...
მზემ აუკეცა წვიმას პაჟები,
მიყვარს შავ ზღვაზე
ცხელი დრაჟები,
პეიზაჟები,
მირაჟები,
გარიჟრაჟები,
ქობულეთური ვოიაჟები.

24.08.2022 წ.

თბილისი ხომ

თბილისი ხომ უკვე ბევრი წლისაა,
აქ ხოხობმა გაგვიკვალა გზებია,
თბილისი ხომ საქართველოს დედაა,
აქ ვარდები ზამთარშიც კი ყვავიან...
თბილისზე ხომ ლექსის წერა ძნელია,
აქ შეცდომებს არ გპატიობს ბევრია...
თბილისმა ხომ გამოზარდა გენია,
აქ გენიას აკრიტიკებს მრევლია...
თბილისში ხომ ფოთლებიცა მღერიან,
აქ ყვავებიც იადონი მგონია,
ბულბულები გალიაშიც მღერიან,
მე რა მჭირს, რომ სმენა არ დამყოლია...
ძველ თბილისში სტუმრის ფასი იციან,
სტუმარი კი უმალ მასპინძელია...
თბილისში ხომ ტრადიცია ბევრია,
ტრადიციებს არ მისდევენ ძველია...
ძველ თბილისმა ქალის ფასი იცოდა,
აქ...
მანდილი დარჩენილა მითებად.
თბილისში ხომ მეეზოვეც ბრძენია,
ყველა ქუჩა ჩაიბარა მზითებად.

13.12.2010 წ.

დაკარგული ალმასები

შხარას აზიდული საფიქრალი,
ყინულივით მდგარი, ვერ გამღვალი.
ზეცად აზიდული სადარდელი,
უფალს შეთხოვილი სასწაული.
ლუკმა გატეხილი, მადლიანი,
სამტროდ გამოზრდილი ჯალათები,
მტერ-მოყვრის ეული კალათები,
მსხვერპლად შეწირული ქალაქები.
ენგურ გამოვლილი კალმახები,
თერგდალეული ბარათები,
მტერს ბადით უზიდია ქვირითები.
უნდა დავიბრუნოთ ალმასები!

27.09.2009 წ.

„სვანეთის ცის ქვეშ“

სულ სხვანაირად გიყვარს სიცოცხლე,
აქ ბალახს დედის რძის სუნი უდის,
უცებ, ერთ წამში, ისე მაღლდები,
გგონია ხელით მისწვდები ცის თაღს.
აქ ისევ ხნავენ, ისევ თესავენ,
აქ წინაპართა ძვლები ჟრიალებს,
აქ სისხლის ყივილს ისე შეიგრძნობ,
როგორც ზედაშეს დაცლილ ფიალებს.
აქ ისევ ბუხარს ზელენ ტალახით,
ოჯახის თავი ისევ კაცია,
აქ ისევ ბავშვებს ზრდიან აკვანში,
აქ სხვანაირი „ნანა“
იციან!

10.07.2022 წ.

არა, ქართველნო?!

ანი, თბილისო და
ჰოე, საქართველო,
სულ მინდა გეფერო,
შენ, ჩემო ბებერო,
ახლა სიზმარში ვარ,
ტივით მივსეირნობ,
მტკვრის ნაპირით მივუყვები,
საქართველოს.
მესხეთიდან ვიწყებ ფიქრში, შენით ტკბობას,
რა გზით მოდიოდა, ნეტავ, ნინო წმინდა?!
ცაა მოღუშული და ბუნდოვნად მოსჩანს,
ეხ, გრიგოლ,
ტაო, უღმერთოდ ჩამოშლილა.
ჯავახეთს,
ციხე მზეობს, მძლეობს რაბათი,
ბორჯომს,
პეტრე, პავლე,
მდგარი ათინათი.
ცხისისს მოფენილან ბაბუაწვერები,
გორთან უკვეთიათ კლდეში უფლისციხე.
(მურმან აყვავდნენ ყაყაჩოები)
კვლავ მოსდებია სარკინეთს გვირილები,
სამთვეს უთელია უღვთოდ ავგიორგის.
ბაგრატ, მოგვაყარე ჭიდან ორაგული,
კვლავაც გააკვირვე მტერი,
ალყად მდგარი.
(აქ მამის ნაამბობი მახსენდება)
ძეგვი დაუცლიათ ოდესღაც მტარვალებს,
როცა ჩაუვლიათ შუკებში ჯალათებს,

მეთაურს უკითხავს: რა შრიალიაო?
ჯარისკაცს უთქვია:
ძე გვისო, ალაგებს.
მცხეთას, მოკვეთილი მკლავი ამტკივდება,
იარებს მიამებს კვლავ სვეტიცხოველი,
აქ ჯვრით შემოსულა, ოდეს, ნინო წმინდა,
მადლი უფრქვევია შენთვის, საქართველო.
თბილისს მოვადექი,
ძილში დაცვარული,
ჩემი ოცნებების ტივით შენაცური,
რიყეს მეგებება:
მეტეხი, სიონი,
ირიჟრაჟა კიდეც, დამთავრდა სიზმარი.

P.S.
რა წარმტაცი არის ჩემი საქართველო,
მაგრამ ვარდობის თვეს უფრო წარმტაცდები,
ყველა კუთხე მიყვარს, ჩემო საფიცარო,
წამლად მეფინები,
გულზე, საქართველო!
სიტყვა ვერ ვიპოვე შენი შესადარი,
მიხარია დარი, მტკივა მე ავდარი,
ღმერთმა არა ჰქნასო, კიდევ ავდარიო,
შენთვის?
შენთვის თავს გავწირავთ,
ქუდზე ქართველნიო!

02.05.2022 წ.

სამშობლო მტკივა

მე სახით მუდამ სიმშვიდე დამაქვს,
მაგრამ გული ბევრ ტკივილს ინახავს.
ვის რად ვუამბო ჩემი ტკივილი,
კივილით როცა დაცლილა ქუჩა.
როგორც მეზობლის კეთილი ქურდი,
ყოველ გოჯ მიწას ისე გვაცლიან,
მე კი, პატარა გულის ფიალით,
სამშობლოს დიდი ტკივილი დამაქვს!

08.08.2009 წ.

∂ ɯ ɓ ʃ l

მე პოეზიის მოტრფიალე ვარ!

კალამს ვაწვალებ ზოგჯერ ფურცელზე,
არ ვარ პოეტი,
მე პოეზიის მოტრფიალე ვარ,
მაგრამ როდესაც გარდავიცვლები,
ეს ნაწერები დარჩება ფურცელს,
ავად თუ კარგად, მომიგონებენ...
არ ვარ პოეტი,
მაგრამ ვწერ ლექსებს.

01.01.2001წ

მუზას

გადავწყვიტე,
სასთუმალთან,
თავთით მედოს ფურცელ - „პასტა“.
თორემ მუზა ღამით მსტუმრობს,
თვალს გავახელ,
ფრი და გაქრა.
რატომ ხდება მითხარ ასე,
მუდამ სიზმარს ემსგავსება.
ღამით მოფრენილი მუზა,
დილით,
ფრიიი და აღარ მხვდება.
ვით სიზმრიდან გამორკვევას,
ვცდილობ თავი მოვუყარო,
ღამით უარყოფილ მუზას,
მასპინძლობა შევაპარო...

თორემ,
ფრიი და გაფრინდება...
სასთუმალთან დღეის მერე,
სულ მედება ფურცელ - „პასტა“,
იქნებ ისევ მეწვიოს და
დავიჭირო მუზის დასტა!

26.10.2021 წ.

მუზეების სადარაჯოზე

ვდგავარ მუზების სადარაჯოზე,
როგორც გუშაგი ღამის დარაბთან.
ვუმზერ მთვარის და ვარსკვლავთ ციალებს
და გელი ისე, ვით ლოთი არაყს.

მოსწყდა ვარსკვლავი ცის კაბადონებს,
დავასწრებ, სურვილს ვიფიქრებ ალალს.
გადაკრავს ლოთი და ყელს ჩაიწმენდს,
მე კი პირიქით დავჯღაბნი ქაღალდს.

დათვრება ლოთი, სულს დაიმშვიდებს,
ფეხარეული გაუყვება ცხოვრების შარას.
მეც გავბრუვდები შენი ლოდინით,
ალიონამდე განვაგრძობ ჯღაბნას.

28.10.2021 წ.

გაგერიდებით

იყო სიტყვა და იყო ლექსი,
სულისთვის საზრდო,
გონს უხაროდა ლექსის წერა,
მაგრამ რა მარგო...
ახლა ხალხისთვის,
საზრდოდ იქცა: სკამი და მანგო.
ვერ გადავიტან...
გეფიცებით,
ეს გული დარდობს...
პოეზიაზე უიმედოდ შეყვარებული,
ვგრძნობ შეიშალა,
ჩემი სული,
ჩემი სხეული.
საზრდოდ მეყოფა,
დახეული ჩემი რვეული.
სულ არეული,
მთვარეული,
ვიყო ეული!
გაგერიდებით...

20.06.2021 წ.

ძველი სკივრი

ყველას რომ სძინავს,
მაშინ ვიწყებ ცხოვრების წერას,
გარეთ სიჩუმე,
მთვარის შუქი მინათებს აზრებს.
დავწერ,
        გადავხევ,
                ისევ დავწერ,
                                ვაწვალებ კალამს.
ვთქვა თუ არა ვთქვა,
განვლილი და მწარე დღეები.
ყველაზე გვიან ჩემს ფანჯრებში ქრება სინათლე
და დილით,
მაინც მზეს დავასწრებ ამოწვერებას.
ღამეა ჩემი მუზების სკივრი,
მეპატიჟება, საგანძურს მიხსნის,
მეც ინტერესით ჩავიხედები,
არ დამრჩეს სკივრში ძველი ამბები...
გადავხსნი,
          მაინც გავამზეურებ,
ზოგი მძიმეა, ურემივით და
              ზოგი მსუბუქია, ღრუბელივით.
ბავშვობის ლახტი სულ ძირში გდია
და სუყველაზე ტკბილია იგი.

30.10.2021 წ.

ფურცელს

მე ვამსხვრევ ყველა მეტრს,
ორი,
        სამი,
            ოთხი,
                ხუთი,
იდეალური თოთხმეტი მარცვალი,
უხდება ბესიკს და პოეზიას;
ხუთი,
            ოთხი,
                ხუთი,
უხდება შექსპირს და სონეტებს.
არ ვითვლი მარცვალს,
არა მაქვს რითმები,
მაინც ვჯღაბნი და
მაინც ვწერ ლექსებს,
ვთავხედობ ალბათ,
                არ მიწყენს ღმერთი.
ვმეგობრობ ფურცელთან,
კალამთან,
            მელანთან,
ვუყვები ტკივილებს,
 სიხარულს,
                ხანდახან...
არა სწყინს, პირიქით,
მისმენს და მამშვიდებს,
მეც მეტი რა მინდა,
ვთავხედობ,
                ვაწვალებ;
კალამს, მელანს და ფურცლებს.

ხან ვწერ,
ხან ვშლი,
ხან ვხევ
და ნაგვისთვის ვიმეტებ,
მითმენს,
ვმეგობრობთ, ერთად ვართ მაინც.
ლექსები ჩემი სულის საზრდოა,
ფურცელი ჩემი მესაიდუმლე;
კალამი ჩემი მეგობარია,
ერთად გავავლეთ ორივემ ხნული.
როს იყვავილა გაგვყიდა უმალ,
ნაქებმა ფურცელმა მე და კალამი.
იგორა,
იფრინა,
იქროლა,
ქალაქს მოედო ცნობის ფურცელი.
ფურცელზე
მარცვლები,
სიტყვები,
სტრიქონი,
ნაფიქრი უაზრო, ხან კი აზრიანი,
მხარდამხარ მიქრიან,
მიქრიან,
მიქრიან...
არავის უცდიან...
გზა ელით ვრცელი...
ქალაქს მოედო ცნობის
ფურცელი.

20.11.2021 წ.

ესაც გაივლის

ხმაში ბზარი გამიჩნდა, სული ცარიელია,
სულის სიცარიელე მძიმე ასატანია,
არ გაყიდონ თვალებმა სულის ცარიელება,
გულის გადამძიმება დეკემბერის ბრალია,
თუ მუზები დამიფრთხნენ მაშინ არც მემღერება,
თუ კალამი დამიშრა მაშინ რა მელხინება,
შეწყვეტილი სიმღერა, შეწყვეტილი ზმანება,
ფაიტონი მიქრის და მაყრიონს ემღერება.
ვცდილობ დარდი გაფანტონ უკუნით ღამეებმა,
ღვინოს დავეწაფები, ღვინოც არ მეკარება,
საკუთარ თავს ვერა ვცნობ, მიჭირს სხვისი გაგება,
არ დაუშვან ფიქრებმა ჩემი გადაგვარება.
გუშინ თაგვმა გადაღრღნა ჩემი ლექსის აკვანი,
კატამ კუდი წამიკრა, დამიღვარა მელანი,
ლეკვმა წააცუნცულა, სადღაც ჩემი კალამი,
ასე დაცარიელდა ჩემი სულის მარანი.

05.12.1995 წ.

მადლობა

მე არ ვთვლი, რომ პოეტი ვარ,
მე არ ვთვლი, რომ კარგადა ვწერ,
მაგრამ მუზა როცა მსტუმრობს,
მასპინძლობას მაინც ვუწევ.
აბა, როგორ გავაწბილებ,
ქართველობა სულში მიდევს,
ხოდა, სტუმარ-მასპინძლობა,
აკვნიდანვე გულში მიძევს.

დაილოცოს დედის ნანა,
დაილოცოს მამის ყანა,
ვინც სამშობლო შემაყვარა,
ქართველობა დამანათლა!

09.12.1985 წ.

იცხოვრე

სანამ წერა გინდა - დაწერე,
სანამ გემღერება - იმღერე,
სანამ ფრენა გინდა - იფრინე,
იცხოვრე,
                    იგიჟე,
                                ილაღე!
არ შეგეშინდეს შეცდომის დაშვება,
ოღონდ, ისწავლე გამოსწორება.
შეუცდომელი არავინ არის,
უღიმღამოა ისე ცხოვრება...
ახლა შენი დროა,
                                ნუ დუმხარ,
ამოთქვი სათქმელი, გაბედე.
ინანებ,
მერე ბევრს ინანებ,
დროს ვერ დააბრუნებ, იწამე!
სანამ გადაწყვეტ ამოთქვა,
სანამ იფიქრებ,
დრო გავა,
დრო მიდის, არ დაგელოდება,
სიბერე კარს მოგადგება...

არ იცი?
იკითხე-ისწავლე,
დაკარგე?
ეძიე-იპოვე,
დაეცი?
ადექი-იბრძოლე!
ისწავლე,
იბრძოლე
იცხოვრე!

20.10.2020 წ.

სამნი

გაუკვალავს მივუყვები ბილიკს,
შარა გზაზე არ მჩვევია გავლა,
ბილიკები მირჩევნია წმინდა,
თავდახრილი ჯეჯილი რომ ახლავს.

გაუკვალავს გავიკვალავ თავად,
არ მაშინებს ამ ცხოვრების ჭორი,
თუ განგებამ დამანათლა წერა,
მე და მთვარე ვიჭორავებთ ორნი...

არც რაში მყავს ალბათ ისე მარდი,
ამ ცხოვრებას რომ ავფრინდე ცამდი,
არ მინდა, რომ გავქრე, როგორც ლანდი,
ზმანებაშიც მუდამ გვერდით მახლდი.

ნაბიჯებო, რატომ დამიმძიმდით,
შენ, კალამო, რატომ დამიბლაგვდი,
რად მღალატობ, სულის ამოსვლამდის,
მიპატრონე, ცაში გაფრენამდის.

ღამეა და მივუყვები ყანებს,
მორიდებით ვითვლი ხორბლის თავთავს,
ახლა სამნი მივუყვებით ბილიკს,
მე, მთვარე და დარდიანი ლანდი...

15.12.2015 წ.

წრფელია გიჟი!

გიჟი არა ვარ,
მაგრამ
მინდა ცოტა ვიგიჟო
და
საგიჟეთის
შევიძინო
ერთი ბილეთი.
საღი გონება
ჩემს მტერს შერჩეს,
უფრო აგიჟებს.
მიტუა იყო
დარდიმანდი,
საღი გონების
და როგორც ვიცი,
თავი მოიკლა...
ხანდახან მინდა

ცას შემოვკრა
ჩემი სიგიჟე
და გადმოგძახოთ,
ერო, იგიჟე!

28.12.2020 წ.

მიყვარს სიგიჟე

თუ პოეზია არის
სიგიჟე,
ლექსი დავწერე და მეც
ვიგიჟე.
პოეტობაზე თავს კი ვერ
დავდებ,
მაგრამ ხანდახან მიყვარს
სიგიჟე.
მე რომ ოდესღაც
გარდავიცვლები,
პოეზიაზე შეყვარებული,
უბრალოდ შესვით
შესანდობარი,
იმ ერთი გიჟის და
მეგობარის!

02.01.2022 წ.

კალამს

მთვარე ჰკიდია საყურედ,
ცას, როგორც ბასრი ნამგალი,
შემოხვევიან ვარსკვლავნი,
ვითარცა დედოფალები.
ღამის მეფე, მბრძანებელი,
ცოდვა-მადლის დამნახველი,
მუნჯივით დადუმებულა,
დავტყუე მუზად სათქმელი.
მიამბო ღამის ჭორები,
გავავლე შავი ხნულები,
რაც გინდ, ჭირო, თავი მალო,
კალამს ვერ დაემალები.

06.01.2020 წ.

უნდა ამოგთქვა

მე მიმონებენ მუზები,
ჭირო, ვერ დაიმალები,
უნდა ამოგთქვა გულიდან,
სათქმელად ძნელი დარდები.
მელნად ვადინე ფურცელსა,
წარსულის სისხლის წვეთები,
გულს დაკაწრული სევდებად,
ფურცელს რაღასა ვკაწრავდი.
მაგრამ გამიგო ფურცელმა,
არ დასცდენია კვნესანი,
ცრემლი შემიშრო საწუთრომ,
წუთი რომ მქონდეს მზიანი...
იმზევებს დღე ქარიანი!

07.01.2001 წ.

ვინ ვარ...

ფრთამოტეხილი მიწის,
შვილი ვარ,
ნასახლარებზე გული მეწვება...
როცა ნაღველი შემომაწვება,
ფურცელს მელანად დაეწვეთება...
მანუგეშებს და ხელს გადამისვამს,
დუმილით მიქრობს გულის იარებს.
დავწერ და მერე დიდხანს დავცქერი,
ცრემლი ადგება თვალის ფიალებს.
მელნით და კალმით მე გავურბივარ,
დაუნდობელი ცხოვრების ბარდას
და ვეფარები სულის ლაბადას,
გულზე ცხოვრებამ რომ დამაბლანდა.
გზაარეული მგზავრი ვარ, ღმერთო,
ჯერ თავი ჩემი ვერ შემიცვნია...
გზად ყველა მგზავრი დამილოცნია,
სავალი გზა კი ვერ მილოცნია...

17.03.2022 წ.

კოკასა შიგან...

წყაროს გზაზე კოკა გატყდა,
ვერ მოვიკალ წყურვილი,
ცამ ცრემლები გადმოყარა,
ამისრულა სურვილი.
ახლა მხოლოდ ისღა დამრჩა,
მუზას ვყავდე დარაჯად,
ვწერო ლექსი, დავიცალო,
მოვიხვიო ფარაჯად.
ძველ კოკაში მადლი იყო,
დაიღვარა მირონად,
ჰა, შე ბრიყვო, შენი იყოს,
ეს კალამი ფეშქაშად.
წერე, ოღონდ არ დაკარგო,
მუზა შენი რჩეული,
ზედმეტად არ იავკარგო,
ჰა, ფეშქაშად რვეულიც.

27.04.2022 წ.

პროცესია...

არის დღეები, როდესაც ვაფრენ
და არაფერზე ვფიქრობ არაფერს.
არაფრისაგან, არაფრისათვის,
სულ არაფერზე ვდარდობ არაფერს.

გრძნობის პროცესია ემოცია,
ზღვათა მოზღვავება პროცესია.
ზვივთა დაზვინება პროცესია,
ზვივთა აზვინება ემოცია.

არის დღეები, როდესაც ვაფრენ
და არაფერზე ვმღერი არაფერს.
არის დღეები, როდესაც ვჯღაბნი
და არაფერზე არ ვწერ არაფერს.

07.05.2022 წ.

წინ, წინ იარე...

ღამის წყვდიადში,
მხარზე მაზის ექო
წარსულის,
მრავალჯერ ვკითხავ, მოწიწებით,
ჩაგბერო სული?
აღსარებაა ლექსის წერა,
გავხედნი კალამს,
აწკრიალდება დაჟანგული ჟამთა ეჟვნები.
ნალად დავატყობ ანაბეჭდებს,

ვით ყამირ მიწას,
თვალს-თვალში ვუყრი ჩემს ორეულს,
არ ვუშინდები.
ჟამს სინანული ვერ უშველის, არ უნდა გლოვა,
წინ,
წინ იარე, ჩემო მერანო,
ნუ შეშინდები.

30.05.2009 წ.

ეხპრესსიონ

როცა დიდების მწვერვალს ეწვევი,
ზიხარ და ალბათ, თრიაქს ეწევი.
ფიქრობ ალესილ კალმისა წვერით,
ვის ააპარსო ულვაში, წვერი.
ნეტავ ვიცოდე ვისთვის ალესე,
გელიოტინა დაობებული,
ვერ აპატიე, რაც კი გალექსეს,
თავი მოჭერი, მხებზე მობმული.
შენ გამოლანძღე სიტყვა უშვერით,
ვინც კი დაწერა ლექსი-შიშველი,
ფურცელი დამრჩა გადაუშლელი,
ამ სილის გაწნას ლექსითვე ვშველი.
სადღაც „დოღია“,
ვიღაც „ბომჟია“,
ასე გაწკეპლა ლექსი ჟორიამ.
მე ვუსამძიმრებ კალმის ბორიალს,
თავზე დატეხილ ლექსის გორიალს.

18.02.2023 წ.

გაწვიმდა...

წვიმს
და ამაღამ,
თავს მოიკლავს წვიმაში წვიმა,
ქარიშხალი კი ჩაიბარებს
ნამიან ფურცელს.
ცერად შერჩება გადღაბნილი მელანი რვეულს,
ხვეულ ქუჩებში გააქროლებს ქარი აშარი.
შორს,
შემოახვევს გზააბნეულს, ბოძებს ალანძულს,
გალანძღულივით აეკვრება ფოთლებად იფანს.
იფრეენს...
ოო...
იფრეენს...
და გადაიფრეენს,
ღობეეს...
ყორეეს...
მორეევს...
მწირად გამხდარი.
გამოიდარებს...
შეუმშრალებს ღამე დღეს თვალებს,
დაუბრუნდება მკითხველს ნოტებად,
სევდა, ამწყდარი.
მწყრალად ვარ დღესაც,
ეს კალამი წერას მაინც მთხოვს,
ხავსიან დღეებს დასდგომია თავში თავდებად.
და თუ ოდესმე გათავდება,
კასრში მელანი,
ლანდად დარჩენილს,
ვიმყოფინებ,
რასაც წერდა ჩემი მტევანი.

02.02.2023 წ.

ვედრება

მზე აღმოსავლეთს მიცურავს,
ღრუბელმა დასერა ზოლებით,
რეკენ მწუხრისა ზარები,
მეტანიებით შევხვდები.
ცას რუხი ფერი გადაჰკრა,
საავდროს მოჰგავს ფერები,
უფალს ლოცვებით შევხვდები,
დე, გამინათოს მან გზები...
მუხლმოდრეკილი, ვედრებით,
ზეცად მიპყრია ხელები,
უწინ ჩამიქრეს სანთელი,
სხვისი ვინდომო სათქმელი!

14.01.2022 წ.

მუზას ვევაჭრები

ახლა გათანგული,
სიცხიანი,
ვწევარ სასთუმალთან მიჯაჭვული;
ახლა მწუხრი წევს და წყალსაც
სძინავს,
მაგრამ მუზები არ მეშვებიან,
მე კი ვევაჭრები გათანგული.
როგორც ქორვაჭარი მუშტარს,
ისე,

დავეწაფე მუზას,
ვცდილობ არ გავუშვა ჩემგან,
ვცდილობ მივაჯღაბნო ფურცელს,
აზრი არ გამებნას ყველგან.

-დღეს მე...
მუზებმა დამიმსხვრიეს
სულის სავანე.
ადრეც მსტუმრობდნენ,
მაგრამ
ახლა შემომეჩვივნენ.
ვიცი,
ყოველი ლექსის წერისას,
მე...
სამსჯავროზე გავყავარ უფალს...
მაინც ამოგთქვავ,
უნდა ამოგთქვა!
ფურცელს რომ შერჩეს,
ჩემი სულის ნაკარნახევი.
მოდი!
გახედნე ჩემი რითმები,
ჩემი ვერლიბრი დაამსგავსე,
უფრო ნაკალმევს!
ჩემი ლექსები ულაყია,
ვით
ჩვილი ბავშვი
და სამსჯავროსაც გადავიტან,
წრფელად,
ბავშვურად.
ნუ მიმატოვებ, მუზავ ჩემო,

ღია კარებში,
რომ ეშმაკები არ დაბუდდნენ
ჩემს ნაწერებში...
ახლა სიცხიანი,
გათანგული,
მუზას ვევაჭრები,
გულთან მიჯაჭვული...

25.10.2021 წ.

სამეგით...

შემომაწვა ფიქრები,
როგორც ჯანღი ღამისა,
დროა შემონათების?
არა, გათენებისა.
ახლა დროა გაქცევის?
არა, უფრო დარჩენის!
წმინდა აღიარების,
მიტევების, შენდობის.
მთვარის გარდაცვალების,
დაბადება სხივისა,
მიძინება ვარსკვლავთა,
ალიონი სამხმათა.
გზაში ფეხმძიმდებიან,
უხილავი მუზები,
ჩემში იბადებიან,
მარგალიტის მძივები.

თუკი ვინმემ მომბაძა,
ეს ხომ უკვე კარგია,
მე კი, გალას მივბაძავ,
პოეზიის ღმერთია.

15.07.2022 წ.

ბუნების თერმოდინამიკა

ჩემი ივნისი

დღეს თბილისი ეთხოვება მაისს,
გაზაფხული ზაფხულს უთმობს აისს,
დღეს მტკვარია უჩვეულოდ წყნარი,
იდუმალი, თითქოს ლოცავს თბილისს.
სიონიდან ისმის რეკენ ზარებს,
მცხეთის ცაზე გასხივდება თაღი,
ლოცვად შესდგა ყველა ქრისტიანი,
ზეცას სწვდება წმინდა სანთლის ალი.
გზა დავუთმოთ, მობრძანდება ვაზის,
ნაწნავებით შემოსილი ჯვარით,
გასცვეთია ქალამნები გზაში,
წმინდა ნინო, მობრძანდება მადლით.
ჯავახეთის მთები გადუვლია,
მტკვრის ბილიკებს დაჰყოლია ქარი,
მეტეხიდან ლოცვებს უსმენს მტკვარი,
მოაცილა გადაღლილი მგზავრი.
წმინდა იყო გზა სავალი მისი,
უტვირთია თავად უფლის ვალი.
ნაწნავებით შემოსილი ვაზი
აღმართულა ბოდბეს ნინოს ჯვარი.

01.06.1996 წ.

მაისის ისტერია

ოთხ სეზონს ხანდახან
ვიხილავთ ერთ დღეში.
(ნერუ)

მაისის ისტერია,
ცათა მისტერია,
მიწის ისტერია
ჩემს ხმას შერევია.
დღემოკლე ღამეები,
უფრო მოკლდებიან,
ხან გაზაფხულობენ,
ხან კი ზამთრდებიან.
ცა მიწის ჭერია,
ცას მზე უჭერია,
ცა ალისფერია,
მიწა კი სველია.
მიწა ღვთის შვილია,
ღმერთი გვიდევნია,
მიწა გვიპოხია,
მერე გვინანია.
ჰაერი უხილავი,
სამყაროს ფილტვებია,
ამოხველებაზე
პირჯვარი გვიწერია.
მაისის ისტერია,
ჯიუტი, კერპია,
წვიმაა, თოვლია,
ხან გიჟი ქარია.
ფერთა აღლუმია,
ზღვათა ცეკვებია,

ხეთა ხვევნებია,
ხევთა სტვენებია.
ცათა მისტერია,
კერკეტი კაკლებია,
მარგალიტებია,
კლდეთა ტირილია.
მაისის ისტერია,
მიწის მისტერია,
ქანები ქანდებიან,
გადაქანდებიან...
მაისის ისტერია,
ჩემს ხმას შერევია,
ხან ბობოქრობენ და
ხან დადუმდებიან...

01.05.2023 წ.

მიყვარდა მაშინ

ცა მოჟამულა ვით აჭრილი რძე,
ავად ჟინჟლავდა ნახევარი დღე,
თავშესაფარი ვპოვე გამხმარ ხეს,
წვიმის წვეთები ქეჩოს მისველებს.
სისხლი ვერ მივსებს ამ გულის ხვრელებს,
ამოვახველებ ბავშვობის კიბეს,
ხვეულ ბილიკით მივყვები კიდეს,
ხვალინდელ დღისთვის ეს დღეც რომ ღირდეს.
შემომეხვია გულზე მარწუხი,
წამში ათასი შეკუმშვა ვიგრძენ,
ახლა ჩემს თვალწინ იშვა წარსული

და დამიბრუნდა ბავშვობა სრული.
მაისის წვიმა მიყვარდა მაშინ,
დავაბოტებდი როცა გუბეში,
წვიმის გავლებულ ვიწრო ხნულებში,
ქაღალდის გემებს ვაცურავებდი.
-და წვიმას კი არ ვემალებოდი,
ველოდებოდი, ნეტავ გაწვიმდეს,
მზე პირს იბანდეს, თან იცინოდეს,
ცაზე შვიდფერი ზოლი ცვიოდეს,
ციოდეს, მაგრამ არა მციოდეს.
ახლა?!
ახლა ნისლია შემობერების,
მოგონებების შემოფეთების,
მოფერებების ბავშვური დღისა,
ღირდა ეს წვიმა,
ბავშვობის ხილვად!

13.05.2023 წ.

წვიმდეს, ქროდეს...

თავაშვებულად ქრიან ქარები,
შეუღლებია ღრუბელს ღრუბელი,
მიაჭენებენ, როგორც უბელი,
უუნაგირო რუხი ცხენები.
გადუქროლებენ ჭენებ-ჭენებით,
მირონცხებული თბილისის გუმბათს,
მტკვარს აჰყვებიან აღმოსავლეთით,
შეისვენებენ სვეტიცხოველთან.
ჩამოჯდებიან სამრეკლოს ზართან,

დაიტირებენ უტას მოჭრილ მკლავს,
ემბაზს დაცლიან ძველ კარიბჭესთან,
მზე ამოუშრობს ღრუბელს დაცრილ თვალს.
ეამბორება ამღვრეულ ცის თაღს,
წამოიწვერებს, მცხეთას დალოცავს,
კენჭებს გაუთბობს გზაამღვრეულ მტკვარს.
შეეგებება მწუხრისას მთვარეს,
ცა, მზე და მთვარე ერთად ივახშმებს,
წილსაც უყრიან ნადიმობის ჟამს,
მეორე დღისთვის წვიმას,
ქარს თუ დარს...?!
მზე გაიმარჯვებს კვლავ!

17.05.2023 წ.

იგვიანებენ იასამნები

რომც ჩამეძინოს საღათას ძილით,
შენი სურნელი გამომაღვიძებს,
სავსე მთვარისას გაზაფხულობით,
ჩემი თვალები მუდამ შენ გეძებს.
რომც ვერ გიხილო, დავკარგო ჩინი,
შენი სურნელით გამოვლინდები,
შენი ყვავილი ძლიერ მათრობს და...
შენი ხილვისას ვრეტიანდები.
მინდა, შევღებო ზეცა შენ ფერად,
კაბა ჩავაცვა იასამნების,
წვიმად დიოდეს შენი სამნები,
გულზე მეფინო ლამაზ ზმანებით.
მინდა, დაგიდგეს მთვარე ნათებად

და ვარსკვლავები ღამის დარაჯად,
დავსეირნობდე დღისით შენს ბაღში,
ღამეს ვათევდე შენს დარაბებთან.
თუ ვარდი არის ყვავილთა მეფე,
შენ ყვავილების დედოფალი ხარ!
თუ ვარდსა ჰყვარობს თავად ბულბული,
შენ შეგიყვარა ჩემმა თილისმამ!
წელს იგვიანებ გამოღვიძებას,
ბზობას უშენოდ როგორ შევხვდები,
ბზის ტოტები და შენი ყვავილი,
რომ არ მივართვა დედას აღდგომას.
ჩანასახშივე შენი მიჯნური,
მუცლიდან გახდი ჩემი საწილე,
-გთხოვთ, არ შეახოთ ხელი ბინძური,
დედის ალერსი გავუნაწილე.

15.04.2022 წ.

„დროებითია ყველაფერი“

(ნობე)

გულო...
ნუ დარდობ, ზაფხული, ცერზე რომ გაიპარება...
და...
შემოდგომის ქარები უჩუმრად მოგეპარება,
ხანდახან წამოიქუხებს,
ცაზე ვარსკვლავი გაქრება,
გულო...
იყუჩე დღეიდან თუ სევდა შემოგეპარა.
დილ-დილაობით მინდორი ცვარ-ცურით დაინამება,

ხანდახან წვიმას წამოჰყრის, ხოშკაკალას ან დანამას,
სახურავებზე დაუკრავს,
სიმფონიას ან სონატას.
გულო...
ნუ დარდობ მზის სხივი თუ ღრუბელს ამოეფარა,
გია ყანჩელი ამღერებს,
თვით „ყვითელ ფოთლებს“ ნოტებზე,
ომგამოვლილი ფოთლები აცეკვდებიან მინორზე,
ჩამოსხდებიან ეულად, დარაბებს მიღმა მინდორზე,
მერე ნიკალა მოხატავს,
ფუნჯებით ფოთლებს ტილოზე.
მოვა ზამთარი, იმკაცრებს, გადააბერებს კამარას,
საკვამურიდან იქროლებს შავი კვამლების ამალა,
არც ზამთარს დაედგომება, როცა ხეს წყალი ჩადგება,
შემოეყრება გაზაფხულს,
ხელებს დაიბერტყს სამსალას.
შემოთბებიან ფესვებში:
ნუში, ვაშლი და ატამა,
აყვავდებიან ტყემლები, გამოიღვიძებს ბუნება,
„აშრიალდება ვერხვები“,
მტკვარი კვლავ ადუდუნდება,
გულო...
სულ ცოტაც გაუძელ,
არ მიღალატო, ამაღამ!

01.09.2019 წ.

რა შეუძლია ზეცას?!

ცრემლები გაყუჩდა,
უპეში ჩაგუბდა,
ცას ბზარი გაუჩნდა,
მძივებად გადმოსცდა.
ვერ უძლებს ცის გული,
დაგროვილ ხიზანებს,
დაისხამს, გამოსცლის,
ყანწსა და ფიალებს.
საწადელს მიაღწევს,
ჩამოსცლის ქვევრ-ჭურებს
და ლოთი კაცივით,
მოჰყვება მუქარებს.
მალევე იდარებს,
არც არას იდარდებს,
გლოვასაც არ აცდის,
მაცდურად ინათებს.
კამათსაც იკადრებს,
ღრუბელთან იდავებს,
უღუზო გემივით,
შორეთით მიავლენს.
ინათებს შვიდგზის და
ლოცვებსაც აღავლენს,
შვიდფერი პერანგით,
შემოსავს იარებს.
მიწას ბუღს აადენს,
გუბეს ამოაშრობს,
ბოდიშს მზით გადგვიხდის,
ჩვენ დედამიწელებს.
ოდეს თუ გვიკითხავს:

რა მოსდის ცისა გულს...!
რა მოსდის ცისა გულს...?!
რა მოსდის ცისა გულს,
როს გამოიდარებს...
P.S.
ცას, გაწვიმების შემძლეს...
ცას, გასხივების მეფეს...
ცას, სამოსახლოს ღმერთის,
ცა,
ჩვენგან ჯვარცმულს სტირის?!

25.07.2002 წ.

სარჩევი

თავისუფლდეგა
თავისუფლეგა...

თაბორის
თავი
თარგა ხარატმა,
თამრო თბილისის
თავზე დასახლდა.
თახვმა თუნუქის
თასი გადახრა,
თავად თამრიკო
თურმე გადახტა.
თებრომ თეთრ თუთებს
თაფლი ადინა,
თასი თამამი თარით
ავსილა.
თავხედ თრითინამ
თმენა დაკარგა,
თურმე თავადებს
წაუთრითინა,
თათარა თათარს
თათრის ეგონა,
თურმე თათარა
თქვენი ყოფილა.
თემომ თალგამი
თხემით ათრია,
თალგამმა თემო
ამოათრია.
თონე თიხისგან
ამოლესილა,

თომა თონეში
თავით წახრილა.
თიკანის თავზე
თმები უტრუსავთ,
თავგატრუსული თხა
თასმას ლოკავს.
თავლაში თურმე
თოხარიკი თვლემს,
თავმიდებული თივაში
ფშვინავს,
თავაშვებული თავხედია
თურმე სასტიკად.
თვალუწვდენელი თოლიაა
თურმე ტალღებში,
თავბრუდამხვევი
თარეშია ოკეანეში.
თრთოდა თაბახზე
თექის მანტია,
თაბახზე თურმე
თვით ძე ხატია.
თრიაქის თივა
თიბა ვეზირმა,
თრიაქი თურმე
თამბაქოსია.
თითბერის თოკი
თელა ზაფხულმა,
თვალწარმტაცია
თავად თიბათვე.
თელიან მთაზე
თოვლი მოსულა,

თოვლმა თრთვილივით
თოვა გორები.
თამასუქები თხოვა
ზამთარმა,
თავად თებერვალს
თვეში ნაკიანს.
თრთვილმა
თოვლივით
თრთვილა
თავთუხი,
თავისუფლება
თავთავებშია,
თავისუფლება თავად
ჩვენშია,
თავისუფლდები უფლებებისგან,
თავისუფლება
თავისუფლდება...

26.08.2022 წ.

გამოუთლელი გასათლელია...

გველმა გველურად
გაისისინა,
გული გააპო გულთამპყრობელის,
გადარეული გუდამაყრელი,
გვალვაში გარბის გულამღვრეული.
გუგულმა გარეთ

გაიღულუნა,
გადაუფრინა
გალიას გვერდით.
გედმა გემბანზე
გაინავარდა,
გემზე გააბა
გრძელი გრაგნილი.
გუმანით გრძნობა
გასაკვირია,
გვიან გაზრდილი
გასახედნია.
გონი გაწვრთნილი
გონიერია,
გამოუთლელი
გასათლელია...

08.09.2022 წ.

აღუ-ღ...

ა-ღუ... აღუ... ღულუნებენ აღუები,
დ-ასაბამით ადიდებენ უფალს,
ი-ავნანას დაუმღერებს აკვანს,
დ-ედა, დედი, უფალს გვედრი,
ე-ფერება თან არტახებს აკრავს.
.
ღ-მერთო, ერთო, მოწყალეო,
მ-იწყალეო, შეიწყალე,
ე-ვედრება აღმდგარს.
რ-ეკენ ზარებს...
შეავედრებს,

თ-ვის შექმნილსა ანგელოზსა,
ი-ფარავდეს ას გზას.
უ-გალობებს საგალობელს
ყოველს,
ფ-რიალებენ ფიალები
რწმენით.
ა-დიდებს და სადიდებელს
მღერის,
ლ-ამპარს უნთებს,
გამრავლდესო ერი,
ი-მერ-ამერ, ევედრება
უფალს!
ღ-მერთის ხატზე
მო-მლოცველი,
მ-ორწმუნე და მოზიარე.
ე-რთი რწმენით, ყრმათა ზრდიან,
რ-ომ სამშობლოს მძიმე ხვედრით,
თ-ავისუფალს, თანაზიარს,
ი-ხილავენ მარად
მზიანს!

01.04.2023 წ.

დედა ენავ!

შ- ენით გაღვივდა ჩემში მარცვალი,
ე- დემის ბაღო იაკობისა,
ნ- აზიარებო ყველა წმინდისა,
დ- ედად მიცვნიხარ, ენავ ქართლისა.

ე- მსგავსებოდი შენ არცდროს არვის,
დ- ე მუდამ გედგას შარავანდედი,
ა- კვნიდან დაგვყვა იავნანა და,
ე- ნა ქართული, ენა ღვთიური.
ნ- ამოძღვრალია შოთას, ილიას,
ა- კაკისა და... ვინც გაგიზრდია,
ვ- ინც დედა ენა არ დაივიწყა,
ყველა სამშობლოს ამაგდარია!

14.04.2022 წ.

გიხაროდეთ!

ა–რსება
ბ–ბიბლიის
გ–ანგება
დ-იდების
ე–რთია
ვ-არსკვლავი
ზ–ეციურ
თ–აღამდის.
ი–ნათა
კ–არიბჭემ
ლ–აღობენ
მ–ოგვები
ნ–აჭედი
ო–ქროთი.
პ–ასექი
ჟ–ღალური

რ–უდინით
ს–დუმან
ტ–იტები
უ–ფლის წინ.
ფ–იქრები
ქ–ურუმთა
ღ–ირსების
ყ–ანები
შ–ემოსილ
ჩ–ადრებით.
ც–ხონდება
ძ–ე ღვთისა
წ–მინდანის
ჭ–ილოფში.
ხ–არების
ჯ–ილდოთი
ჰ–მაღლდები,
მარიამ!
*
და ეს ყველაფერი ქართული,
ანბანის მიხედვით ბრწყინდება.

07.04.2022 წ.

ანიდან-ჰოემდე!

ა- ბა მითხარ,
ბ- ედი ჩვენი
გ- მინვაა თუ
დ- არდიმანდი,
ე- დემს უნდა
ვ- არდი ვკრიფოთ თუ
ზ- ესკნელში ვშალოთ ფრთები?!
თ- აბორის მთას ზარი ვრეკოთ,
ი- ქადაგოს ისევ ბრძენმა!
კ- არიპჭემდე დავიბრუნოთ,
ლ- ელვიანი
მ- ინდორ-ველი,
ნ- აოცნებარ ქვეყანაზე
ო- ღონდ არვის დაგცდეთ ძვირი!
პ- აწაწინა სამოთხე მაქვს
ჟ- ღალად მორაკრაკე სისხლში,
რ- უდ გავიღებ,
ს- ამშობლოსთვის,
ტ- ყვიას ჩავუდგები კვალში.
უ- ფლის ნაბოძებ მიწა-წყალს,
ფ- არად დავუდგები ომში.
ქ- რისტე
ღ- მერთი დაგვიფარავს,
ყ- ოველ გოჯსა ვზომავ კრძალვით,
შ- არშან დაკარგული მიწა,
ჩ- ვენი საბრძოლველი არის.
ც- ად აწვდილი ხმა ვერ გვშველის,
ძ- ვალსალაგის დასაცავად,

ნ- არსულ დღეთა შეცდომებმა
ჟ- კუა მაინც ვერ გვასწავლა.
ხ- უთჯვრიანი დროშით დავალთ,
ჯ- ავრი დაგვაქვს გულში მტრისა,
ჰ- ანგად საქართველო ბრწყინავს,
წილნაყარი დედაღვთისა!

P.S.

ერთად უნდა დავიბრუნოთ,
დაკარგული ჩვენი მიწა!
დარიალზე სუფრას ვშლიდეთ,
ფსოუდან მოგვქონდეს წყალი!

02.01.2023 წ.

ბაკშვობის
შემონახული მინები

***

ჩემო საყვარელო დედი,
მოგიტანე ყვავილები,
რვა მარტია, გეფერები,
მიყვარხარ და მეყვარები.

8 წლის

ჩემი ფისო ავად არის,
მოვუტანე, რძე და ყველი,
არ დამტოვო ფისუნია,
მალე გაზაფხული გველის.

9 წლის

მურია, მურია,
ნუ ყეფ, შენ უთენია,
დამაცადე ძილია,
ძალზედ საამურია.

9 წლის

მე და რუსომ ვითამაშეთ,
აივანზე დედობანა,
ვატულიკა მოვიდა და
აგვიტეხა ომობანა.

9 წლის

თემო, თემო,
მომე ხურდა,
სკოლის გვერდზე,
მოედანზე,
საქანელა ჩამოსულა.

10 წლის

ბუტე, ბუტე, გაგებუტე,
ჩემო, ძმაო, დავითაო,
აღარ შეგირიგდები,
მე ცოცხალი თავითაო.

10 წლის

რა კარგი არის არდადეგები,
წამში შევკარი ჩემოდანები,
მატარებელით წავალთ ამაღამ,
სამი თვით სვანეთს გადავბარგდები.

10 წლის

სვანეთშია ჰილიშობა,
ცხენით ამიყვანეს მთაში,
მიხარია აქ გართობა,
აღარ მინდა წასვლა ბარში.

10 წლის

თემო უკრავს გიტარაზე,
დათო უბრახუნებს დოლზე,
პიანინოს მივუჯექი,
დაკვრა ვიცი მე ნერვებზე.

10 წლის

დედამ სახლი დაალაგა,
აპრიალა დილით ზალა,
მამა საღამოს მოვიდა,
და ზღვართანი გაადინა.

10 წლის

მიზნად არ მქონდა მე ლექსის წერა,
სათქმელი ლექსად შემომეწერა.
დამნაშავეა ამაში მუზა,
მეც ჩავეჭიდე, მოვქაჩე ღუზა.

12 წლის

მკითხველს

ყოველი წამი, რომ შევკრიბო,
ლექსის წერისა,
მთლიანად ალბათ, ორ წელს მოვითვლი,
მაგრამ თუ ვინმემ წაიკითხა ჩემი ლექსები,
ჩავთვლი, რომ ორ წელს, მაინც ვცხოვრობდი.

13.07.2022 წელი



ვალიკო კაკაურიძე

მიმინო

ლექსად ნათქვამი ამბები

თუ მეფობა გინდა, ადედოფლე ქალი!

რაც არ უნდა ქროდეს ქარი,
როგორც გინდა ციოდეს,
ორი გული ერთად რომ ძგერს,
ვერას დაგვაზიანებს.
ტანადა ხარ პაწაწინა,
ვითარცა ფეტვის მარცვალი,
დევი ქისაში გინახავს,
შენა ხარ მისთვის წამალი.
სამკაულებს არ იკეთებ,
განა არა გაქვს მრავალი,
სამკაულად ხომ მე გყავარ,
მიტომ ხარ ასე თამამი.

07.02.2022 წ.
მიმინო

როცა შენი სახე მომეგებება...

ჩემს სარკმელთან სხვანაირად თენდება,
ვედრებას ჰგავს შენი დილის სალამი,
ღრუბლიან დღეს ჩემს ოთახში მზე დგება,
მუზა ხდები, ჩემი საწერკალამის.
ჩემს სარკმელთან უმზეოდაც ნათდება,
როცა შენი სურნელება იფრქვევა.
ჩემი სახლი საყდარს დაემსგავსება,
შენს ბაგედან როცა ტრფობა ითქმევა.

ფიფქი ქროდეს, სხივად დამეხატება,
შენი მზერით მეხატება ხატება,
ედემის ვარდს ალმური მოედება,
ზამთარშიაც იყვავილებს ვარდები.
ჩემს სარკმელთან სხვანაირად თენდება,
ჩემს სარკმელთან სხვანაირად ღამდება,
როცა ტრფობით მითვალთვალებს თვალები,
დათალხულ დღეს სხივად მომელანდები.

2023 წ.
მიმინო

ნერუს

ენამწარე ქალბატონო,
ეს რა ტკბილი ყოფილხარ,
შენ გეგონა უარგყოფდი?!
სამუდამოდ მინდიხარ!
შენ რომ ნექტარი დანესტრე,
გამოვწურე თაფლები,
მხოლოდ ერთხელ გამიღიმე,
სამუდამოდ დავთვერი.
მერე სიტყვა დაგადევნე,
აგირიე დავთრები,
გულის კარი გაგიღე და
სამუდამოდ დამნებდი.

2023 წ. მიმინო

ანათებ

ანათებ დღისით, ანათებ ახლაც,
მე კი შენს აჩრდილს შორიდან ვლანდავ,
ჩემთვის შენ მუდამ სანატრელი ხარ,
როცა წუთითაც ჩემს გვერდზე არ ხარ.
როცა მოვკვდები შენ გულის კლიტეს,
მე სამარეშიც გულით გამატან.
გიჟი არა ვარ, ყველამ გაიგოს,
ასე მინდა, რომ წესი ამიგო.

2023 წ.
მიმინო

გაფრთხილება!

ოცი წლის მერე შევიტყვე,
ლექსებს რომ წერდი მალულად.
სურპრიზს მიწყობდი ეტყობა
და ისიც არ დამალულა.
წარმატებული ქალი ხარ,
უკვე გამხდარხარ მგოსანი.
ქალავ, მე ჩემთვის მინდიხარ
და არა სამყაროსათვის!

04.11.2020 წ.

ჩემს გოჭს

ამ ბარბარობა დღესაო,
რიჟრაჟი ადგას სხვენსაო,
დაბადების დღეს გილოცავ,
გულით გიბევრებ წლებსაო,
იხარე, იბედნიერე,
სიყვარულს გიძღვნი ბევრსაო.

17.12.2022 წ.

მე და ჩვენ

დავიბადე ვერაზე,
ვიზრდებოდი ვაკეში,
კოჭობანა ვისწავლე,
ჩემი უბნის ბიჭებში.
ბიჭი ვიყავ ხუჭუჭა,
ყველა უბანს ვიცნობდი,
ვაკელების ღირსებას,
ვაკის პარკში ვიცავდი.
ოპერის წინ საათთან,
ძმები ვიკრიბებოდით,
დარიალის სარდაფში,
კოლორიტებს ვხვდებოდით.
ნაღდი თბილისელები,
თბილისურად ვცხოვრობდით,
განა ღვინით, ან არყით...
სიყვარულით ვთვრებოდით!

2023 წ.

ნინა ბებიას ხსოვნას.
მჯობნის-მჯობნი

ამ ბარბარობა მწუხრის ჟამს,
ბავშვობის სკივრი გავხსენი,
თვალწინ დარბიან კადრები,
ნინა ბებიას ლანდები.
პირველი მიწა-ბოგირას,
დაბა-კულაშში გაზრდილი,
ლეჟავას ქალი-ასული,
ხვთის კანონებით აღზრდილი.
მჯობნის-მჯობნს* გვათამაშებდა,
ჩემი ბავშვობის ეზოში.
დები კარისკენ გარბოდნენ,
მე სარკმელიდან ვძვრებოდი.
აღარც წესი და ადათი,
აღარც ბებიას კვერები,
ბავშვობის მოგონებებში,
ჩემს ბებოს ვეფერებოდი.
P.S.
მჯობნის-მჯობნი*- თამაში ბარბარობა დღეს.
ჩოგანზე დადებული ლობიანით,
წრე უნდა დაგერტყა სახლისთვის და ისე შესულიყავი სახლში,
ლობიანი არ გადმოგვარდნოდა.
ვინც პირველი შევიდოდა მეკვლედ ითვლებოდა და
გამარჯვებული მომავალი წელი ექნებოდა.

17.12.2021 წ.

ბაბუას

(ვარდენა კაკაურიძეს)

ზესტაფონის ერთ სოფელში,
პირველ სვირად წოდებულში,
კორნაპას სერის კიდეში,
კაცი ცხოვრობდა ცნობილი.
ვარდენა კაკაურიძე,
მეღვინეობით განთქმული,
გააკულაკა მთავრობამ,
ვაზი გაუხდა ძმობილი.
ღვინობის თვე რომ დგებოდა,
ჭრიალებდა საწნახელი,
ფეხშველი მაჭყლეტინებდა,
კარგად მეგრძნო საჭყლეტელი.
ამას ვყვები და ახლაც მწვავს,
ფეხისგულებზე წიბწიბო,
ამტკივდა მოგონებები,
ბაბუას იწილ-ბიწილო.
აღარც ვაზი და მარანი,
აღარც კორნაპას ქოხები,
მეწყერმა თან ჩაიყოლა,
ბაბუაჩემის ჭურები.
სულში ტკივილის ზარები,
გულს გაჩენია ბზარები,
ბაბუის ხსოვნის საყოფად,
ორშიმოს დავეწაფები.

2023 წ.

დედას

შვილებს გვიცავდი, როგორც აფთარი,
გვარად კი ფოცხვერია ხარ.
მარტის ცხრამეტში დაგვტოვა დედამ,
პირველ იანვარს დაბადებულმა.
ათი წელია გულს მაწევს სევდა,
ჩვენ აღარ ვხვდებით
ახალ წელს ერთად,
საფლავის ქვიდან შენ და მამა,
მდუმარებით მადევნებთ თვალყურს.
ნეტავი ვიყო ისევ პატარა,
შენ ისევ ქოჩორს გამიჩეჩავდე,
ჩამოვჯდებოდეთ კარების ზღურბლზე
და ძველებურად ლეღვს მივირთმევდეთ...
უკვე მეათედ მიწევს უშენოდ,
დაბადების დღის მოლოცვა შენთვის,
ვეღარ გისურვებ დღეგრძელობას და...
თვალებწყლიანი შენს ხსოვნას ვამბობ.

01.01.2021 წ.

დარიგება

(ნიკა კაკაურიძეს)

ნიკა, ბაბუ, დაიხსომე,
ჩემგან სიტყვა ნათქვამი,
სწავლის ფასი ცხოვრებაში,
არაფერი არ არის.
სკოლას მორჩი, მასთან ერთად,
ბავშვობაც მიიწურა
და ცხოვრების ასპარეზზე,
გამოდიხარ ჯიქურად.
არ იფიქრო, სკოლას მორჩი,
ამით სწავლა შეწყდება,
თუ ისწავლი, ცხოვრებაში,
მუდამ წინსვლა გექნება.
ასე იყო, ასე არის
და სულ ასე იქნება,
უფრო გრძელი გზა მოგელის,
ცხოვრება ახლა იწყება.

2023 წ.

ენეას ბაბუსგან

პატარა გოგო ენეა,
დედის და მამის მშვენებავ,
ბაბუას გულის წამალო,
შენ შემოგევლოს სამყარო.
ცხრა წლის გამხდარხარ, ჰელენი,
თუმცა მოგნათლეს ელენედ,
გზას ორი ნაგაზი გიკვლევს,
ერთურთ გიყვარდეთ სამივეს!

2023 წ.

ა რ ი ც ვ ლ ე ბ ა !

საქართველოს შვილი მქვია,
ფეხი სად არ დამიდგია,
ბევრი მიწა მომივლია,
რწმენა არ შემირყევია.
ისიკული, რიზე, თასუ,
ხეტიალში გამივლია.
ბაბა სასახლეს დამპირდა,
ჯვარი ვერ დამაგმობინა.
აქსაკალი ოქროს მაწვდის,
საქართველო ბაჯაღლოა.
ვერც თასუზე შემაცდინეს,
სახელი არ შემიცვლია.
ოქრო-ვერცხლზე არ იცვლება,
არც სამშობლო არცა რწმენა,

საქართველოს შვილი მქვია,
ასე მოვკვდე მირჩევნია!
P.S
ლექსი დაწერილია საკუთარი ცხოვრების
ნამდვილ ფაქტებზე.

2021წ.

ტკბილი კვერი

როცა სიო დაუბერავს
სვირში
და ჩამოჰყრის „ნიგვზებიდან“ ფოთლებს,
ხეზე ტკბილად იგალობებს ჩიტი,
სამოთხეს ჰგავს ჩემი იმერეთი.
ჭიდან წყალს რომ ამოვიღებ,
დაცვარული ხელადით,
ყლუპს გადავკრავ,
გულით გეტყვით,
სამოთხეში მობრძანდით!
მეც ამ სამოთხის შვილი ვარ,
თვალწარმტაცსსა ვეფერები,
ყველა კუთხე მიყვარს, მაგრამ
იმერეთს!
იმერეთს შემოვევლები!

2021წ.

დედულეთს

დედულისკენ მივდიოდი,
გავიარე ხაშური,
გვირაბიდან რომ გავძვერი,
სიოა მადის აღმძვრელი.
ნიავმა შემოუბერა,
ფილტვებმაც იგრძნო საშველი,
რისი შოვი და უწერა,
ამას ვერ აღწერს მნახველი.
სამტრედიისა ხილვისას,
უცბად მეცვალა გუნება,
„ჭაპულას“ სუნი ვიგრძენი,
ვერ გავუძელი ცდუნებას.
აქ ხაჭაპურებს აცხობენ,
ქვეყნად არა ჰყავს ბადალი,
მუზებად შემომეწერა,
გამოვიყოლე საგზალი.
ნიორწყალი და წიწილა,
ეკალა ნიგვზით ნაკმაზი,
ციცქა და ცოლიკოური,
სიმღერა ძალზედ ლამაზი.
კეცზე დაჯენილ თხელ ჭადებს,
თხილის ფოთლები საფრადა,
იმერეთს ასე სჩვევია,
თავს გაგრძნობინებს ზღაპრადა.

P.S.
იმერეთი რომ გვიყვარდეს,
არ სჭირდება ატესტატი,

გულში სიტკბო უნდა გქონდეს,
ჩაგიხუტებს „ადრესატი“!

2023 წ.

რწმენა და იმედი

ზამთრის დილა გაგვითენდა,
ღვთიური და მშვენიერი.
ქრისტე იშვა, გიხაროდეთ,
ერო, გაშალე ფრთები!
გეყო ტყვეობაში ყოფნა,
გაახილე ორთავ თვალი,
ირწმუნე, რომ ღმერთი გწყალობს,
მტერს არ დაუხარო თავი!
წართმეულიც დაიბრუნე,
მსოფლიომ რომ დაგაფასოს,
ტრანსგენდერობას მოეშვი,
საქართველო არ დაკარგო!

2021 წ.

ნუ დაივიწყებ ადათსა!

თუ ქართულ ადათს მიჰყვები
და იცავ ქალის ღირსებას,
შენ არ გაქვს იმის უფლება,
სხვის ქალს შეეხო ღაწვზედა.
სალამი უთხარ შორიდან,
მოწიწებით და რიდითა.
შენ მისი ნახვა გიხარის,
არა მისდამი ლტოლვისა.
კაცი მაშინ ხარ, როდესაც,
ჩემს ნათქვამს გაითავისებ.
არადა, ღმერთმა დაგლოცოს,
ხანჯალს ვერ ირტყამ სამოსზე!

2021 წ.

ადამის მოდგმავ!

ადამიანის ბუნება ამინდს ჰგავს, ასე მგონია.
პაპანაქება სიცხეში ხანდახან წვიმის ომია.
ზეცას შეხედავ, რას ხედავ? ცად ცისარტყელა ხამ-პურობს,
წვიმის წვეთები ჯერ კიდევ ხის ტოტებიდან წკაპუნობს.
ადამის მოდგმა, ბუნება, დაუნდობელი სულია,
მლაშე წვეთებად იღვრება, ღაწვებზე წვიმის სუნია.
ძმათა გულები დამშრალა, შეუბრალებლად ორ-გულობს,
ბოღმა და გაუტანლობა შთამომავლობად ორ-სულობს.

2023 წ.

ვაი, სამშობლოვ!

სამშობლოსთვის გული გტკივა?
ეს არ ნიშნავს ომობდე!
დღეს ქვეყანა უსისხლოდაც,
გადაგვარდა ბოლომდე.
ქალს ქალობა აღარ შვენის,
კაცის მე ვერ გავიგე,
ზოგი ქუსლით დაეთრევა,
ზოგს ყურში აქვს საკინძე.
ჩემი გულის დარდები,
ყველა ერთად ავკინძე,
თუ სათქმელი ფასს ვერ იძენს,
ღმერთი მაინც შეისმენს!

2023 წ.

დამილოცნიხართ

შენ უკვე გამომიტირე,
არ დამიტოვე საშველი,
რად დამიმოკლე მე ტირე,
ცრემლი ვერაფერს მიშველის.
სამოთხის კარის არშია,
გულზე მაყარე ვარდები,
სულს მინათებდეს გზაშია,
საკმეველი და სანთელი.

სანამ კარიბჭეს შევაღებ,
დავიმღერ სიტყვას ალალსო,
უფალო, შენ დამილოცე,
ვინც მომაცილა შენს კარსო.

2023 წ.

კურთხეული მიწა

საქართველოს ისტორია დაიწერა ერთ გორაკზე,
სადაც ღმერთი ჩამოჯდა და გვიამბობდა ერთ არაკზე.
გადახედა მინდორ-ველებს,
მთა-გორებიც არ დატოვა,
ჩაისუნთქა თბილი ჰავა და წარმოთქვა ესე სიტყვა:
-ეს წალკოტი სამოთხეა, მემეტება ქართველთათვის,
ვინც გაჰყვება ჩემს მცნებებს და იგალობებს ქრისტესათვის.
კურთხეულ არს ესე მიწა, მადლიანი, ხვავიანი,
ეწოდება საქართველო, დაიფარავს „მარიამი“!

2023 წ.

განა?!

სიყვარული განა ყვავილებია?
სიყვარული ზოგჯერ სულის გვემაა.
სიყვარული განა მარტო ლხენაა?
სიყვარული ჭირში ტკბილი ენაა.
სიყვარული განა მარტო ხვევნაა?
სიყვარული სისხლით სავსე ვენაა.
სიყვარულშიც ხომ მოსულა კამათი?
სიყვარულში არ მოსულა შამათი!

2023 წ.

აღდგომა

(საფლავებს შორის)

აღდგომა დღეა, ყველას უხარის,
სასაფლაოს გზას შეუდგა ხალხი.
ზოგი ხელჩანთით დამძიმებული,
ზოგიც უბრალოდ,
კვერცხით და პასკით.
ზოგის ოციანს, წინ უძღვის ცხვარი.
საფლავებს შორის დარბის, ჯერ-ბავშვი.
ხელში უჭირავს პატარა „პარკი“ ,
იქნება ერგოს მცირედი მაინც.
ის უმამობით დაჩაგრულია,
სახლში კი დედა უკვდება ლამის.
ლუკმაპურისთვის საფლავს ესტუმრა,
კვერცხი და პასკა ხომ უხვად არის.

თვისი სიცოცხლე მკვდარს შეადარა
და თან დასძინა,
„ცოცხლებში მკვდარი“.
აგერ უეცრად გამოანათა
და
მის თვალებში სიცოცხლემ გაჰკრა,
ჭირისუფალმა იხმო ობოლი,
რომ დააპუროს ნორჩი პატარა.
აპურე, ღმერთო,
შენთან მოსული
და მოუმართე სუყველას ხელი.
აცხონე, ღმერთო,
იმ ხალხის სული,
ვინც მოწყალება გაიღოს წრფელი.
P.S.
ღმერთმა სუყველას შეუნდოს,
ცოდვა და ბრალი,
მის წინაშე ვისაც აქვს ვალი.

16.04.2023 წ.

სოფლის ცხოვრება

დილით ადრე გარიჟრაჟზე,
გავიღვიძე მამლის ხმაზე,
წამოვდექი უმალ ფეხზე
და პირჯვარი გადვისახე.
უცბად ფრთოსნებს გადავხედე
და ოთხფეხაც დავაპურე,

მეზობელსაც გადავძახე,
საქონელი გამოდენე.
ხარებს ერეკება მეხრე,
მხრებზე უდევს გრძელი სახრე,
მოლიღინებს მენახირე,
ნახირს მიუყვება გზაზე.
სოფელს არ ელევა საქმე,
როცა კაცი არის გამრჯე,
თუკი კაცი არის ბეყე,
წასულია მისი საქმე.

2023 წ.

ონავრები

თუკი ერთხელ მეზობლისას,
მოგიპარავს ხილი,
იცოდე, რომ ბავშვობა გაქვს,
გამოვლილი ტკბილი.
ამ დროს ისმის მეზობლის ხმა,
მოძახილი თბილი,
მკვახე არის, ონავრებო,
მოგეჭრებათ კბილი.

2023 წ.

შინდისის გმირებს

იმ ბიჭების სადიდებლად
გამივლია კალმით ხნული,
ხსოვნას ვამბობ დევგმირების,
ვისაც ცეცხლად ენთოთ გული.

მტარვალი რომ კარს მოგვადგა,
არ დაინდეს თვისი სული,
ოცდაორი ვაჟკაციდან,
შეწყდა ჩვიდმეტის ქუხილი.

გალობით და ლოცვით ღვთისა,
თავად დაიფლითეს გული
და შინდისის მიწა-წყალი,
კვნესდა, როგორც განგმირული.

მტერთან ტყვეობაში ყოფნას,
ამჯობინეს თვით სიკვდილი!
ისე გააკვირვეს რუსი,
ცხედრებს მოუხადა ქუდი.

ბევრი გმირი გამოზარდა,
ჩვენმა ერმა არნახული,
ქართველების გმირობაზე,
საუბრობდა ყველა რჯული!

2023 წ.
მიმინო

„მეგობრების წერილები“

თამთა

ლა

ნერო

წერილი ნერუს

ჩემთან წვიმებია, იცი?- ნინო!
ჩემთან ცივა... ცივა, მეგობარო...
(ახლა, ალბათ, ჩემზე იცინიო...
ფიქრობ,- ვის შესჩივლებ, მე რომ არო...)

ფიქრი... ბუხარი... და ნეშოები...-
მსურს, ჟამს...
(წაკითხული ერთი ლექსიც...)
ჰოი, ახლა, როგორ მეშორები...
(სადღაც საათივით - ხუთის... ექვსის...)

ვწერ და უიმედოს (სულ რომ მიშლი...)
მწამს, მე, სიტყვას მომწერ- იმედიანს!
იქნებ, შენ მანიშნო - ვინ მომიშლის,
შუბლზე რომ მატყვია - იმ ერთიანს...

და, თან, ფურცლებს შორის, მათენდება.
წივის წამოშლილი- ყველა ცოდვა...
(ახლა, ისე ურცხვად მახსენდება-
შენგან ხორცშესხმული- ჩემი ბოდვა...)

მაინც, ამ სიშლეგეს არ თმობს სული,
სერზე რომ ჭიხვინებს- იმ ჭაკივით!
ვზივარ კალმით ხელში,-
მარტოსული,
სკამზე მიგდებული პიჯაკივით

და განა დაგქანცავ- დაჩივლებით...
განა, რამეს დავწერ,- ,,ორ-მეტრიანს"...
ცოტა წავიტირე და ჩვილივით
მცივა-

აქ ნოემბრის თორმეტია...
და ეს ქარიც წივის... ალბათ, ჩემობს,
ჩაფიქრებულ თაღებს,- ქარაფების!
განა რამე, მსურდა, ნერუ,-
ჩემო...
განა რამე...
ისე...-
არაფერი...
(ახლა, ალბათ, ჩუმად იცინიო...
ფიქრობ,- ვის შესჩივლებ, მე რომ არო...)
ჩემთან წვიმებია, იცი?- ნინო!
ჩემთან ცივა... ცივა, მეგობარო...

თამთა მუმლაძე
12.11.2021 წ.
AM02:02

პასუხი თაფთას

აქაც თორმეტია გიორგობის...
აქაც ცივა,
იცი, ჩემო თაფთა...
ნეტავ ახლოს მყავდე,
გაგართობდი,
ახლა ოთხი არის
ღამის,
განა დილის,
მაგრამ სულს ლექსებით
გაგითბობდი.
ნეტავ შევძლო ქარს ვუბრძანო,
ქარო, ჩადექ,
გადაშენდი!

ვატყობ სიტყვას ვერ გწერ
                    იმედიანს...
ბარათი გულზე
          მიმიდია...
(რა შუაშია...)
აქაც ცივა და სუსხია...
მე,
  თუ-
        არა...
მეტი ვის შესჩივლებდი...
შენი სევდა გულთან
                    მიმიღია,
მაგრამ ვატყობ, ვერა გშველი..
წერილსა გწერ აღმოსავლეთიდან
                    დასავლეთით...
წაიკითხავ და ცოტაა
                    გაერთობი...
ალბათ შენც იცინი..
ჩუმად,
        თაფთა...
(ან არა..)
ჩემი ნაბოდვარი
                  წერილია...
გარეთ წვიმაა
და
სულში თოვლი...
მე კი ბუხარიც ვერ
                    ამინთია...
ბევრჯერ წაიკითხე, გაერთობი...
ჩემო-საყვარელო,
                  -თაფთუნია!

NERU
12.11.2021 წ.
AM04:04

წერილი თამთას

წუხელ,
სულ შენზე ვფიქრობდი
თაფთა...
არ ჩამეძინა
დილის ექვსამდის...
როგორ განვიცადე,
გვერდში რომ არ გყავდი...
და...
წერილიც ვერ
მოგწერე საიმედო...
დილით
უთენია გამეღვიძა...
საათს გავხედე
და
სრული რვაა...
დილა იყო უფრო არყიანი...
(რამიშვილმა რომ თქვა აი, ისეთი)
მაგრამ ახლა შუადღეა
და
მზეც ამოვიდა ათინათი...
გამოვგზავნე დასავლეთით...
თან ამ წერილს ვატან,
                    გამთბარს-
მელან-კალმით...
ნეტა მოაღწია?
სხივმა ათინათით...
მოვა...
    იმედია...
            არ დაიკარგება...

უკვე გხედავ, როგორ გათბი...
იმედია,
პასუხს დამიბრუნებ
                    იმედიანს...
მზის სხივების ათინათით.
ახლა რაებს ვბოდავ...
მეც არ ვიცი...
მაგრამ იმედია,
            ცოტა გახალისდი...
ხოდა, პასუხს ველი
                  მოუთმენლად...
მანდ როგორი
                  ამინდია?
არ დამიგვიანო ღამის ცხრამდის...
                                  გელი-
საყვარელო,
            -თაფთუნია!

შენი ნერუ
12.11.2021წ.
PM04:04
NERU

წერილი ნერუს...

ნერუ, მეგობარო,
                ვუბრუნდები...
ისევ ვუბრუნდები ქალაქს,-
წლებით...
უფრო დალხენილი... უფრო ნებით...

(არა, ვცრუობ! ვცრუობ!-
                    იძულებით...)
მიჰქრის მანქანა და მანქანები
ხან - გაგვისწრებენ,
ხან - მოგვრჩებიან,
რაღაც, ეშმაკის მრე მანქანებით...
გზა კი მიუყვება ნორჩებიან-
მზეზე ათქვირებულ ჭვავის ჭალებს.

(ჰოი, დრო იქ როგორ გამეპარა!
                ახლა, ველი, მხოლოდ, ავის ჭავლებს...)
თითქოს, ყინავდა და არ მეფარა,-
ისე მცივა, ისე მაკანკალებს-
(წვიმას შეფარებულ ლეკვებივით,-
            მსგავსად,- რომ დაუსხლტნენ მაგარ ქარებს
                    და მე გავიტაცე, ლეკებივით...)
მივდივარ...
და გზაში ვითვლი, ნორჩებს...-
                    ბზები...
სამი წყება კოპიტების...
(ისე მეშინია არ გამომრჩეს,
თითქოს, ბანს მადებდეს კომიტეტი...)
მალე დასრულდება ნოემბერი...

მალე,-
ზამთრის სუსხი დამატყდება!
ახლა, ბურუსში ვარ,
ო, ,,იმფერში",
თითქოს, აღარ მინდა დამატება
ღვინის.

(მანდ გაძლება როგორ მიჭირს...
იცი?!-
დეპრესია მემართება...
წამით - ეს კალამიც აღარ მიჭრის...)

როგორც პაწაწინა, მე, მართვე და
როგორაც ობოლი თვალისჩინა-
ვხდები,
ჰოი, ისე,
ნერუ,-
მდარე...
(ვთხოვე და არ გაი'თვალისწინა...
ჰოი, როგორ, როგორ ვემუდარე...)
...მიჰქრის მანქანა და მანქანები-
ხან გაგვისწრებენ და
მე- ვბრუვდები...
რაღაც ეშმაკის მზა მანქანებით,
ნერუ,
წყეულ ქალაქს ვუბრუნდები!

ალბათ, გაგიფუჭე, ხასიათი...
ალბათ, ისევ ფიქრობ-
,,მე რომ არო..."
ნეტავ, იქ ვიყო და ცაციათი
გწერდე ამას, ახლა,
მეგობარო...

თამთა მუმლაძე
18.11.2021 წ.

პასუხი თაფთას

თაფთა, მეგობარო, ძლიერ
გამახარე,
უნდა გინახულო, ჩაგეხუტო.
ახლა წერილს მოგწერ,
გზაში დაგეწევა,
წაიკითხავ, ცოტას
გაერთობი.
ღმერთმა დაგიფაროს,
ავისაგან,
ჩემო საყვარელო, თაფლა
გოგო.
მერე როგორ მიყვარს,
გზაზე
ნაზი წვიმა, ნაზი მუსიკა და
რომანტიკა.
გზაზე გასწრობანაც ძლიერ მხიბლავს,
(იცი მერე როგორ, ვშუმახერობ,
კაი, ვხუმრობ).
აქაც აგვიცივდა, მაგრამ არა
ვნაღვლობ,
ერთად გადავიტანთ ზამთარს
პოეზიით.
ცოტაც გაუძელი, ჩემო
გოგო,
მალე გინახულებ, გულს გაგითბობ,
ჩემი მზერით.
აქამდე მე ხომ არა გყავდი,
ხოდა,
უცხო იყო შენთვის ეს ქალაქი.

ახლა გყავარ, არ იდარდო,
აღარ გაჭირდება აქ გაძლება.
ერთად მოვერევით
                    დეპრესიას,
მოვაწყოთ პოეზიის
                    სალონები,
ვწრუპოთ მართლაც შავი
                    ღვინო,
გეფიცები, აქაც გალაღდები.
როგორ გამახარე,
                    მეგობარო,
ახლა დავფრინავ და უკვე ვხედავ,
როგორ გიელავენ ეგ
                    თვალები.
თაფთ, მეგობარო,
                    გელოდები,
აღარ გამაგონო,
                    წუწუნები!

NERU
19.11.2021 წ.

„წერილი ნერუს...“

ნერუ, ჩემო!
მეგობარო სულის...

ვზივარ, ველი და ინათებს როს ცა-
მოგწერ!
ახლა, თვალწინ მიდგას სულ ის
დღე- პირველი, გაგიცანი, როცა...

ცხელი ჩაი, ალუბლები- ჯემში,-
არ მტოვებენ! და ღრუბლებიც იმ ცის...
ჰე! რაც იყო სევდიანი ჩემში-
მე ვარ მკვლელი! მე მოვკალი, იცი?!-

ნერუ, ჩემო!
ახლოვდება დღე ის,-
როს სამყაროს მოევლინე... ჩვენმა...
(გარეთ, წვიმა, ჰე, რთველისას მღერის
და ფანჯრებში შემოჟონა წვენმა...)
ჰე, უშენო, აჭრიალდა, კარი
და ფიქრებში უთავბოლოდ გართულს,-
ხმელ დარაბებს როგორც მიმტვრევს ქარი-
ისე ვამტვრევ, მწამს, ახლა მე ქართულს...

ნერუ, ჩემო!
ქარი მიქნევს ტორებს...
მეგობარო, ქრისტეშობის, შენ, თვის...
ჰე, ფუნჯები დამელალა, თორემ...
თორემ, ლურჯ ცას დავხატავდი!-
შენთვის...
(ვხატავ ახლაც, განა აღარ ვხატავ!
და ნატურა- ეგო... გზა... ლარჭემი...
თუმცა, ისე არ გამომდის...
(ვხრი თავს...)
ჰე, თვითრწმენაც მე მოვკალი, ჩემი!
დავიბენი,
(აღარ ვიცი, თუ მწამს...)
ამბიონზე, როგორც წმიდა ბერი!
ხატვით- ახლაც ვხატავ, ზოგჯერ...,
თუმცა-
პალიტრაზე შემიმცირდა ფერი...

ნერუ, ჩემო!
მეგობარო, ჩემო!
მეგობარო, ჩემო, ქრისტეშობის...
დავლევ შენთვის
(ვადღეგრძელებ- ჩვენ ორს!)
და მარჯვენას გიდღეგრძელებ მშობლის...
...და დღეს- ჩვენი,-
მეგობრების შერთვის!
...და სურვილებს!
სურვილებს და სურვილს!-
ყველა სურვილს ვისურვებდი შენთვის,

ნერუ, ჩემო!
მეგობარო,
სულის...
ფოსტალიონს დავაძალებ თუმანს
სიჩქარისთვის... ველოდები თეთრ მზეს...
ველი ახლა და ინათებს, თუ არ-
ამ ყველაფერს გადავიტან თეთრზე,
ნერუ, ჩემო!
მეგობარო!-
,,დუმან“!

თამთა მუმლაძე
10.12.2021წ.

პასუხი თაფთას

თაფთა,
მეგობარო,
როგორ გამახარე,
დიდი ხანია შენს, წერილს
ველი...
დილით ადრიანი კაკუნი და
ფოსტალიონი თავის ძველი
ჩანთით....
წერილს მაწვდის...
თქმას არ ვაცლი...
ისედაც ვიცი, რომ შენგან
არის....
თაფთა,
ჩემო სულის
მეგობარო,
მეც კარგად მახსოვს,
რა დამავიწყებს,
ჩაის ალუბლიანს და
შენ, ბედნიერ-წყლიან,
ლამაზ თვალებს.
(ლექსს რომ გიკითხავდი...
როგორ გიბრწყინავდა)
-მადლობა, რომ გახსოვს შობა,
ჩემი თვე და ჩემი
„ბარბარობა“
მე კი არ მიყვარს იცი...
(შობა, ბარბარობა, ყველასია
ყველანი ვიყოთ დალოცვილი)
თაფთა,
მეგობარო,
მე მწამს შენი,

შენ ისევ დახატავ ცას...
მოჰფენ ბედნიერ პალიტრას...
შენ არ მოიწყინო,
ანდე მას...
უგუნურნი თუ ვერ
გიწამებენ...
რწმენაში გამყარდი!
შენი ნიჭი და შენი გუმანი,
ჩემთან ახლოს არის,
გულის სტუმარი...
გულს არ გაიკარო ქარები,
გარეთ იქროლონ...
დეკემბერია.....
ალბათ თოვლიც მოვა...
მოუხდება.
-მადლობა, ჩემო
სულის მეგობარო,
დედის ხსოვნის და ლოცვის...
ვეცდები არ გალოდინო და
კარის ჭრიალს მოყვეს
ჩემი კვალი....
მე იგივე ფოსტალიონს
ჩავუკუჭე „ბე“
-და
ვაფრენ წერილს...
წერეთლის და...
როცა მომწერ, მივიღეო,
მერე გადავუხდი სრულად...
არ დაველოდები ხურდას.
თაფთა, მეგობარო,
შეხვედრამდის!

შენი *NERU*
10.12.2021წ.

„მზის დაბადება.

წერილი ნერუს...“

,,უჩვეულოდ ხვავრიელი თოვლი იდო თბილისში,
მეგობარო,
ზუსტად იმ წელს!- ბარბარობის დღე იდგა...“-

ვწერ და ვღელავ...
იწვის, დნება, ეს სანთელიც-
ცვილის...
შინ
კი, ისევ, მე- უცვლელი,
- ტერფამდე და თხემითგან,
ველი თორმეტს!
- და დადგება დღე, როს იშვა იგი!
- მზე!
როცა გაჩნდა ქვეყანაზე მეგობრობის თილისმა!
და ყოველი სიყვარულის,
ერთგულების იგავზე-
მაგონდება ნერუ,
ჩემი-
(აჰ, შემინდოს თბილისმა...)
,,იცი, ნერუ, რომ მე შენგან მეგობრობა ვისწავლე?!
იცი, ჩემო,
მიტევებაც დავისახე იმ ერთად...
ახლა,
წვიმას ჩამოცლიან ეს ღრუბლებიც, ვიშ!
- წავლენ
და მე ისევ მარტო ვრჩები ჩემი კალმის იმედად...
ალბათ,
მედდა, ახლა ამცნობს: ,,იბადება ქალი-მზე!
ალბათ,

მამა მედდას- მაცნედ ხუთ-მანეთად ,,ქირაობს"...
ალბათ,
ციცქნა ნერუ ტირის მშობიარის კივილზე...
(როგორც, ახლა, დღე- უშენოდ...
                  და იკიდებს კვირა ობს...)
ალბათ,
ცაში ტრიალებდა სალიარკის სურნელი...
ალბათ, იმ წელს, როგორც ახლა,
ბარბარობის დღე იდგა...
თოვლი იდო...
(იცი, რომ თოვლს, როგორც ბავშვი - სულ ველი?!)
იცი, ათვლას ახალი წლის,
                  რომ მე ვიწყებ დღეიდან?!"-
ნერუ, ჩემო,
                  ველარ...
- ველარ ვიმორჩილებ ამ ხელებს-
ცივა!
          ვწვები,
                  ვაქრობ სანთლებს!
(იზიდავენ, ო, მწერებს...)
ალბათ, დილით,
ამ თეთრ ღამეს უპეები ამხელენ...
ნერუ, ჩემო მეგობარო,
                  საიმედო მომწერე!

17.12.2021წ.
თამთა მუმლაძე

პასუხი თაფთას

NERU-სგან

თაფთა,
            მეგობარო,
პასუხი ცოტა დამიგვიანდა.
                                    მეპატიება,
ჯერ ორი დღის ვარ,
ჯერ დედის რძეც არ შემშრობია,
                                    ისევ ბავშვი ვარ.
მინდა გითხრა, რომ
მართლაც თოვდა თურმე
იმ ღამით,
მართლა ტიროდა შვილი, დედის
                                    მუცლის ტკივილებს
და
მამაც მართლა იდგა დარაჯად,
ჩაჩავას კართან, ჩემს მომლოდინედ.
მახარობელმა კიბე ფრთხილად ჩამოირბინა
და
ცოტა ნაზად,
ხმის კანკალით უთხრა,
                                    გილოცავ...
(დიდი პაუზა...
ძვლივს წაილუღლუღა...)
-გოგო გყავთ...
და რა იცოდა იმ დალოცვილმა,
მამა გულით რომ ელოდა გოგოს!
სუფრის გამშლელს და
                ცრემლის დამდენს...
(აქ მეც პაუზა...
            გული შემეკუმშა...)

-და აქ კი შეცდი,
მეგობარო,
იმ ღამით მამამ ათი თუმანი ჩაუკეცა
-იმ მახარობელს!

-ისე, ვით შენთვის...
ახალი წლის ათვლას მეც ვიწყებ,
ეს დღე ჩემთვისაც
სასწაული და ზღაპრულია.
-ისე, ვით შენთვის...
მეგობარო,
მეც უფალს ვმადლი...
გულზე მალამოდ რომ მედები
განთიადისას!
მე მეგობარი შევიძინე,
სულის მალამო
და ცხოვრებისგან ამაზე წმინდა,
მეტი რა მინდა!
(სიმ-სიმ-ატკროისა)
მადლობა,
ჩემო პატარა მეგობარო,
მეგობრობისთვის)

19.12.2021წ.
NERU

წერილი ნერუს...

ხილვა შენი დღის მოტივად მიმდევს,
ახლა უნდა „ვაჩხარუნო“ ინ-ანი!
ნერუ, ჩემო მეგობარო,
მიმდემ!
მეგობარი...
იქნებ წმინდა ინანი...
მზე...
მზე იყო და რიცხვები ამ თვის!
მღელვარებით ირხეოდნენ მიწანი...
მე საკინძეს ვისწორებდი, ჩემთვის
ვიღიმოდი და ღიმილით მიცანი!
დარბაზები...
ჰარმონია ფერთა...
პოეტები... პოეტების ქარბუქი!
ოვაცია...- იყო ტაში... ფარდა...
და ჩემს თვალწინ მოწყობილი კაბუკი!
ხმა...
შენი ხმა, ახლაც რომ ყურს- ზედ ზის,-
ჰე, ჩამესმა, თითქოს, ბაგეს ნება* სდის.
შენი მკლავი, მსუბუქი და ზეზი-
მომეხვია!
მომეხვია ნაბადის
მსგავსად...
ახლა, უშენობა შალეს*
შემოიჭრა, ვით არს შხამი, იქედნეს
და ვინ იცის- რა ვწერე... რა ვშალე...

* ნელა, დინჯად;
* შალე - სახლის ტიპი.

მინის იქით ჩიტია და იქადნის...
იქნებ, უცდის
ამ ჩემს წერილს, ხუთვის
და ეს მტრედი ჩემს სარკმელზე ამად ზის...
ჰე! მოვრჩი და გადავკეცე ხუთგზის!
ჩავაბარე, როგორც ხუთი ნამაზი!
ახლა ისე, ისე მინდა, წვიმდეს
და ვუცქერდეთ მისტერიულ დრამებს...
ნერუ!
ნერუ, მეგობარო, იმ დღეს,
გთხოვ, მომწერო,- გაგიჭირდეს თუ რამე!
ნერუ, ჩემო,
მეგობარო,
მიმდემ!

თამთა მუმლაძე
11.01.2022 წ.

პასუხი თაფთას

თაფთა,
    ჩემო მეგობარო,
გამახარე ძლიერ,
რა ხანია წერილს ველი,
ფოსტალიონს თვალს ვადევნებ,
                ჩვენს ქუჩას რომ დადის.
ველი,
        ველი,
            ყოველ დილით,
შენს წერილებს
                ველი.

ბედნიერი იყო ჩემთვის,
რვა რიცხვი და შაბათი დღე ამ თვის.
როს შემომხვდი ზანდუკელის აღმართს,
(პოეზიის საღამოზე მივიკვლევდით გზა-კვალს)
მომანათე
        შენ თვალები მწვანე....
გული გათბა,
სულს ნაბადად დაჰყვა,
        შენი სითბო,
                  შენი სიელვარე...
მთელი გულით მოგიძღვენი,
„ვალადო“
შენი ლექსი,
 გულზე წამლად დამედო.
ველი,
          ველი,
                ისევ ველი იმ დღეს,
პოეზიის საღამოზე,
გავაცოცხლებ შენს ლექსს
და შევასხავ მე ფრთებს!
გკოცნი,
        გკოცნი,
                მეგობარო,
                          მიკაწკაწებს სული,
ისე მინდა ჩაგიხუტო და გაგითბო გული.
ჰა, იფრინე, მტრედო...
                          ჩემი პეპი გელის...

(დღეს სათვალე გამიტყდა და უსათვალოდ ნეტავ რა დავწერე)?
შეხვედრამდე, თაფთა, მეგობარო!

11.01.2022 წელი
NERU

წერილი ნერუს...

უკვე ისე, ისე მომენატრე,
ნერუ,
(,,მუხა ბაჩე"... ნაფაზი- ვით
ღრმა ცა... თაბახები...)
ო, მე მათრევს
დარდი- დაღრეჯილი ნაგაზივით!
(ქარი, როგორც ნაზი შიფონი და
    წვიმა- ცივი ზამთრის სერენადა...
                ტანდემ!)
ყველა ნატვრა „შინ“ მოვიდა,
(გარეთ ჩოჩქოლი და „სირენა“... და
        აზრი პიჯაკივით მიაკიდა
                ფიქრმა,- შემომაწყდა...)
ჰე, ჩემო ნინ...
შალე, საკვამურის თრიაქი, თან
ღვინო, კარაბები და ჩვენ ორნი...-
სულ ეს...
    (გვეყოფოდა, ვიცი, ო, დებს...)

ჯარი- ხმელთა, ჯოხი- კაპიანიც...-
ხურმის მოსაპარად მივდიოდეთ-
შენ- მე...
   (შარვლიან- და კაბიანი...)
როგორ
        მომენატრე,
                მეგობარო!
ახლა, წამით გაჩნდე და რა მინდა...
თუნდაც, რომ გისმენდე, მე, უბარი,
შუაზედ გაკეცილი დარაბიდან...
თუნდაც, წვიმდეს,

ისევ და როს ავდრებს,
მძაფრი ობის სუნი ასდიოდეს...
დაე, დღენი სულ არ დამლოცავდეს!
თუგინდ, დამლოცავდეს, ასიოდე...
(ოჰო!)
გავიწერე...
შეხეთ, რამდენს...
(მსურდა, მეთქვა რამე, მაგალითად...)
ნერუ, მეგობარო, შეხვედრამდე!
(ცრემლი თაბახებზე- მარგალიტად...)
ისევ წვიმებია... ამ ცის მირონს
სახეს მივუშვერდი- მერგო ,,ფარად"...
როგორ მომენატრე იცი, ნინო?
როგორ მომენატრე,
მეგობარო...

26.01.2022 წ.
თამთა მუმლაძე

პასუხი თაფთას

ჩემო სულის მეგობარო!
აღარც ვიცი, რას
ვწერ, როგორ...
როს მივიღე მე წერილი,
წაკითხვამდე,
ვკოცნე, ვკოცნე...
ბევრი ვკოცნე.
დავჯექი და ელვასავით,
ტექსტი სწრაფად,
სწრაფად ვკრიფე...

ახლა ქუჩას ყინვა სუსხავს,
გულს კი შენი ქურქი ხურავს...
თვალი ცრემლმა დამიბურა
და გონება შენმა სევდამ.
არ დავუშვებ, რომ ჩვენს ირგვლივ,
                                    რამეს ობის სუნი
                                                ჰქონდეს...
                                (სიძველის კი, კი, ბატონო).
-ხვალ თუ ვერა, ზეგ გეწვევი,
იქნებ დარდი გაგიქარვო.
                  დღეს კი ვაფრენ ამ
                                    თაბახებს,
ჩემი კალმის ანაბეჭდებს...
            (როგორც ელვა დეპეშები).
-ფოსტალიონს კი არ ვენდე,
ჩავირბინე ქუჩის ბოლოს,
რიგი...
   რიგი...
            უსაშველო...
-გამატარეთ...
            გამატარეთ...
მომიტევეთ, ქალბატონო...
-გთხოვთ, ურიგოდ გამატაროთ...
ჩემი თაფთა მელოდება...
 (გამატარეს.
            შერჩენია ხალხს ჯერ კიდევ ერთგულება).
-და ურიგოდ ეს წერილი,
            ჰაჰ, ვაფრინე წერეთელით!
      წერე-თელვით...
                  ნუ მოიწყენ, მეგობარო,
ხვალ თუ ვერა, ზეგ გიშველი...

გინდაც წვიმდეს,
                    გინდაც თოვდეს,
მე და ჩემი მონატრება,
უპირობოდ მანდ გავჩნდებით...
ვიცი, როგორ მელოდები...
გენატრები...
            გენატრები...
მეგობარო...
            სულის, გულის,
                        მეც უზომოდ...
                                    მენატრები!

NERU
26.01.2022 წ.

წერილი ნერუს

ნერუ, მეგობარო,
 მოიხა რა
            კუთხე, წერილისა
            (ვაწერ- ტელმანს...),
ყველა დარდმა თავი მოიყარა,
როგორც სიტყვის ბოლოს- სამწერტილმა...
ჰოდა, შევარჩიე ფორმა, ლმობის
და ფრთა- გამომსვლელი, მე- კაბარე,
ვიწყებთ წერას ჩვეულ ფორმალობით:

„როგორ დამეკარგე, მეგობარო...“
და მდის...
            მოდის, მსგავსად კალიების...-
„ნისლი“ შეესია „გოლიათებს“!

პურნი, გალეწილი კალოების,
ვგონებ, დახოცილნი ჰგონიათ მთებს,-
თავი მოაბეზრეს ავანსებმა!
    აქ მზე, აპრილისა, ხევს ხელა ობს...
კართან ოცნებების ავანსცენა,
იასამნებივით ყელყელაობს,
ალბათ სვე შებრუნდა, იცნო ურვა,
ძახილს ელოდება, ან მრე ცნობას...
განა სიმშვიდეა უცნაური,
თითონ ეს „სიმშვიდე“ არ მეცნობა
და თუ შემიწირა, მე გიბარებ,-
სული შემიხუთეს ამ ღილებმა!

(ახლა ბედი ჩემი, მეგობარო,
    დგას და იმ სფინქსივით იღიმება...
თუმცა ერიდება, ჩანს, გახიდვებს-
ლოყა ორგან აღარ ეჩვრიტება...
ჩემზე იფიცება და გაყიდეს,
ზურგის უკან წყვილმა „ნიჩურტებმა“!
ფსონებს ის იღებდა, მე კი ვდებდი
და დღეს, როგორც რუხი ცა მართვეს სდევს-
ყოველ სიტყვას ისე ვეკიდები,
ვითომ, დედის სურნელს წამართმევდეს!
ჰო, მე-იმედის ზღვა და მას რვალი
ღობედ შემოვარტყი
(ავე, ურჩთა!),
თავს კი, მსგავსად მგზავრის, დამაშვრალის,
აზრი შიგ ჭკუაში ჩამოუჯდა.
თითქოს, განუწყვეტლად უსმინა ტლუს,
სმენა სულ დაიხშო ამ ყურებმაც
და გზაც ისე, როგორც უსინათლო-

ერთი წერტილისკენ იყურება.
ნერუ, განა ვიქნევ,- მიქნევს „ცული“*,
როგორც ეშხიანი საცოლე- მდევს!
წერა მიძნელდება, მოქანცული,
ზოგჯერ ძვლივს მივდივარ საწოლამდე,
დღეს კი, მერამდენედ „გამაცურე“,
დამრჩა გადაშლილი „ულისები“...
„ბასტა“!-
პროგრამა სულ ამოვწურე
მოვრჩი,
გადავდივარ კულისებში!-
სანთელთ დარევია, „სენი“ მწერებს;
ლულიც სათავისოდ არჩევს „ხვითოს“...
ალბათ, დავნებდები, შენ კი, მწერე,
მწერე, მეგობარო,
არ შეწყვიტო...

თამთა მუმლაძე
18.04.2022 წ.

პასუხი თაფთას

თაფთა, მეგობრო,
დამასწარი,
წუხელ შენზე ფიქრში ჩამეძინა.
აზრებს თავი ვერ მოვუყარე,
ვერ...
ჩემი მონატრება რომ მეფრინა.
დილა უთენია წამოვფრინდი,
თავთან დამხვდა ეს
ბარათი,
ეს...

ოხ...
იცი, როგორ გამახარე,
ხო,
ფრთები გამომესხა, მეგობარო.
უცებ წამოვისხი მე ხალათი,
ვწერე,
ვწერე,
ოღონდ მეც არ ვიცი,
რა,
რა ვწერე ან რას,
რას განვიცდი...
(ვიცი, უთქმელადაც იცი)
გულზე მონატრება გამჩენია,
შენი ღიმილის და ჩაცინების.
იცი,
მე ვერ ვიტან, როცა სევდა...
როცა სევდა ახლავს
შენს ღიმილებს.
გუშინ ჩავიარე შეთან ახლოს,
ახლა ვწუხვარ,
ვწუხვარ, მეგობარო,
რატომ არ მოვედი შენთან ახლოს.
რატომ,
დუმილი არ დაგირღვიე,
იქნებ მარწუხები შეგხსნოდა და...
იქნებ აგწყვეტოდა მკერდზე ღილი...
იქნებ დამემსხვია ჯეებირები...
შენ ნუ შეგაშინებს
ქარ-ტეხ-ილი,
მათგან გალეწილი კალოები,
მოვალ,
მოვალ, თაფთა,
საყვარელო,

ერთად დავარღვიოთ ეს
                    დუმილი!
(შენ ხომ არა ჰგავხარ არა-ვის-და
მწერი, ავე, ურჩთა, სულს -და-ყრუვ-და...
მწერე, მეგობარო...)

შენი *NERU*
18.04.2022 წ.

წერილი თაფთას

თაფთა, მეგობარო,
                    მომენატრე.
ხოდა გწერ,
ძილ-ღვიძილში მთვრალი.
მითხარ, როგორა ხარ,
                    მეგობარო...?
ცოტა გამიგრძელდა დროთა რვალი.
დღეს,
უკვე,
აპრილი იწურება,
როგორც დღენი, არას მთქმელი,
ვარდობის თვეს,
                    მოუთმენლად ველი.
სიტყვა,
არც რა დაიტოვო, უთქმელი.
ორი დღეღა დარჩა,
                    შეხვედრამდე,
                    (იცოდე, არ გადადო, გელოდები)!
გულში ჩაგიკრავ და გეტყვი ამბავს,
რომ ვერ მოვასწარი მაისამდე....
მიყვარს,

შენი ლოყა ჩაჩვრეტილი,
თვალნი,
მომწვანო და მოცინარი.
ვიცი,
დარდები გაქვს საზიდარი,
აღარ დაგამძიმებ,
სხვა დროს იყოს...
ოღონდ, მითხარი, რომ
კარს არ კეტავ,
გულში, ჩემთვის, დაგრჩენია
დარი.

აღარ გავაგრძელებ,
მეგობარო,
ისმის განუწყვეტლად,
თავში ზარი...
რაღაც,
მეურჩება ეს კალამი,
ბაგეს შერჩენია ოდნავ ბზარი.
უნდა დავიჩემო აპათეა,
დარდმა ეს ფურცელი
გადათელა...
ხოდა, გელოდები,
არ გადადო,
 მინი პოეზია,
პაემანი...

ბარათს ვატან შუაღამის მთვარეს,
შიკრიკად დამიდგა მე,
ამ ღამეს...

სიყვარულით შენი *NERU*
30.04.2022 წ.

წერილი ნერუს

(პასუხის პასუხი...)

ჩემო მეგობარო,
ჩემო ნერუ!
იცი?- გავილუმპე,
კარგადა ვარ!
(ნეტავ, ვინმე დადის ჩემნაირი,
ვინც რომ შლეგ წვიმაში კარს
გადავა?!)

მსგავსი- ტანმორჩილი, ღია გამის,-
ვარგე გასაღები „ჟღალტანიანს*“...
თაღზე აღარ ჩანდა იაკამი,
ნერუ, მთელი დღეა ჟალტამია!

ქარი ეზიდება რიქშის დგანდგარს.
კედელსაშოლტილი ხავსები ვით,-
ისე ასოები რიგში დგანან,
თეთრთან კეკლუცობენ ხასებივით!

როგორც გაზაფხულის თოთო სეტყვა,
მიწას, გამხმარს და მის სიგრძე ქანებს
ავსებს, მეგობარო, თითო სიტყვა
მავსებს,
ვხვდები,
გავისიგრძეგანე!

ხოდა, შევუდგები წინდებულით...
იქნებ რიგი აზრებს გადაედოს!
და ფრთამ*, როგორც ხილი წუნდებული,
თავი გვერდით უკვე გადაიგდო...-

*ყვითლადშეღებილი ჩემი კარი;
*საწერი;

თასმებს ისევ ისე ვიბნევ დილით-
გასვლა აღარ მიმძიმს დღესდღეობით...
ვწევარ მე დღის ბოლოს მიბნედილი,
საწერს მტვერზე- მტვერი დევს და ობი...
(თვალი გავუშტერე ჭირად შუქს, ჭერს..)
ნუთუ, დაუტოვე ფასი ღია...

მაგრამ დუმილი ხომ ხშირად...
ზოგჯერ-
ყველა „პასუხზე“ რომ „პასუხია“!
ვიცი და ამოვშლი შენს „წყვილს“ მაშინ!
(წყვილი „კარის კეტვა“ -მე ზედ მედო!
ხოდა, გაზაფხულის შლეგ წვიმაში
გაშლილ ქოლგასავით მეზედმეტა.

ჰეი, აილაგმეთ, ფიქრებო და!
შენით დრომ წარსული მალ-მალ ივლო...
სახე ჩემი ისე ფითრდებოდა,
ვით არს ტოსკანური მარმარილო...
მას თუ გადავკეტავ, მე დავშრები!
ვინძლო ამის მომხრე შენ თუ ხარ და...
შენი, ჩემი, ჩვენი „მე და შენი“,
როგორც „მეგობრობა“- შედუღაბდა!

ხოდა, იმეგობრე, ან იავე,
ოღონდ არ „გასწირო“ თავი, არა!
იქნებ მე ფულივით ვანიავე...
(წყვილმა, ჟრუანტელის, დამიარა...)
მალე მზერა, რომელ შორი ტყეა,
მსგავსად მხეცი- ლეკვებს, შენ „მოგხედავს“-
დარჩა გადაბმული ორი დღეღა,

მერე, ნერუ, ისევ შემოგხედავ...
(„იბრძვის“ ხელი ჩემი, უხალათო,
                  როგორც ჩვილის დედა- ღალა და)
მოვალ, მე თავს კი არ ვუღალატებ!
თავმან, ჩემმან, თუ არ მიღალატა...
(აქ კი, მეგობარო, ჩემი რიგი,
ფიქრთა, ვითარც თმენა ანცის,
                                  გაწყდა...)

თუკი ვერ მოვედი-
შემირიგდი...
თორემ, უცილობლად, ქანცი გამწყდა...
როგორც, რომ აფეთებს ჩქამი კრავებს,-
შლეგად მივადექი „ნაპირს*“ „ტივით*“...
ნეტავ, ახლა ვინმე ჩამიკრავდეს,
კონვერტსმოხეული ნაფლეთივით...

განა, ჩემო ნერუ, მე ვარ კენტად-
ხელი, ჩემი- ჩემი წერაქვია!
თუმცა, რასაც ახლა მე ვაკეთებ,
ნუთუ ამას სადმე წერა ჰქვია...
იქნებ, ღია იყოს ფოსტები, ან
(ფილტვით-ამოვარდნილ ბოლთა
ვეცი...)
ჩემით, მოვალ, ტერფით- ფლოსტებიან!
      (ვდგები და უწყვეტი ბოლთა ვეცი...)
ასე შევვარდები შიგ რიგებში-
                (ქშენამ ნაფაზები ქარად ჩქმალა...)

*ფურცლის ბოლოს;
*კალმით.

„განა პოზად ვიხდი შიკრიკებში!
ნერუს გადამეცით ჩქარა,
ჩქარა!“
(ველარ შევითვისე, ვერ, მანერა!)
ვრჩები...
შენ თუ სახლი, მე- მესერი...
ლამის კეთილ სიზმრის ვემონე, რუს,
ალბათ ფიქრის მსგავსად შემესევი,
ჩემო მეგობარო,
ჩემო ნერუ!

თამთა მუმლაძე
თაფთა
1.05.2022 წ.

წერილი ნერუს

ტელმანზე...
„ღამის დერვიშები“*
მწვავენ მე დროში,
ო, მეგობარო, მელნის ფერიც ახლა ბაც არის...
როგორც ყმა ხელში- ვერ ვიშლები, მდარე „მედროშე“*
და „ტარის“* ირგვლივ ვიგრიხები, როგორც ბაწარი.

გარეთ...
ო, გარეთ, ელვა ღრუბელს ახლა ფასს ადებს...
(თუ, ბოძთა ბაგეთ ეწევიან „ძაფნი“ შორი-შორს...)

*ვარსკვლავები;
*მელექსე;
*კალამი;

და წვიმებისგან „შემოლახულ“, ნაგვემ ფასადებს,
მზითგამომხმარი დარაბების მძაფრი შურით შურს.

ივნისი და მე...
მე და სიცხე...
(-ბუკი! ნაღარა!)
თრთის მზა ვინილი (თითქოს ფარა მთებს თრთის...
და ბახი...)
ავივსე სურა და ივსება უტყვი „ნახირით“
ფაიფურივით თხელი, სუფთა, თეთრი თაბახიც:
სანამდე ტაძრით უღმერთონი ღმერთებს ჰვედრიან,
და ტუნდრებს მწვანე ტაიგებად აქცევს მიდამო,
მანამდე გეტყვი- სიხარული მცირეთ ხვედრია!
(ალბათ ამიტომ, „ლხენის“ ცრემლებს ვაქცევ მი- და მო...)

შეიკრა პირი და იუდა იქცა ამბორად...
იყო ღალატი... უნდობლობა...
(-მცირე ანონსი...)
(ჰე, მეგობარო, დაიცალა თმენის ამფორა-
დრო- თუ წერტილი,
 მე ვიქნები მძიმე ამ ომში!)
ვდუმდი, ვით უტყვი, ვით პირ-უტყვი, პანდა... ყრუ ბელი...
და ეს სითეთრე
(როს სიწმინდის გამო ეხვია...)
განა თმა იყო, ანდა ნისლი... ანდა ღრუბელი...-
მგელი, ორპირი, ცხვრების ტყავში გამოეხვია.

მძაგს ის ყმუილი, ზურგის უკან, მწველი ანდანტე...
და ფიქრი, რომელ გზავნილივით ტყვიას დამახლის,
არს ,,ღვთაებრივი კომედია", ჩემი. (ან დანტეს...)
(ქუხს წამოშლილი, სასაცილო, ღია დამაღი*)
მომბეზრდა სიტყვით -შერკინება... -ჭერა... -ისინდი...

*საღერღელი;

ტყეში... ქალაქში... ბარში... მთაში... ქოხში, ან გარეთ...
ყალბს მერამდენედ, იძულებით, მჯერა, ისმენდი,
მე ასაწყობად გიხვდებოდი, როგორც ანგარი!
თორემ ავდება და სიავის სევით „მე“-ს ანგრევს,-
ცენზურის ნალით დაჭედილი ჩუმი ფეხმალი...
(მცირე ხნით გვერდით გადავწიე
მელნით-მესანგრე-
დავყარე ჩემი „იარაღი“,
ჩემი „ფარ-ხმალი“...)
ჩამოცხა, სანთლით.
(ო, მე მიყვარს ხოში და ფანდი...)

სულს მძვინვარებით შემოიჭრა, როგორც მურვან-ყრუ...
(ჰე, ნერუ, ჩემო, სანამ აზრებს გონში დაფენდე-
იქამდე „მწველის“ სიყვარული იქნებ უარყო...)
(მსგავსად კანაფის, რად მაბრუებს სუნი თაბახთა...)
თეთრს მთელი ძალით შევებრძოლე.
(შედეგს შენ ხვდები...)
(მოუთმენლობა- ჩამოსული, როგორც ტაბახტა...)
ორი, თუ სამი დღეღა დარჩა, შემდეგ- შევხვდებით!
რული მერევა
(ჩანს, „ბუდეებს“ შევლენ „ჩიტები“*...)
და რიგს, ასოთა,
(ურჩი ძალებს ციმციმ იკრებდა...)
გათენდეს, ოდენ და გონებით შევეჭიდები-
ო, ტროასავით ეცემოდნენ ჩემს წინ, იქნება...
„ტელმანზე...
ნერუ, მეგობარო, შენ მე მჭირდები...“

24.06.2022 წ.
თამთა მუმლაძე
NERU

*თვალები.

პასუხი თაფთას

ო, მეგობარო,
            უძლური ვარ,
დღეს მუზა გაქრა.
არა, განა დღეს...
ორი თვეა აღარა მსტუმრობს.
გავანაწყენე ალბათ...
მუზაც კი ითხოვს ხშირად, ვალიო-...
ხოდა წერილის წერა შევწყვიტე,
ვდგები ვიცვამ...
(ან რა აზრი აქვს, რას)...
ვგრძნობ, რომ გჭირდები
და
 ტელმანიდან ნაბიჯი ორი...
მე დადიანის ქუჩაზე გხვდები...
ეგ ცხრაკლიტური იღება ჩემთვის,
ვიცი და მჯერა.
მოვდივარ ფეხით...
ვერ შემაშინებს,
ვერც ქარი,
            ვერც წვიმა,
                ვერც ღამე...
ხოდა, მოვედი,
მეგობრობისთვის, მოველ მე, მალე.
ხომ არ მემდური?
-კარი ყვითელი,
მძიმე ურდული, ხმა გაგუდული.
შენ დამიძახე და მეც მოვედი.
ცივი ყავა და თბილი სიტყვები,
ასე გავუთბეთ ერთურთს გულები.

აღარ მჭირდება,
დეპეშა, მტრედი, მე მოვფრინდები...
(განა ძუნწი ვარ, არ მენანება მე გროშები,
უბრალოდ წერილს,
ვამჯობინე)
მოვედი ფეხით.
სანამ ვცოცხლობ და სანამ დავდივარ,
ნუ შეგაშინებს:
ნახირი, ჯოგი, წვიმა, ქარი
  და ამგვარ-იმგვარი...
                                  შორს შიშები!
ტაიგებს ერთად შევერკინებით...
დამარცხდებიან, ჭინკები ნებით...
და როგორც ბებრის ყავარჯენი,
ჩამომეყრდენი...
  არ იფიქრო,
რომ სიყვარული, მეგობრობის,
                                  ოდეს ვუარვყო!
დამიძახე და ტელმანიდან-
-დადიანზე,
ფეხით მოვედი.
(შუა-დღე-იყო)
(არც კი ვიცი რას ვწერ,
ხომ გითხარი ორი თვეა, ვერც ვერაფერს ვერ ვწერ).
ჩემო მეგობარო, განსხვავებულო!
თაფთას
ნერუსგან

24.06.2022 წ.

წერილი თაფთას

(მეშვიდე წერილი, ხუთი თვის მერე რომ გადავიკითხე)

ჩემო ტკბილო მეგობარო,
მახსოვს ეს წერილი რომ მივიღე,
როგორ გამოვქანდი წერეთელზე,
ვეღარ დაველოდე ფოსტალიონს,
კარი შემოვაღე ალიონზე.
-ახლა გული ისე დამისუსტდა,
თითქოს გადაევლოს ბატალიონს,
ვცდილობ არ დავნებდე, ვით-ბატი-ტროსს,
ვცდილობ ნაკაწრები მოვიშუშო,
მაგრამ არ გამომდის, მეგობარო,
ისე გავაქანე საქანელა,
ახლა გაჩერება მეძნელება...
თითის წვერით ვიჭერ დედამიწას,
ვგრძნობ, როგორ მეცლება ნელა-ნელა...
შენ კი არ დანებდე, მეგობარო,
წერე კალმისტარის გაცვეთამდე,
წერე ფურცელის ბუღის ადენამდე,
წერე, ჩემო თაფთა,
არ დაღონდე...
(ჩვენ ვერ გავწვდებით ენგურამდე)...
დრო-ჟამი გადარეცხავს გადასარეცხს,
მერე მშრალ ქვიშაზე გამოჩნდება,
თევზები გულაღმა მწოლიარე.
უწყლოდ მზის გულზე ვერ ისუნთქებენ,
აყროლდებიან მგლოვიარე.
ვწუხვარ, მეგობარო, გული მტკივა,
ვით მეთევზე ბადეს მოაყოლებს,
ბევრსაც ააყროლებს გვერდზე მდგომებს...

რაა ეს ცხოვრება, მეგობარო,
მოწამლული თევზი თუ ვერ მოვინელე.
სისხლის ანთება თუ შემეყარა,
თუ ვერ გადავურჩი შენ გიბარებ...
(კი ვარ ურჩი, მაგრამ არვის ვერჩი)...
გულმა ვერ გაუძლო უთქმელ დარდებს,
სული ველარა ძლებს ამიერში,
დროა გადავბარგდე... სხვას რას ვერჩი...
ღმერთო, დამიფარე!
აღარ დამელოდო ალიონზე,
თავი განშორების ყულფებს შევაფარე...

თაფთას-ნერუსგან
24.09.2022 წ.

სარჩევი

საცრფიალო ლირიკა

ვამეხ 16
მე და შენ, ანუ შენ და მე 16
მჯერა 17
ვიაროთ ერთად 18
მეჩვიდმეტე გაზაფხული 18
გჩემობ 19
დამპირდი 19
არტოხელის მანდილი 20
დარჩენილი დღე ხარ 21
არაფერი მთავრდება 23
ჯადოსნურ ღამეს 24
გული არ დაბერდება 24
ვინ იცის 25
რანაირი ქარებია 26
შენ რომ არ მყავდე... 27
და როცა წავალ... 28
ტრადიციულად 28
გულის სკივრები დახურე 29
ქალბატონო! 30
მე ასეთი სიყვარული ვიწამე 31
როცა არა ხარ 32
დაფიქრდი 32
ცხოვრება მიჰქრის 33
დუელი 34
ვით პირველად 35
ლეგენდად ნაამბობი 36
ხელს არ გაგიშვებ 38

არეული ამინდივით... 38
დაგელოდები 39
ორი დუმილით 40
თოლია ყივის... 40
წვიმს 42
გინატრე 43
მიჰქრის წლები 44
-ნუ, და-დუმ-დით! 44
მაპატიე, ფანტელო! 47
და მაინც 48
მე და სევდა 48
სიბრძნის ყვავილი 49
ესაც გაივლის 50
არ ვიგვიანებ 51
სკლეროზ... 52
ვუყვარვარ - არ ვუყვარვარ 53
სიზმარი 53
ხსოვნა 54
არდადეგები 55
მე ვლოცულობდი 57
გშორდები 58
ვერტიკალური, ბრუნვადი 59
რეისი №1998 59
ველოდი... 60
უმისამართო 61
მე მოვალ... 62
მოდი და 63
ძველი სინემა... 64
დუმილი არ ნიშნავს დაცემას... 64

არს გვიანი... 65
დამსეტყვე... 65
უშენოდ 66
როდემდის..... 67
შავიც თეთრია..... 68
ძველი კადრები... 69
ძველი ფირიდან... 69
არ მეპატიება..... 70
უმისამართო..... 71
დავდივარ, ვმღერი... 72
უაზრობაა... 73
ძველი ჩარჩო... 74
უფასურია..... 74
ვჯერდები... 75
ადამიანი...?! 76
მთვარესთან გელოდები... 78
მე ვიქნები ტოროლა..... 79
თავს არ იკლავენ 80
ოთახიდან-ოთახს მიღმა... 80
გაჰქრა 82
მერე რა თუ..... 83
დგნ-დგნ... 84
მხოლოდ გწამდეს!..... 85
ვინა სთქვა?!..... 86
ნურაფერს დამპირდები..... 88
მუზას... 89
ქარს გავყვები... 93
ვიცინეთ 94
მაშო-ს 94

ლირიკა

რით ვანუგეშო?! 96
ვიხდი ტკივილებს... 97
მე მინდა ვიყო... 99
დედას 100
აქ ხართ 101
ადიოს, ნახვამდის! 101
ლეგენდარული 102
დასასრული უკეთესი იქნება 102
მრუდე ფიქრები 104
ჩემი ხომ გჯერა 105
არااااა 107
გაავდრდა 108
სულის აფრენა 109
პროცესია 110
მარიდე 110
გამძარცვეს! 111
მურია 113
რუტინა 115
ვიღაც კი 116
ვხარხარებ... 117
ერთადერთი 118
ზღვის ზღაპარი 119
ჩამოდი, ღმერთო... 121
ჩვენ ვისაუბრეთ 122
ლუკმაა ჯამში... 124
ფერიცვალებით... 125
ის არის თუ, მინდოდა ის ყოფილიყო?!... 127

კალოში..... 128
ჩავიფერფლები... 130
ეგოისტი ვარ... 132
იანვარს ვუცდი დღეს..... 133
გზაგასაყარზე... 135
ბოლო მაკვირვებს 137
ის-იგი... 138
შემმოსე... 140
მინდა ვიყო გიჟი..... 140
რამდენჯერ გითქვამთ?!..... 142
ალილო... 143
მიყვარს-არ მიყვარს! 144
ანდერძი 145
წაიღეთ, რაც მაბადია..... 146
ვინ რა იცის... 147
მე ასეთი წარმოდგენა დამრჩა... 148
ბ ო დ ი შ ი..... 149
ყოფნა-არყოფნა..... 150
სულო, გამთელდი! 151
„ჭირი და ლხინი ძმები არიან“ ვიხილე 152
გარდაუვალი მდგომარეობა..... 153
ჯერ იყო სიტყვა 153
*** ერთმა სიტყვამ, გაძარცვული მატარა..... 153
ნაშალი*..... 154
მინორული დღეები..... 154
დედაჩემო! 156
უფალო, შემინდე... 156
ნუ... 157
ჟანგბადივით მჭირდები..... 158

მე ვეცრფი თბილის და სამშობლოს

არაფერია დაფარული, რომ არ გაცხადდეს! 160
ანგელოზებო! 161
წითელ პარასკევს 162
თაბორის მთაზე 163
ემიგრანტული 164
ლაზარეს შაბათი 165
აფხაზეთო! 166
აქ თბილისს ისევ ეფერებიან 166
ბარათი თბილისს გნახავ! 168
თბილისს 169
„დროშები ჩქარა“ 171
შარშან 173
წუთით მოსული 174
სხვა სიყვარულია 176
ქობულეთური ვოიაჟები 177
თბილისი ხომ 178
დაკარგული ალმასები 179
„სვანეთის ცის ქვეშ“ 179
არა, ქართველნო?! 180
სამშობლო მტკივა 182

მ უ ზ ა ს

მე პოეზიის მოტრფიალე ვარ! 184
მუზას 184
მუზების სადარაჯოზე 185
გაგერიდებით 186

ძველი სკივრი 187
ფურცელს 188
ესაც გაივლის 190
მადლობა 190
იცხოვრე 191
სამნი 192
წრფელია გიჟი! 193
მიყვარს სიგიჟე 194
კალამს 195
უნდა ამოგთქვა 195
ვინ ვარ... 196
კოკასა შიგან... 197
პროცესია 198
წინ, წინ იარე... 198
ეხპრესსიონ 199
გაწვიმდა... 200
ვედრება 201
მუზას ვევაჭრები 201
სამებით... 203

ბუნების ფერთაცვლა

ჩემი ივნისი 206
მაისის ისტერია 207
მიყვარდა მაშინ 208
წვიმდეს, ქროდეს 209
იგვიანებენ იასამნები 210
„დროებითია ყველაფერი“ 211
რა შეუძლია ზეცას?! 213

ანბანთქება

თავისუფლდება თავისუფლება... 216
გამოუთლელი გასათლელია... 218
აღუ-ღ... 219
დედა ენავ! 220
გიხაროდეთ! 221
ანიდან-ჰოემდე! 223

ბავშვობის შემონახული მინები 226

ვალიკო ჯაჯაურიძე (მიმინო)

ეექსად ნათქვამი ამბები

თუ მეფობა გინდა, ადედოფლე ქალი! 230
როცა შენი სახე მომეგებება... 230
ნერუს 231
ანათებ 232
გაფრთხილება! 232
ჩემს გოჭს 233
მე და ჩვენ 233
ნინა ბებიას ხსოვნას მჯობნის-მჯობნი. 234
ბაბუას 235
დედას 236
დარიგება 237
ენეას ბაბუსგან 238
ა რ ი ც ვ ლ ე ბ ა ! 238
ტკბილი კვერი 239
დედულეთს 240
რწმენა და იმედი 241

ნუ დაივიწყებ ადათსა! 242
ადამის მოდგმავ!..... 242
ვაი, სამშობლოვ!..... 243
დამილოცნიხართ..... 243
კურთხეული მიწა..... 244
განა?! 245
აღდგომა 245
სოფლის ცხოვრება..... 246
ონავრები 247
შინდისის გმირებს 248

„მეგობრების წერილები“
თეთუთ
ლ ა
წერო 249

ჩემი ხატალნე...

დამადგებამდე ოკეანე გიყავ, ალბათ, ცოდვილი,
მე მატატიე, ამოიხუთქვით თოკი გატარეთ,
მე მოგლეთდი ჭიალიდან ოფლი ჭიალში,
ღე, მატატიე, ჩემი მოხვლეთ თოკი გატკეინე.
მე ანათალი შენი სოლიხ და შენი ხარიფან,
ჰო, დავიბადე და მოიქცა აღამეგონა,
მე დავიბადე და ცოდვად მხდა კაენელობა,
ეთხოვ, მატატიე, ჩანახანში ეფოიხტობა.
გამოდგებოდი და ხა ვიცოდი, ჭინ ხა მელოდა,
იყო ბაგშვობა, ანა ურიგა, თავდავიწყება
და ხა ვიცოდი, თუ ცხოვრება მახეს მიეცემა,
იყო მიზანი, მძიმე ღლეთა ანაშეხიეცა,
ხაფ ანა მკლავდა, ხაფეთანოში ძალან ემატება,
ვინც ეცდ ვანმხაჯოხ, მე გატარე ჩემი ხატალნე.
მე მატატიეთ...
მე მატატიეთ, თუ ვიხეგლე თვითგადარჩენა.

05.05.2010 წ.

ნინო ხოხტიაშვილი

ნენო

ISBN 978-9941-8-5728-7